პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 24, ტელეფონი № 8—81.

ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

— ტიურინგიაში ჰაეროპლანის კატასტროფის დროს დაიღუპა გერმანიის ელჩი ვაშინგტონში მალცანი.
— რევოლიუციონური მოძრაობა კუნძულ იავაზე.
— სამხრეთ-სლავიის ნოტა ბულგარეთის მთავრობას.
— განაჩენი ბულგარეთის რევოლიუციონერების საქმეზე.
— იტალიელ კომუნისტების გასამართლება.
— ოქტომბრის რევოლიუციის 10წ. თავზე მოსკოვში ჩამოვა გერმანიის მუშათა მესამე დელეგაცია.
— მიწისძვრა ყირიმში გრძელდება

კვირა, 25 სექტემბერი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 217 (1962)

ინდუსტრიალიზაციის სესხისათვის

ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ყველა წევრებს

ინდუსტრიალიზაციის სესხს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ სესხის გაშვება ხდება იმ მომენტში, როცა იმპერიალისტური მტაცებლების ხროვა, ზურგ-გამაგრებული საერთაშორისო ბურჟუაზიისა და კაპიტალის აგენტების მიერ, ცდილობს ომის მუქარით გამოიწვიოს მსოფლიოში პირველი პროლეტარული რესპუბლიკის სოციალისტური მშენებლობის დეზორგანიზაცია. ამიტომ ჩვენი მრეწველობა, განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრია გაცილებით უფრო სწრაფად უნდა განვითარდეს, ვიდრე მშვიდობიან პირობებში, ვიდრე ხანგრძლივი შესვენების პირობებში. მსხვილი ინდუსტრიის განვითარების ტემპისაგან არის დამოკიდებული საბჭოთა კავშირის სწრაფი ინდუსტრიალიზაცია, და მასთან ერთად ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის მაქსიმალურად გაძლიერება.

ამიერ-კავკასია, რომელიც მტკიცედ შესდგა ინდუსტრიალიზაციის გზაზე, განსაკუთრებით არის დაინტერესებული სესხის რეალიზაციაში.

ამიტომ, პარტიის ყოველი წევრი, ყოველი კანდიდატი, ყოველი კომკავშირელი მაქსიმალურად უნდა იყოს დაინტერესებული ინდუსტრიალიზაციის სესხის წარმატებით გასაღებაში.

სესხის წარმატებით გავრცელება უპირველეს ყოვლისა და უმთავრესად დამოკიდებულია იმისაგან, თუ რამდენათ თავის დროზე და საკმაოდ გავაცნობთ ქალაქისა და სოფლის ფართო მასებს სესხის მნიშვნელობას. პარტიის ყოველი წევრი მოვალეა იკისროს სესხის პოპულიარიზაციის ინიციატივა და შეუწყოს ხელი სათანადო ორგანოებს სესხის წარმატებით გავრცელების საქმეში. პარტიის წევრები უეჭველად იქნებიან მაგალითი ყველა სხვებისათვის სესხზე კოლექტიურად ხელის მოწერის საქმეში.

პარტიის წევრებმა თვალ-ყური უნდა ადევნონ, რომ სესხის გავრცელების დროს არავითარ შემთხვევაში არ ექნეს ადგილი იძულებას.

ინდუსტრიალიზაციის სესხი, რომელიც ნიშნავს ახალ ქარხნებისა და ფაბრიკების აგებას, სოციალისტურ მრეწველობის ინდუსტრიალურ ბაზის გაფართოებას, მშრომელთა ახალ ფენების ჩაბმას მრეწველობაში, სასოფლო მეურნეობის მნიშვნელოვნად აღორძინებას და ქალაქსა და სოფლის საწარმოო ძალთა გაძლიერებას, ეს სესხი იმდენად პოპულიარული იქნება მუშებსა, გლეხებსა და ყველა მშრომელებს შორის, რომ ნებაყოფლობითი პრინციპი უეჭველად საკმაო გარანტიას იძლევა მისი წარმატებითი რეალიზაციისათვის.

ყოველ ეჭვს გარეშეა აგრეთვე ის, რომ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე ჩვენს ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციებში არ იქნება პარტიის არც ერთი წევრი, არც ერთი კანდიდატი, არც ერთი კომკავშირელი, რომელსაც შეძენილი არ ექნება ინდუსტრიალიზაციის სესხის ერთი ობლიგაცია მაინც.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი.

მომცემ—მოგცემ

როგორც ცნობილია გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის, ამხ. ლიტვინოვის ნოტიდან, რომელმაც შემოიარა მთელი ევროპის პრესა, საბჭოთა კავშირის მთავრობა, საფრანგეთთან ეკონომიურ ურთიერთობის განვითარების მიზნით, დათანხმდა იმაზე, რომ ყოველწლიურად გადაეხადა საფრანგეთის მთავრობისათვის განსაზღვრული თანხა იმ პირობით, თუ მიიღებდა საფრანგეთისაგან კრედიტებს. ამ თანხიდან საფრანგეთის მთავრობა დააკმაყოფილებდა რუსეთის ძველ, ომის წინადროის სესხების ობლიგაციების მეპატრონეებს.

საბჭოთა მთავრობის ეს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ ჩვენ ვსცნობთ იმ ვალებს, რომლებიც აიღო მეფის მთავრობამ. ეს ვალები გააუქმა ოქტომბრის რევოლიუციამ და ლაპარაკიც არ შეიძლება კრედიტორების „უფლებაზე“, რომ საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხებისაგან მიიღონ ეს ვალები. მაგრამ რატომ გადასწყვიტა მაინც საბჭოთა მთავრობამ გადაეხადა საფრანგეთის მთავრობისათვის განსაზღვრული თანხები?

საბჭოთა მთავრობა იხდის ამ თანხებს მხოლოდ და მხოლოდ იმ პირობით, თუ სამაგიეროდ მიიღებს საფრანგეთისაგან კრედიტებს, მაგალითად, ქსოვილების, მანქანების და სხვ. სახით, რომლებიც გამოადგება საბჭოთა კავშირის სოციალისტურ მშენებლობას. ამ შემთხვევაში ჩვენ მარტივად ველაპარაკებით კაპიტალისტებს მათთვის ჩვეულ კომერციულ ენაზე, ცნობილი წესით: „მომცემ—მოგცემ“. მომცემ კრედიტებს — მიიღებ ამისათვის „ნაღდ ფულს“. არ მომცემ — ვერ მიიღებ.

ის თანხა, რომელიც დასახული იყო გადასახდელად საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის წინასწარ მოლაპარაკების დროს (60 მილიონი ოქროს ფრანკი, უდრის დაახლოებით 22 მილიონ მანეთს), რა თქმა უნდა, გაცილებით ნაკლებია იმ თანხებზე, რომლებსაც ცარიზმი უხდიდა საფრანგეთის მთავრობას რუსეთის ხალხის ხარჯზე. ცარიზმი, წლიურად იხდიდა 400 მილიონ ფრანკს (150 მილიონ მანეთს), მარტო პროცენტებს, ე. ი. მას შეეძლო ეხადა ეს თანხა „მეორედ მოსვლამდე“, რომ მანამდე ეარსებნა, — მაგრამ ვალს კი ვერ დაფარავდა. ჩვენ კი საფრანგეთ -საბჭოთა კავშირის კომისიაში მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ ყოველწლიურად გადაგვეხადა 60 მილიონი ფრანკი იმ პირობით, რომ 62 წლის შემდეგ (ეს არის ჩვეულებრივი ვადა ასეთი ხასიათის საერთაშორისო გადასახადებისათვის) ვალის მთელი რაოდენობა ჩათვლილიყო საბოლოოდ გასტუმრებულად. (ვალის რაოდენობა ფრანგების, ალბათ გაზვიადებულ, გამოანგარიშებით უდრის 17 მილიარდ ფრანკს). საფრანგეთის მთავრობას თავის მხრივ ეს გადახდა შეუძლია ჩასთვალოს „ვალის გასტუმრებად“. ან რათაც ენებოს. მაგრამ არსებითად ეს არის უბრალო კომერციული გადახდა „ვალების დაბრუნების“ მარკის ქვეშ. ამ გადახდით ჩვენ ვყიდულობთ მშვიდობიან ეკონომიურ ურთიერთობის შესაძლებლობას ევროპის ერთ - ერთ კაპიტალისტურ ქვეყანასთან, საფრანგეთი კი „გვყიდის“ ჩვენ ამ შესაძლებლობას.

საფრანგეთის ის საქმიანი კომერციული წრეები, რომლებიც დაინტერესებული არიან ეკონომიურ ურთიერთობათა განვითარებით ჩვენს ვეებერთელა ქვეყანასთან, სწორედ ამიტომ არ ჰყიდიან თავს ინგლისელ ნავთის მრეწველთა დეტერდინგისთანა ვეშაპებს. მათ მშვენივრად ესმით, რომ ასეთ შეთანხმების დადება უშუალოდ ხელსაყრელია მათთვის. ასეთი შეთანხმება ამავე დროს ხელსაყრელია საბჭოთა კავშირისათვისაც, ვინაიდან ანმტკიცებს ეკონომიურ ურთიერთობას საფრანგეთთან. მაგრამ ინგლისელ ნავთის მრეწველების მიერ მოსყიდული ფრანგული შავრაზმული ფაშისტური ფურცლები მთელი ძალღონით ებღაუჭებიან ყოველ „საბაბს“, რომ ჩაშალონ დასახული ეკონომიური შეთანხმება.

ამ რამოდენიმე დღის წინად ისინი პირზე ქაფ მომდგარი მოითხოვდენ დიპლომატიურ ურთიერთობის გაწყვეტას საბჭოთა კავშირთან. იმის შემდეგ, რაც ეს ფანდი არ გავიდა, ისინი სცდილობენ ეკონომიურ მოლაპარაკების ჩაშლას და არ სწყვეტენ კამპანიას პერსონალურად ჩვენი დიპლომატების წინააღმდეგ.

ახლა ისინი გაჰყვირიან, რომ თითქოს ლიტვინოვი მართალი არ იყო, როდესაც სთქვა, რომ საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის კომისიაში „მიღწეულია სრული შეთანხმება“.

ეს არის მხოლოდ უბადრუკი, ცრუ ფანდი — არც მეტი, არც ნაკლები, ვინაიდან ლიტვინოვს არ უთქვამს, რომ „მიღწეულია სრული შეთანხმება“. ასეთი „სრული“ შეთანხმება არ ყოფილა მიღწეული, მიღწეულ იქნა შეთანხმება, იმ თანხის შესახებ, რომლის მიღებაც საფრანგეთის მთავრობას სურდა ჩვენგან, მაგრამ არ ყოფილა მიღწეული შეთანხმება კრედიტების შესახებ, მათი რაოდენობისა და მიღების წესის შესახებ, თუმცა მოლაპარაკება ამის შესახებ სწარმოებდა. ამავე დროს კრედიტების გარეშე, საბჭოთა კავშირის მთავრობა არ თანხმდებოდა და არც დათანხმდება, რომ რაიმე თანხები გადაუხადოს ფრანგ მევალეებს.

იგივე მოსყიდული ფურცლები იმ მიზნით, რომ ჩაშალონ დასახული ეკონომიური შეთანხმება, ყვირილით და ცოფის ყრით მოითხოვენ უკვე არა მარტო „ვალების“ გადახდას, არამედ „ანაზღაურების“ მიცემასაც „საფრანგეთის იმ მოქალაქეთათვის“, რომლებიც ქონებრივად დაზარალდენ რუსეთში. ამ საკითხის მზის სინათლეზე ამოთრევა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ ჩაშალონ ეკონომიური მოლაპარაკება საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, ვინაიდან ცნობილია, რომ ამ დარგში ჩვენ გვაქვს წარსადგენი როგორც საფრანგეთის, ისე ინგლისისა და ამერიკის მთავრობებისთვის არა მცირე „ანგარიში“ მათ მიერ სამი წლის განმავლობაში მოწყობილ ინტერვენციისათვის — იმ სამი წლისათვის, როდესაც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სწარმოებდა სისხლის ღვრა და ნგრევა.

ჩემბერლენის კალმოსნები, რომლებიც დაქირავებული არიან საფრანგეთში ახალ ომის მოსამზადებლად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, გაჰყვირიან, რომ საბჭოთა მთავრობა ძლიერ „ცოტას“ გადახდას დათანხმდა მეფის ვალების „ანგარიშში“. მაგრამ რისთვის და ვის აძლევდენ თავის დროზე მოტყუებული ფრანგი მევალეები თავის ფულს, თუ არა რუსეთის მემამულეებს, კაპიტალისტებს, ხუცებს და მეფის ბიუროკრატებს — „ზარბაზნის ხორცის“ მობილიზაციის მოსახდენად? განა რუსეთის იმპერიალისტურ არმიის ბრძოლის ველზე სისხლით და სიცოცხლით არ გადაუხადეს მეფის მთავრობის „სესხები“? და განა ანტანტამ არ „იშრომა“ ასე გულმოდგინედ ჩვენი ქვეყნის დასანგრევად, განა მან არ გააკეთა ყველაფერი, რაც შესაძლებელი იყო, იმისათვის, რომ მისთვის საძნელო ყოფილიყო ყოველგვარი გადახდები, საერთოდ, განა ჩვენი ქვეყანა არ უნდა უმადლოდეს ისტორიულ „სასწაულს“ — პროლეტარიატისა და გლეხობის გმირობას — იმას, რომ მან, დაბოლოს, თავი დააღწია სამხედრო ნგრევის იმ ქაოსს, რომელშიაც ის ჩაითრია იმავე ანტანტამ? საბჭოთა კავშირის მუშებს და გლეხებს სურთ მშვიდობიანობა და მშვიდობიანი ეკონომიური ურთიერთობა კაპიტალისტურ ქვეყნებთან. რომ საბჭოთა მთავრობას სურს მშვიდობიანობა, ეს მან დაამტკიცა ჯერ კიდევ 1917—18 წლებში, როდესაც მან შესწყვიტა ომი და დათანხმდა ბრესტის ზავის უმძიმეს პირობებზედაც კი. მაგრამ ამჟამად ჩვენი მდგომარეობა არაა ისეთი, რომ ვინმეს შეეძლოს მოელოდეს ჩვენგან ეკონომიურ კაპიტულიაციას. იმათ, ვისაც ამის იმედი აქვს, სასტიკად შეეშლებათ ანგარიში და დაჰკარგავენ იმ სარგებლობას, რომელსაც მიიღებდენ იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდება დასახული შეთანხმება საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები მზად არიან ელაპარაკონ ბურჟუაზიულ ქვეყნის კომერსანტებს ამ კომერსანტებისათვის ჩვეულ ენაზე „მომცემ—მოგცემ“. მაგრამ არავითარ ისეთ შეთანხმებაზე, რომელიც დაიმონებდა მათ, ისინი არასოდეს არ დათანხმებულან და არც დათანხმდებიან. საერთაშორისო ბურჟუაზიის შუბლმაგარმა წრეებმა კიდევაც რომ შესძლონ საბჭოთა კავშირის ახალ ეკონომიურ ბლოკადის ცდის განხორციელებაც, რაც მოფიქრებულია ბრიტანეთის კუნძულებზე, ამ შემთხვევაშიაც კი საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები თავის ქვეყნის შიგნით იპოვიან საკუთარ ძალებს, რომ ძლევამოსილად განაგრძონ დაწყებული მსოფლიო ისტორიული საქმე სოციალიზმის მშენებლობისა.

მათ არა ერთხელ დაუმტკიცებიათ საქმით მშვიდობიანობის სურვილი და ამიტომ ყოველი მშრომელი, საფრანგეთის ყოველი პატიოსანი მოქალაქე, ამ დღეებში საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის შეთანხმების საკითხში იქნება საერთაშორისო კონფლიქტების გამღვივებელთა წინააღმდეგ, იქნება საბჭოთა კავშირთან მშვიდობიან ურთიერთობათა განმტკიცების მომხრე.

პრავდა, 24 სექტემბერი.

ახალი ამოცანების წინ

(საკავშირო წ. ჯ. და წ. მთვარის საზოგადოებათა საბჭოს მე-3-ე სესიის გამო)

დღეს თბილისში გაიხსნება საკავშირო წ. ჯ. და წ. მთ. საზოგადოებათა საბჭოს მესამე სესია. ეს გაერთიანება, როგორც შედეგი ყველა ნაციონალურ საზოგადოებათა თავისუფალ ნებისყოფის გამოთქმისა, ჩამოყალიბდა 1925 წელს. საბჭოს უკვე ჰქონდა ორი სესია—მოსკოვში. მე-2 სესიაზე, რომელიც შესდგა დეკემბრის 1926 წელს, დადგენილ იქნა მესამე სესიის მოწვევა თბილისში. ეს დადგენილება ამჟამად ხორციელდება.

თბილისში სესიის მოწვევას აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან ეს გარემოება აამკარავებს როგორც მთელი საკავშირო, ისე საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის წინაშე, რომ საკავშირო საზოგადოებაში შემავალ ყველა წევრთა ინტერესი ერთგვარად ახლოა მისი საბჭოსათვის, რომ საბჭოს სურს იყოს თავის ყოველ წევრთან ერთგვარად დაახლოვებული, რომ ეს წევრები—წ. ჯ. და წ. მთვარეთა ნაციონალური საზოგადოებანი—არიან კავშირის თანასწორი და სრულუფლებიანი წევრები. თუ ცარიზმის დროს თვითეული ეროვნება, რომელიც ყოფილ მეფის იმპერიის ფარგლებში შედიოდა, წარმოდგენილი იყო როგორც „ინოროდეცი“, მოკლებული მოქალაქეობრივ უფლებებს და იჩაგრებოდა მეფის მთავროპის მიერ,—დღეს ყველა ამ ყოფილმა „ინოროდცებმა“ შექმნეს თავისუფალი დიადი კავშირი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა, სადაც ყოველი წევრი სარგებლობს თანაბარი უფლებებით. მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციამ უყო ლიკვიდაცია ეროვნებათა ეკონომიურ და პოლიტიკურ მოიობას. მან პირველად და ერთად-ერთმა მოგვცა ნაციონალური საკითხის სწორი გადაჭრა, და წ. ჯ. და წ. მთ. საზოგადოებათა კავშირიც—ეს საკავშირო საბჭოთა საზოგადოებრივობის ორგანიზაცია,—თავის წევრთა ურთიერთობაში მტკიცედ ატარებს ამ ხაზს, რომელიც გვიჩვენა დიადმა ოქტომბერმა. წარსულ წელში—მოსკოვში, წრეულს —თბილისში, შემდეგ—ხარკოვში, მას შემდეგ კიდევ—მინსკში და ასე რიგ-რიგობით შეიკრიბება საბჭოს სესია კავშირის ყველა წევრთა დედა ქალაქებში. ეს ერთის მხრით, ცხადია, არის გარეგნული დემონსტრაცია საბჭოს ყველა წევრთა უფლებრივი თანასწორობისა, მეორეს მხრით იგი არის შინაგანი გამტკიცება კავშირის ყველა წევრთა ძმური სოლიდარობისა.

სესიის დღის წესრიგში პირველად სდგას მოხსენება რ. წ. ჯ. საზოგადოების თავმჯდომარის ამხ. სოლოვიოვის წ. ჯ. და წ. მთ. საზოგადოებათა სამხედრო-სანიტარულ მოღვაწეობის შესახებ. თავის თავად ცხადია, რომ ეს საკითხი ამჟამად განსაკუთრებით აქტუალურია და ის გამოიწვევს სესიაზე გაცხოველებულ აზრთა დაცვლა-გამოცვლას. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თუმცა წ. ჯ. და წ. მთ. საზოგადოებათა ერთ უმთავრეს ამოცანას შეადგენს სამხედრო-სანიტარული მოღვაწეობა, მაგრამ დღემდის თავის ყურადღებას ეს საზოგადოებანი უმთავრესად აქცევდენ მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის ზრუნვას, სოციალურ სნეულებებთან ბრძოლის სახით და სამხედრო სანიტარული მუშაობა მათ მიერ არ იყო დაყენებული პირველ რიგში.

საკავშირო საბჭოს დეკემბრ. სესიის დადგენილებით საზოგადოებებს დაევალა მიეპყროთ გულისყური განსაკუთრებით ამ სფეროსათვის, უწინარეს ყოვლისა კი პირველი დახმარების წრეების შექმნისა და მოსახლეობის გასამხედროებისათვის. დიდმა ცვლილებებმა, რომლებსაც ჰქონდა ადგილი იმპერიალისტური ომის გათავების შემდეგ ომის წარმოების საშუალებებში, სრულიად შესცვალეს თვით ომის ხასიათი. დღევანდელი ომი მიმართავს ისეთს საშუალებებს საჰაერო და ქიმიური თავდასხმისას, რომელთაც აქვთ უაღრესად განმანადგურებელი ძალა და მოქმედებენ ფრიად დიდ მანძილზე. ამის გამო, მომავალი ომი აღწევს მეომარ ხალხების დღემდის გაუგონარ განადგურების სიმაღლემდე, მოსპობს საზღვარს, ფრონტსა და ზურგს შორის და დაემუქრება უშუალოდ მეომარ ქვეყნების მთელს მოსახლეობას: თანამედროვე ომის ხასიათის ამგვარ ცვალებადობასთან დაკავშირებით წით. ჯ. და წ. მთ. საზოგადოებებს უხდებათ გამოსცვალონ მედიკური დახმარების საშუალებებიც. თუ სამხედრო-სანიტარო მოღვაწეობა წ. ჯ. საზოგადოებათა ისაზღვრებოდა მხოლოდ დაჭრილ და ავადმყოფთა გოსპიტალიზაციით, დღეს, თანამედროვე ომის პირობებში, წ. ჯ. და წ. მთ. საზოგადოებებს მოუხდებათ აღმოუჩინონ მედიკური დახმარება არა მარტო ფრონტზე მეომრებს, არამედ ზურგის, ფაბრიკა-ქარხნების და მსხვილი საწარმოო ცენტრების მოსახლეობასაც, რომელნიც მსხვერპლნი გახდებიან საჰაერო თავდასხმისა, ან ნგრევისა შორს მტყორცნელ ზარბაზნებიდან.

ს. ს. რესპუბლიკების კავშირი მტკიცედ ატარებს მშვიდობიანობის პოლიტიკას, მაგრამ ეს არ იძლევა მშვიდობიანობის გარანტიას და ჩვენ ყოველთვის უნდა ვიყოთ ომისათვის მომზადებული. ამიტომ, წ. ჯ. და წ. მთ. საზოგადოებანი, როგორც საბჭოთა საზოგადოებრივობის ორგანიზაციები, რომელნიც მოწოდებულნი არიან მიიღონ აქტიური მონაწილეობა კავშირის ტერიტორიის დაცვაში, თანახმად დეკემბრის საკავშირო სესიის დადგენილებისა, შეუდგენ ცხოვრებაში მოსახლეობის გასამხედროების გატარებას, ესე იგი მოსახლეობის მასიურ მომზადებას პირველი დახმარების წრეების დაარსების სახით საზოგადოებანი ამ მუშაობას ატარებენ თითქმის ერთი წელიწადია და ამ ხნის განმავლობაში უნდა მივიღოთ გარკვეული გამოცდილება, რომელსაც კავშირის წევრები გაუზიარებენ ერთმანეთს სესიის სხდომაზე.

სესია მოისმენს აგრეთვე მოხსენებებს უკრაინისა, ბელორუსიის და საქართველოს წითელი ჯვრის მუშაობის შესახებ, აღნიშნავს მიღწევებს, მიუთითებს მათ მუშაობაში ნაკლულოვანებებზე და დასახავს გარკვეულ ხაზს წ. ჯ. და წ. მთ. საზოგადოებათა მომავალ მუშაობისათვის.

განმტკიცება ძმური სოლიდარობისა წ. ჯ. და წ. მთ. საზოგადოებათა კავშირის წევრთა შორის, დამუშავება მთელი რიგი საზოგადოებათათვის აქტუალურ საკითხებისა და აგრეთვე საზოგადოებათა მომავალ მუშაობისათვის ზოგადი ხაზის დასახვა, აი რა უნდა იქნეს შედეგი მესამე სესიის მუშაობისა, რომელიც იკრიბება თბილისში 25 სექტემბერს. ჩვენ ეჭვი არ შეგვდის, რომ კავშირი სესიის მუშაობის ნაყოფით მიიღებს ზემო მითითებულ შედეგებს.

ვ. კ.

უცხოეთის პრესა

ერთა ლიგის დამწუხრებული ჭირისუფლები

უცხოეთის პრესა უკვე ლაპარაკობს ერთა ლიგის მიმდინარე სესიის წინასწარ შედეგებზე. ვერ ხედავს ის ამ შედეგებში რაიმე სანუგეშოს. და ამ დასკვნამდე მიდიან თვით ისეთი ორგანოებიც, რომლებიც მოწადინებული არიან რაიმე კარგი სთქვან ამ პატივცემულ დაწესებულებაზე, როგორც შეშვენის ეს მის შეფიცულ ჭირისუფლებს.

აი მაგალითად სოციალ-დემოკრატიული **„ფორვერტს“-ი**, ოქროპირი და იდეოლოგი ერთა ლიგის: ვერ არის კარგ გუნებაზე. წერილს სესიის შესახებ ის აძლევს ასეთს სათაურს: **„მჭლე შედეგები ჟენევაში“** და სწერს შემდეგს:

> „პოლიტიკური ნაყოფი ერთა ლიგის სესიისა იქნება ძალიან მცირე. ჭეშმარიტად ასეთი მჭლე შედეგებისათვის არ ღირდა, რომ ოცამდე საგარეო საქმეთა მინისტრს, დიპლომატს და საიდუმლო მრჩეველს თავი მოეყარათ ჟენევაში“-ო.

მაგრამ გაზეთი არ იტეხს გულს. მისი აზრით ეს ხდება იმიტომ, რომ ინგლისში და საფრანგეთში კონსერვატიული მთავრობა განაგებს ქვეყნის საქმეებს, თითქოს ისე გამოტვინებულიყოს მენშევიკების გაზეთი, რომ მეხსიერებაში არ შერჩენოდეს ის დრო, როდესაც მაკდონალდი და ერიო უძღოდენ ამ ქვეყნებს, მაგრამ ამით არაფერი გაკეთებულა ლიგაში გარდა იმ ილიუზიებისა, რომლების გამავრცელებლად გამოდიოდენ „ფორვერტსიანელები“ ამ ლიგის სამშვიდობო როლის შესახებ.

აი მეორე ჭირისუფალიც ერთა ლიგისა: **„ბერლინერ ტაგებლატ“**. მისი რედაქტორი, ცნობილი ტეოდორ ვოლფი სწერს წერილს დამახასიათებელი სათაურით: **„დროს გატარება ჟენევაში“** და მწარედ დასცინის ლიგის ქურუმებს; ის ამბობს ასე:

> „დიდი სახელმწიფოების შეერთებული ძალით მოახერხეს მეთოთხმოცდაცხრამეტე თუ მესამე მუხლი გამოეჩხიკათ თავდასხმითი ომის საძაგებლად. მაგრამ, ერთი მიბრძანეთ, რა ხეირი უნდა გამოდნეს ამ ძაგებიდან იმ სახელმწიფოების მხრით, რომლებიც **ჯერ კიდევ იმაზეც ვერ შეთანხმებულან, თუ ვინ იყო 1914 წლის დიდ ომში თავდამსხმელი და ვინ თავის დამცველი“.**

ჭკუიანი კაცია ტეოდორ ვოლფი. უკაცრავად ვართ ამ მოგონებისათვის, მაგრამ ზედმეტი არ იქნება გავახსენოთ მას, რომ ეს არგუმენტი მას თავისი საკუთარი არსენალიდან არ აქვს ამოღებული. ის ნასესხები აქვს მას იმ პარტიისაგან, რომლის წარმომადგენლების წინააღმდეგ გერმანიაში მისი გაზეთი შხამს ანთხევს ხოლმე. გვეშინია მას „ბოლშევიკობა“ არავინ დასწამოს ამის გამო. ცხადია, რომ „ოცი მინისტრი, დიპლომატი და საიდუმლო მრჩეველი“, რომლებიც დღეს ლემანის ნაპირებზე სეირნობენ ხოლმე ლიგის სესიის სხდომების შემდეგ დასასვენებლად, ვერავითარი პასუხის გაცემას ვერ მოახერხებენ ვოლფის შენიშვნაზე. ვიმეორებთ, „ბერლინერ ტაგებლატ“-ის მთავარი რედაქტორი არის ჭკუიანი კაცი!

აი კიდევ ერთიც, ლიგის ჭირისუფალთაგან: **„ფოსიშე ცეიტუნგ“**. ლიგის მიმდინარე სესიიდან ის დაუინტერესებია უმთავრესად ერთ რამეს, რადგან ხელმოსაკიდებელი სხვა არაფერი დარჩენია: მას აინტერესებს ბრიანის სიტყვის წარმტაცი **„ჯადოქრული ფორმა“** („Zauber der Form“). ისეთი ლამაზი, ისეთი წარმტაცი და მჭერმეტყველურია ბრიანის სიტყვა, რომ მთლად ივიწყებ მის შინაარსსო. გაზეთს, ალბათ უნდა სთქვას, მაგრამ უჭირს იმის „ტლანქად“ აღიარება, რომ ბრიანის სიტყვა არის უშინაარსო, არის უბრალო წყალი.

ასე ამკობენ ლიგას და ვინ? მისი „ნაფიცი ვექილები“ და ჭირისუფლები!

ჩვენ ათასი კილომეტრის მანძილზე გვესმის დე-ჟუვენელის და სესილის ხარხარი!

„თავისებურ“ დასკვნას გამოიტანენ ყოველივე აქედან ისინი, ვის ხელშიც არის მართლა ჭეშმარიტი მშვიდობიანობის ბედ-იღბალი.

ჩვენ ვლაპარაკობთ ევროპის რევოლიუციონურ პროლეტარიატზე.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

ამხ. რაკოვსკის ნოტა საფრანგეთის დელეგაციისადმი

შეტაკება იაპონელებსა და ჩინელებს შორის ხანკოუში

ფინ-იუი-სიანმა დაამარცხა მის წინააღმდეგ აჯანყებული ჩინ-იუ-ნაო

ამხ. რაკოვსკის ნოტა საფრანგეთის დელეგაციისადმი

პარიზი, 23 სექტემბერი. საბჭოთა დელეგაციამ, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს საფრანგეთთან, საფრანგეთის დელეგაციას გადასცა ნოტა, რომელშიაც აღნიშნულია ვალებისა და კრედიტების ირგვლივ წარმოებული მოლაპარაკების მთავარი მომენტები.

ამხ. რაკოვსკი დელეგაციას მოაგონებს 19 მარტის პლენარულ სხდომას, სადაც ორივე დელეგაცია შეთანხმდა ყოველწლიურად შესატანი თანხის რაოდენობაზე და ასეთ რაოდენობათ მიღებულ იქნა 60 მილიონი ფრანკი. უთანხმოება მაშინ მდგომარეობდა იმაში, რომ საბჭოთა დელეგაციის მოთხოვნილება ყოველწლიურად შესატანი თანხის პროგრესიის ცხრილის საკითხში და აგრეთვე წლიურად შესატანი თანხის ნაწილის მეორე წელში გადატანის საკითხში, უარყოფილ იქნა საფრ. დელეგაციის მიერ. საბჭოთა დელეგაციამ თავის მხრივ უარჰყო საფრანგეთის დელეგაციის მოთხოვნილება, რომ საფრანგეთს ჩვენთან ვაჭრობაში მისცემოდა უპირატესობის მქონე სახელმწიფოს შეღავათები.

მაისის დასაწყისში,—ნათქვამია შემდეგ ნოტაში,—ამხ. რაკოვსკიმ დე-მონზის აცნობა, რომ საბჭოთა დელეგაცია სთმობს სამ სადავო საკითხში. ამგვარად შეთანხმება ვალების შესახებ პრინციპიალურად მიღწეული იყო. დარჩა მხოლოდ კრედიტების რაოდენობისა და პირობების დაწესება. წელს საბჭოთა დელეგაციამ შეამცირა კრედიტების რაოდენობა, 120 მილ. დოლარამდე, კრედიტების, რომელთა მიღებასაც იგი მოითხოვს. კერძო საუბარში, რომელიც სწარმოებდა 1927 წლის ივლისში და აგვისტოში, საფრანგეთის დელეგატები აღნიშნავდენ, რომ მათ შეეძლოთ ერჩიათ მთავრობისათვის , რათა საბჭოთა კავშირს მისცემოდა 60 მილ. დოლარი კრედიტი—12 მილ. დოლარი წელიწადში, იმ პირობით, რომ კრედიტის ყოველი ნაწილი ხუთი წლის ვადაში ყოფილიყო გადახდილი. უთანხმოება კრედიტების საკითხში ეხებოდა ციფრებს.

ნოტა ხაზგასმით აღნიშნავს იმ კრედიტების მნიშვნელობას, რომელნიც საჭიროა საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებისათვის.

ამხ. რაკოვსკი ხაზს უსვამს, რომ მძიმე ვალდებულება, რომელიც საბჭოთა კავშირმა იკისრა, უდავოდ ამტკიცებს, რომ საბჭოთა მთავრობას სურს დააკმაყოფილოს ფასიანი ქაღალდების პატრონების ინტერესები,—რომელთა უმრავლესობა მცირე ღირებულების ობლიგაციების მფლობელები არიან,—და რომ იგი სცდილობს დაიცვას კეთილმეზობლური პოლიტიკური ურთიერთობა ორთავე ქვეყნის შორის. საბჭოთა მთავრობა ახალ ნაბიჯს სდგამს, იგი იძლევა წინადადებას, რომ ექვსი თვის ვადაში შეიტანს 30 მილ. ფრანკს ოქროთი, პირველ სემესტრში შესატანი თანხის უზრუნველსაყოფად.

დასასრულ ნოტაში ნათქვამია, რომ შეთანხმება ვალებისა და კრედიტების შესახებ კონფერენციას აძლევს საშუალებას ხელსაყრელ ატმოსფერაში განაგრძოს მოლაპარაკება სხვა საკითხებზე, რომელნიც შედიან მის პროგრამაში.

შემდეგ მოყვანილია იმ წინადადებათა ტექსტის რეზიუმე, რომელიც თან სდევს ამხ. რაკოვსკის ნოტას.

საბჭოთა მთავრობას ყოველწლიურად შეაქვს მტკიცე თანხა 10 მილ. ფრანკი ოქროთი იმ სესხების ვალების გასასტუმრებლად, რომელიც ომამდე იქნა გამოშვებული რუსეთის მთავრობის გარანტიით; ყოველწლიური შეტანის რაოდენობა უდრის 61; საფრანგეთის მთავრობას შეუძლია მოითხოვოს შეთანხმების გადასინჯვა, თუ ყველა სხვა თანასწორ პირობებში საბჭოთა მთავრობა სხვა ქვეყნების მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ რუსეთის ფასიანი ქაღალდები, მიანიჭებს უკეთესს პირობებს; ამ შეთანხმების მოქმედება არ ვრცელდება იმ ობლიგაციებზე, რომლის პატრონები არიან არა ფრანგები და იმ ობლიგაციებზე, რომელთა კატიროვკა არ ხდება საფრანგეთში; კრედიტების საკითხში საბჭოთა დელეგაცია მოითხოვს კრედიტების მიღებას 120 მილ. დოლარის რაოდენობით, 20 მილ. დოლარს ყოველწლიურად, ექვსი წლის განმავლობაში; ამასთანავე ამ კრედიტების ყოველი ნაწილი გადახდილ იქნება ექვსი წლის ვადაში. კრედიტების ორი მესამედი გამოყენებულ იქნება დაკვეთებისათვის საფრანგეთის მრეწველობის წარმოებებში, ხოლო ერთი მესამედი—საქონლის შესაძენად ფრანგი კომერსანტებისაგან და მოხმარდება საბჭოთა კავშირის ეკონომიურ აღორძინებას. საბჭოთა დელეგაცია მზად არის განიხილოს საკითხი ამ კრედიტების რეალური გარანტიის შესახებ; შეთანხმება ვალების შესახებ ძალაში შედის იმ დროიდან, როცა ძალაში შევა შეთანხმება კრედიტების შესახებ. საბჭოთა მთავრობა კისრულობს ექვსი თვის ვადაში შეიტანოს საფრანგეთის ბანკში 30 მილიონი ფრანკი ოქროთი, ეს თანხა ფასიან ქაღალდის პატრონთა შორის უნდა განაწილდეს მაშინვე, როგორც კი მოხდება ვალებისა და კრედიტების შესახებ დადებული შეთანხმების რატიფიკაცია. (ადს).

საფრანგეთის პრესის აზრი

პარიზი, 23 სექტემბერი. **„მატენ“-ი**, განაგრძობს რა კამპანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სწერს:

„თავის ფულების აჩხრიალებით, ლიტვინოვი სცდილობს ბოლშევიკების სასარგებლო მდგომარეობის შექმნას საფრანგეთში“.

შემდეგ „მატენ“-ს მოჰყავს ლიტვინოვის ორივე განცხადება და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პირველი განცხადება უარყოფილ იქნა არა მარტო საფრანგეთის პრესის ერთი ნაწილის მიერ, არამედ ოფიციალური წესითაც.

„ხოლო ლიტვინოვის განცხადება, — სწერს გაზეთი,—იმდენად საეჭვო იყო, რომ მთავრობამ საჭიროდ სცნო ამ განცხადების უარმყოფი განცხადების გაკვრა ბირჟის შენობაში“.

მემარცხენე ბურჟუაზიული **„ევრ“-ი** აღნიშნავს, რომ რეაქციონური პრესა განაგრძობს რაკოვსკის გაძევების დაჟინებით მოთხოვას და სცდილობს მთავრობის აყოლიებას. გაზეთი რჩევას იძლევა, რომ გადათვალიერებულ იქნას ოპოზიციის განცხადების ტექსტი, რომელსაც ხელი მოაწერა რაკოვსკიმ და, რომელიც არ შეიცავს ისეთ რამეს, რაც მიმართულია საფრანგეთის წინააღმდეგ.

მემარცხენე ბურჟუაზიული **„ვოლონტე“**, უკეთებს რა კომენტარიებს ლიტვინოვის განცხადებას და საფრანგეთის მთავრობის უარყოფას, სწერს:

„აშკარაა, რომ ჩვენი დიპლომატია განსხვავებას პოულობს განცხადებასა და პრინციპიალურად მიღებულ შეთანხმებას შორის. მაგრამ შესაძლებელია სადავო საკითხების მოწესრიგება, რამდენადაც **მინისტრთა საბჭომ ოფიციალურად დაადასტურა, რომ მას უსაფუძვლოდ მიაჩნია ცვლილებების შეტანა ორივე ქვეყნის შორის არსებულ ურთიერთ დამოკიდებულებაში.** რაც შეეხება რაკოვსკის, ის არ დასტოვებს თავის ადგილს. **საფრანგეთი არაფერს მოიგებს იმ კაცის წასვლით, რომელიც მუდამ მუშაობდა შეთანხმების მისაღწევად.** საბჭოები არას დროს არ დათანხმდებიან მოლაპარაკების გაგრძელებაზე ავტორიტეტს მოკლებულ დიპლომატის საშუალებით, ისეთი დიპლომატის, რომლის მდგომარეობაც დამოკიდებული იქნება პრესის პირველი კამპანიისაგან. **თუ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის გაძევებისათვის საკმარისია მარტო ცილისწამება და შეურაცყოფა, მაშინ შეუძლებელი ყოფილა როგორც დიპლომატია, ისე მშვიდობიანობა“.**

მემარცხენე ბურჟუაზიული **„პარი მატინალი“** ათავსებს ლეკაშის წერილს, სადაც სწერია:

„არსებითად მთავრობა უკვე აღარ არის. პარიზს დაშორებული ბრიანი შეიძლება გახდეს ანტი-სლავიანური და ანტი-ლოკარნოს იერიშის მსხვერპლი. **რეაქციონერები იძლევიან ბრძანებას და** აქვეყნებენ ინფორმაციას, რომელსაც ოფიცალურს უწოდებენ, ხოლო შემდეგ კი საჭირო ხდება მისი უარყოფა“.

ლეკაში კითხულობს: „ლიტვინოვის განცხადება რატომ უარჰყო მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა და არა საგარეო საქმეთა სამინისტრომ“ შემდეგ ის ამტკიცებს, რომ **ლიტვინოვი მართალს ამბობს, რადგან შეთანხმება ვალების მოწესრიგების საკითხის გარშემო პრინციპიალურად მთლიანად იყო მიღებული** და მოუწესრიგებელი დარჩა მხოლოდ საკითხი კრედიტების რაოდენობისა და ვალების გადახდის დაწვრილებითი პირობების შესახებ.

„საფრანგეთის დელეგაციის განმარტება, — სწერს ლეკაში, — **მხოლოდ ყოველმხრივ ადასტურებს რუსების მტკიცებას“.**

„ენტრანსიჟანი“ (მემარჯვენე გაზეთი), ადარებს რა ერთი მეორეს დე-მონზის ფრთხილ განცხადებას შეთანხმების შესაძლებლობის შესახებ და ლიტვინოვის გარკვეულ მითითებებს, რომლებიც გაზეთს მეტად „სახიფათოდ“ ეჩვენება. სწერს:

„შეთანხმების პროექტი არის დიდი სისულელე, რადგან საბჭოთა კავშირი გვპირდება ვალის გადახდას იმ ფულებიდან, რომელსაც ის სესხად მიიღებს“.

ახალი წინადადებები

პარიზი, 23 სექტემბერი. ჰავასის სააგენტო დღევანდელი დილის ცნობით და მატებით იუწყება, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კონფერენციაზე წარმოდგენილ საფრანგეთის დელეგაციის თავმჯდომარემ **დე-მონზიმ საჭიროდ სცნო გამოაქვეყნოს, რომ მან დღეს მიიღო საბჭოთა დელეგაციის ნოტა, რომელიც შედგენილია 21 სექტემბერს და ხელს აწერს რაკოვსკი. ნოტა შეიცავს საბჭოთა ახალ წინადადებებს. ამასთან ერთად დე-მონზი გაფრთხილებულია, რომ საბჭოთა მთავრობას განზრახული აქვს აღნიშნულ წინადადებების გამოქვეყნება. (ადს).**

„მატენმა“ იცნო თავისი თავი

პარიზი, 23 სექტემბერი. „მატენ“-ის რედაქციამ აღძრა საჩივარი „იუმანიტეს“ წინააღმდეგ და მოითხოვა 100.000 ფრანკი კაშენის წერილის მოთავსებისათვის. კაშენის წერილი შეეხება იმ კამპანიას, რომელსაც „მატენი“ აწარმოებდა საბჭოთა საელჩოს წინააღმდეგ. ამ წერილებში კაშენი, „მატენის“ მოუხსენებლად, სწერდა „ძირმომპალი პრესისა“ და „ჟურნალიზმის ბანდიტების“ შესახებ. **გაზეთმა ეს ლანძღვა თავისი მისამართით მიიღო. (ადს).**

მდგომარეობა ჩინეთში

შეტაკება იაპონელებთან ხანკოუში

შანხაი, 23 სექტემბერი. იაპონიის სააგენტო ტოხოს ცნობით, ჩინეთის ჯარები სცდილობდენ აეძულებიათ იაპონიის გემ „ჩანშას“ კაპიტანი, რომ მას გამოეყვანა ისინი ხანკოუდან.

„იაპონიის ზარბაზანმა, — ნათქვამია სააგენტოს ცნობაში, — ხელი შეუშალა ჩინეთის ჯარებს შეესრულებიათ თავიანთი განზრახვა. ამასთანავე, იაპონიის ჯარებმა განაიარაღეს და დააპატიმრეს ჩინელი ჯარისკაცები, რომელნიც გემში ჩაჯდენ.

იაპონიის ხელისუფლებამ გამოიწვია, ჩინეთის სამხედრო ხელისუფლება, რათა გადაეცა მისთვის დაპატიმრებული ჩინელი ჯარისკაცები. ჩინეთის ხელისუფლებამ დაპატიმრებულების წასაყვანად გაგზავნა თავისი ჯარის რაზმი. როცა **რაზმი შეეცადა იაპონიის კონცესიაზე გადასვლას, რაზმს წინააღმდეგობა გაუწია იაპონიის კონცესიის მცველმა რაზმმა. ჩინელებმა ასტეხეს სროლა, რომლის დროსაც დასჭრეს ერთი იაპონელი ჯარისკაცი. იაპონიის ჯარებმაც სროლითვე უპასუხეს, ხოლო იაპონიის სამხედრო გემმა ტყვიისმფრქვეველი დაუშინა ჩინელ ჯარისკაცებს.** იაპონიის კონცესიაზე გადმოსხეს იაპონიის საზღვაო ქვეითა რაზმი. ხანკოუში მივიდა იაპონიის გამანადგურებელი საზღვაო ქვეითა რაზმით. რაზმში ირიცხება 200 კაცი. (ადს).

ინგლისელები ყუმბარებს უშენენ

შანხაი. 23 სექტემბერი. კანტონის ჩინური გაზეთები მხოლოდ ახლა იუწყებიან, რომ **ინგლისის თვითმფრინავებმა 5 სექტემბერს ყუმბარები დაუშინეს ბიასის ყურეს ნაპირზე მდებარე სოფლებს (გუანდუნის სამხრეთით). დანგრეულია ბევრი სახლები.** მსხვერპლთა რაოდენობა გამოურკვეველია. (ადს).

აჯანყებულები ავიწროებენ მთავრობის ჯარებს

შანხაი, 23 სექტემბერი. ჰონკონგის გაზეთების ცნობით, გლეხების რაზმებსა და მთავრობის ჯარებს შორის ლიუდიჩსა და კოპის (ქალაქები მდინარე ხანის ნაპირზე, გუანდუნის პროვინციის ჩრდილო-აღმოსავლეთით) რაიონში ხდება შეტაკებები. გაზეთების ცნობით. **მთავრობის ჯარებმა უკან დაიხიეს. (ადს).**

იაპონიის ვიცე — კონსულის „მაგარი“ ტონი

შანხაი, 23 სექტემბერი. იაპონიის სააგენტო ტოხოს ცნობით, იაპონიის ვიცე — კონსულმა ხანკოუში იაპონიის და ჩინეთის ჯარების შეტაკებისთანავე მოსთხოვა ტან - შენ-ჩის შტაბის უფროსს გენერალ ჩჟან-იუ-პენს, რათა მას დაუყოვნებლივ გაეგზავნა ადმირალ არიკისაან (იაპონიის ესკადრილიის უფროსი ხანკოუში) და იაპონიის კონსულთან „უმაღლესი სამხედრო უფროსი“ ბოდიშის მოსახდელად ინციდენტის გამო და გარანტიის მისაცემად, რომ ამგვარი შეტაკებანი მომავალში აღარ განმეორდება. გენერალმა ჩჟან-იუ-პენმა,—სააგენტოს სიტყვით, დაარწმუნა ვიცე—კონსული, რომ აუცილებელი ნაბიჯები ინციდენტის ლიკვიდაციისათვის დაუყოვნებლივ იქნება გადადგმული ტან შენჩის ჩამოსვლისთანავე. თავის მხრით ჩჟან - იუ-პენი შეჰპირდა, რომ შეიარაღებულ ჩინელ ჯარისკაცებს აუკრძალავს იაპონიის კონცესიის საზღვართან მოახლოვებას ხანკოუში. სააგენტო აღნიშნავს, რომ მსხვერპლის რაოდენობა ჯერ არ არის გამორკვეული; სააგენტო, უარჰყოფს ჩინეთის გაზეთების ცნობას, რომ მსხვერპლს ჩინეთის სამოქალაქო მოსახლეობის შორის ადგილი არ ჰქონია

მდგომარეობა ფრონტებზე

შანხაი, 23 სექტემბერი. პეკინიდან მიღებული ცნობით, **ფინ-იუი-სიანმა სასტიკად დაამარცხა მის წინააღმდეგ აჯანყებულ ჩინ-იუ-ნაოს ჯარები.**

ფინ-იუი-სიანის ჯარები განაგრძობენ მათ დევნას.

ამავე დროს იტყობინებიან, რომ ტანშენ-ჩიმ ჩინ-იუ-ნაოს დასახმ. გაგზავნა 30.000 ჯარისკაცი და რომ მუკდენის ჯგუფმა გადასწყვიტა დაიწყოს შეტევა ფინ-იუი-სიანის წინააღმდეგ სამი მიმართულებით. პეკინში არ ჰკარგავენ იმის იმედს, რომ ენ-სი-შანს დაითანხმებენ სინცზიაუნის გზით ჯარების გატარებაზე.

პროვოკატორის დასჯა

შანხაი. 23 სექტემბერი. იუწყებიან, რომ მოკლულ იქნა ჯაშუში, რომელიც იაპონიის ერთერთ საფეიქრო წარმოების ადმინისტრაციას ჰყავდა დაქირავებული მუშებისათვის თვალყურის სადევნებლად. (ადს).

ერთა ლიგის სესიაზე

ფინანსიური დახმარების აღმოჩენა იმ ქვეყნებისათვის, რომელსაც თავს დაესხმიან

ბერლინი, 23 სექ. ერთა ლიგასთან არსებულმა განიარაღების კომისიამ მიიღო ფინეთის წინადადება, რათა გაგრძელებულიყო განხილვა საკითხისა ფინანსიურ დახმარების აღმოჩენის შესახებ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც თავს დაესხმიან. რეზოლიუციის პროექტში, რომელიც შეიტანა ფინეთმა, ერთა ლიგის საბჭოს ეძლევა წინადადება მიიღოს ზომები ლიგის საფინანსო კომისიის პროექტის დეტალურად დასამუშავებლად, რათა განიარაღების კონფერენციას საშუალება ექნას გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება. ერთა ლიგასთან არსებულმა განიარაღების კომისიამ მიიღო ფინეთის წინადადება, რომ შემდეგში განაგრძოს განხილვა საკითხისა ფინანსიურ დახმარების აღმოჩენის შესახებ იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთაც თავს დაესხმიან.

საფინანსო კომისიის პროექტი ითვალისწინებს სესხის უზრუნველყოფას იმ სახელმწიფოსათვის, რომელსაც თავს დაესხმიან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლიგის საბჭო გამოარკვევს—ვინ არის თავდამსხმელი მხარე და სცნობს, რომ თავდამსხმელმა მხარემ დაარღვია სათანადო ხელშეკრულება. მაგრამ ეს შეუძლებელია, სანამ ძალაში რჩება რეზოლიუცია ლიგის წესდების მე-16 მუხლის შესახებ,, რომელიც თვითეულ სახელმწიფოს აძლევს უფლებას თითონ განაცხადოს, რომ ადგილი აქვს ხელშეკრულების დარღვევას.

კომისიის თავმჯდომარე ბენეშმა განაცხადა, რომ ფინეთის წინადადება განისაზღვრება მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ საჭიროა გაგრძელდეს შემდგომი შესწავლა ფინანსიურ დახმარების უკვე არსებულ გეგმისა.

შემდეგ კომისია გადავიდა გორერის წინადადების განხილვაზე. გორერი იძლევა რჩევას, რომ უახლოეს დროში მოწვეულ იქნას კონფერენცია იარაღის დამზადების საკითხის შესახებ. ამ კონფერენციამ „უნდა გაათანასწოროს ის ქვეყნები, რომლებიც არ ამზადებენ იარაღს, იმ ქვეყნებთან, რომლებიც ამზადებენ მას“.

მიღებულ რეზოლიუციაში კომისიამ გამოსთქვა ის აზრი, რომ კონფერენციის მოწვევა საჭიროა. (ადს).

უნგრეთი ჟენევის მარცხის შემდეგ

ჟენევა, 23 სექტემბერი. უნგრეთის მთავრობის წრეებში მეტად მძიმე სულიერი განწყობილებაა იმის გამო, რომ რუმინეთ-უნგრეთის კონფლიქტი რუმინეთის სასარგებლოდ გადაჭრა ერთა ლიგამ. ნაციონალისტურ მემამულეთა წრეები შიშობენ, რომ ერთა ლიგაში უნგრეთის დამარცხების გამო კვლავ შეიძლება წარმოიშვას საკითხი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენის შესახებ; ამიტომ მათ წინასწარ დაიწყეს ანტი-საბჭოთა კამპანიის წარმოება. ამ კამპანიის გამო მთავრობის პრესა აცხადებს, რომ უნგრეთმა „გადაჭრით და საბოლოოდ უარჰყო საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენის აზრი. (ადს).

მისალმება კომინტერნის აღმასკომს

ულანბატორი, 23 სექტემბერი. მონღოლეთის სახალხო-რევოლიუციონურ პარტიის მე-6-ე ყრილობის გახსნის გამო, აღნიშნულმა პარტიამ გაუგზავნა კომინტერნის აღმასკომს მისასალმებელი დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია:

„მანღოლეთის სახალხო-რევოლიუციონური პარტია მტკიცედ სდგას სადარაჯოზე ნაციონალური რევოლიუციის მონაპოვართა, მონღოლეთის ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად. **პარტია თანაგრძნობას უცხადებს ჩინეთის ჩაგრულ ხალხს და იბრძოლებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ კომინტერნის აღმასკომის ხელმძღვანელობით.** (ადს).

უცხოელ კომუნისტების გადასახლება საფრანგეთიდან

პარიზი, 23 სექტემბერი. მემარცხენე ბურჟუაზიული „ვოლონტე“ იუწყება, რომ **პარიზის პოლიციამ უკანასკნელ კვირეებში საფრანგეთიდან გადაასახლა მრავალი უცხოელი იმის გამო, რომ ისინი ეკუთვნოდენ კომპარტიას.** ადამიანის უფლებათა ლიგამ ამის გამო გამოაქვეყნა მიმართვა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი, რომელშიაც აღნიშნავს, რომ არავინ არ შეიძლება იქნეს მიცემული პასუხისგებაში მხოლოდ თავისი რწმენისათვის, და ამიტომ, სანამ კომუნისტური რწმენა არ იქნება გამოცხადებული დანაშაულად, უცხოელ-კომუნისტების გადასახლება უკანონოა. (ადს).

რევოლიუციონური მოძრაობა იავაზე

პარიზი, 23 სექტემბერი. გაზეთ „კურიე დე საიგონ“-ის ცნობით, მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, რევოლიუციონური მოძრაობა კუნძულ იავაზე ფართოვდება. გაზეთის სიტყვით, ადგილობრივ მცხოვრებთა სულიერი განწყობილება უფრო რევოლიუციონურია, ვინემ ის იყო აჯანყებამდე. ბატავიაში ადგილობრივ მცხოვრებთა უბანში გამართულ მიტინგის დროს პოლიციამ მოჰკლა „კომუნისტი ორატორი“, რადგან მისი დაპატიმრება ვერ შესძლო მიტინგის მონაწილეთა წინააღმდეგობის გამო.

გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს უკმაყოფილების ზრდას ადგილობრივ ჯარებს შორის.

„უკანასკნელ დროს, სწერს გაზეთი, **ჯარისკაცები ხშირად არ ემორჩილებიან უფროსებს, ხოლო მასიური დეზერტირობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა“.** (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

მემარცხენე პრესის გამოძახილი რაკოვსკის ნოტაზე

პარიზი, 24 სექტემბერი. მემარცხენე-ბურჟუაზიული „ვოლონტე" სწერს: „გუშინდელი დღე ისტორიული დღე იყო საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობათა ისტორიისათვის. საიდუმლოება, რომლითაც მოცული იყო კონფერენციაზე მიღწეული შედეგები, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა საბჭოთა დელეგაციას. საბჭოთა დელეგაცია დათმობების გზაზე წავიდა ბევრად უფრო შორს, ვიდრე ამას ვინმე ფიქრობდა, მაშინ, როდესაც მას ბრალს სდებდენ იმაში, რომ ის არასერიოზულად ეკიდება მოლაპარაკებას და არ მიდის დათმობებზე ამრიგად კამპანია რაკოვსკის წინააღმდეგ კარგავს ყოველგვარ მნიშვნელობას. ჩვენ მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ნამდვილი სიმართლე საფრანგეთის მხარეზე არ არის".

ჰავასის ცნობა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების შესახებ

პარიზი, 24 სექტემბერი, ჰავასის სააგენტო იუწყება: „საბჭოთა წინადადებებს, უეჭველია, უახლოეს დროში განიხილავს საფრანგეთის დელეგაცია რუსეთის ვალების მომწესრიგებელ კონფერენციაზე. მაგრამ ჯერ კიდევ არ არის დანიშნული არც კონფერენციის სხდომისა და არც საფრანგეთის დელეგაციის სხდომის თარიღი". (ადს).

„ბოლუა" უკმაყოფილოა საბჭოთა კავშირის წინადადებით

პარიზი, 24 სექტემბერი. საფრანგეთის მემარჯვენე პრესა კომენტარიებს უკეთებს საბჭოთა კავშირის წინადადებებს ვალების საკითხების შესახებ—უაღრესად მტრული ტონით.

„ბოლუა" სწერს: „საბჭოთა კავშირის წინადადებები—ეს ზურგში დარტყმაა, ვინაიდან რაკოვსკი პალატის სესიის გახსნის წინადღით და ნახევარი წლით ადრე არჩევნებამდე აყენებს საფრანგეთის მთავრობას ალტერნატივის წინაშე—ან დაემორჩილოს მოსკოვის უტიფარ მოთხოვნილებებს, ან დაჰკარგოს აქციების წვრილ მეპატრონეთა მიერ საფრანგეთის ვაჭრობისა და მრეწველობისათვის ხელისშეწყობა" (ადს).

პოლონეთის პროექტი მიიღო ერთა ლიგამ

ბერლინი, 24 სექტემბერი. ერთა ლიგის პლენარულ სხდომაზე სახელობითი კენჭის ყრით ერთხმად იქნა მიღებული პოლონეთის პროექტი დეკლარაციისა უშიშროების გარანტიების შესახებ. კენჭის ყრის წინ პოლონეთის დელეგატი სოკალი ხაზს უსვამდა, რომ ამ დეკლარაციის მიღება არავითარ იურიდიულ ვალდებულებებს არ დააკისრებს ლიგის წევრებს. (ადს).

გომინდანის ტერორი

შანხაი, 24 სექტემბერი. თანდათან მოდის დაწვრილებითი ცნობები გომინდანის ტერორის შესახებ, რომელსაც მოჰყვება პარტიული „წმენდა" გუანის პროვინციაში. ნანჩინის პროვინციის მთავარ ქალაქში მოხდა საერთო ჩხრეკა, რომლის შემდეგ დაპატიმრებულია 50-ზე მეტი კაცი. ამათგან 18 კაცი, რომლებშიაც ერთია გომინდანის ადგილობრივ ორგანო „ტონ-ბაოს" და განსაკუთრებით რევოლიუციონურად განწყობილ პროფკავშირთა რამოდენიმე წარმომადგენელი, დაუყოვნებლივ დასაჯეს სიკვდილით გაუსამართლებლად და გამოუძიებლად. საშინელ წამების გამო რომელსაც დაპატიმრებულნი განიცდიდენ, რამოდენიმე მათგანმა სინჯა თავის მოკვლა. რამოდენიმე დღის განმავლობაში ნანჩინის ქალაქის კარი დაკეტილი იყო. ქალაქში შემოსულებს ჩხრეკდენ და ჩვენებას ართმევდენ ქალაქის კართან დაყენებული გამწმენდ კომისიის წევრები. ასეთივე რეპრესიები მიღებულია ქალ. ლუნჩჟოუში, გუაიპინში და ვუჩჟოუში. (ადს).

ჩან-კაი-ში შანხაიში

შანხაი, 24 სექტემბერი, შანხაიში ჩამოვიდა ჩან-კაი-ში თავის შტაბის მრჩეველისა და გაძლიერებულ დამცველ რაზმის თანხლებით. თანახმად ოფიციალურ ცნობებისა, ჩან-კაი-შის შანხაიში ჩამოსვლა დაკავშირებულია მის განზრახვასთან გაემგზავროს უახლოეს დროში ამერიკაში. მაგრამ ნანკინის გაერთიანებულ მთავრობის თვალსაჩინო წევრები სთხოვენ ჩან-კაი-შის, რომ მან უკან წაიღოს თავის გადადგომა. (ადს).

კრიზისი უხანში

შანხაი, 24 სექტემბერი. მდგომარეობა ხანკოუში თანდათან მწვავდება. ისევ მწვავედ საგრძნობია მარილის და ბრინჯის ნაკლებობა. უხანის ფულის კურსი ეცემა. სავაჭროების დახურვა გრძელდება. ადგილი აქვს მრავალრიცხოვან დაპატიმრებას. ყოველ დღე ხდება სიკვდილით დასჯა. გლეხთა რაზმებს ისევ უკავიათ სადგური გუანბან. (ადს)

გერმანიის ელჩის დაღუპვა

ბერლინი, 23 სექტემბერი, ვოლფის სააგენტო იტყობინება, რომ შლეიცის მახლობლად ტიურინგიაში მოხდა ჰაერპლანის კატასტროფა. მოკლულია პილოტი და 4 მგზავრი. მოკლულთა შორის არის გერმანიის ელჩი ვაშინგტონში ბარონი მალცანი. (ადს).

მექსიკის მუშათა დელეგაცია მოსკოვში

მექსიკა, 23 სექტემბერი. მექსიკის კომუნისტურმა პარტიამ და მთელმა რიგმა მემარცხენე ორგანიზაციებმა დაადგინეს გაგზავნონ დელეგატები საბჭოთა კავშირში ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად (ადს).

ლეკუენი განთავისუფლებულია

პარიზი, 23 სექტემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ საკოსა და ვანცეტის დამცველ კომიტეტის მდივანი ლეკუენი დაკითხვის შემდეგ განთავისუფლებული იქნა.

გერმანიის პრესა მალცანის დაღუპვის შესახებ

ბერლინი, 24 სექტემბერი. მთელი გერმანიის პრესა სწერს ტრაგიკულად დაღუპულ ელჩ მალცანის დამსახურებათა შესახებ, გამონაკლის შეადგენს მხოლოდ „ფორვერტს"-ი, რომელიც არ იწონებს მალცანის დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ მოღვაწეობისადმი, იმ როლს, რომელსაც თამაშობდა განსვენებული რაპალოს ხელშეკრულების დადებაში და საერთოდ მის „ცალმხრივ ორიენტაციას აღმოსავლეთზე". (ადს).

რემედასის პლაკატების გაკვრისათვის

ვარშავა, 23 სექტემბერი. ვარშავის საოლქო სასამართლომ 8 თვის ციხე მიუსაჯა 16 წლის ახალგაზრდა ბუბერს რემედასის პლაკატების გაკვრისათვის. პლაკატებში მოითხოვდენ პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებას პოლონეთში. რევოლიუციონურ სიმღერათა კრებულის გამომცემელს მიუსაჯა 2 თვის ციხე კრებულში „ინტერნაციონალის" მოთავსებისათვის. (ადს).

კონცესიონერები ხელს აწერენ ინდუსტრიალიზაციის სესხზე

მოსკოვი, 24 სექტემბერი. მსხვილმა ამერიკელმა კონცესიონერმა მოსკოვში ჰამერმა ხელი მოაწერა სახელმწიფო ბანკში ინდუსტრიალიზაციის სესხს 500.000 მან. რაოდენობით. ასეთივე წინადადებები მოდის სხვა კონცესიონერებისგანაც. (ადს).

ალიოხინ - კაპაბლანკას მატჩის მეოთხე პარტია გადადებულია

ბუენოს-აირესი, 24 სექტემბერი. ალიოხინ-კაპაბლანკას მატჩის მეოთხე პარტია შესწყდა 40 სვლის შემდეგ. მოთამაშეთა უმეტესი ნაწილი ფიქრობს, რომ პარტია უშედეგოდ გათავდება. ალიოხინმა დაიწყო პარტია დედოფლის გამბიტით. (ადს)

სამხრეთ-სლავიის ნოტა

ვენა, 23 სექტემბერი. სამხრეთ-სლავიის ელჩმა სოფიაში ბულგარეთის მთავრობას გადასცა ნოტა, რომელშიაც ბულგარეთის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ ბულგარეთის მოქალაქეთაგან შემდგარი მაკედონელ „ავტონომისტთა" ჯგუფი მოქმედებს სამხრეთ სლავიის ტერიტორიაზე. ეს მოქმედება უკანასკნელ ხანებში გამოიხატა სხვათა შორის იმაში, რომ მოწყობილ იქნა რამოდენიმე თავდასხმა ყუმბარების საშუალებით. ნოტა გამოსთქვამს იმედს, რომ ბულგარეთის მთავრობა მიიღებს აუცილებელ ზომებს, რათა თავიდან იქნას აცილებული დაბრკოლებანი, რომელიც შეიძლება შეიქნეს სამხრეთ-სლავია-ბულგარეთის დაახლოებისათვის. (ადს).

ბულგარეთის რევოლიუციონერების გასამართლება

ვენა, 23 სექტემბერი. ფილიპოპოლის საოლქო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი 34 ბულგარელ რევოლიუციონერთა საქმეზე, რომელნიც დაპატიმრებული იყვენ ფილიპოპოლში და პასარჯიკში. ორ მათგანს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, სამს—დაპატიმრება 15 წლით, სამს — დაპატიმრება 12 წლით, შვიდს — დაპატიმრება 7 წლით, ორს—დაპატიმრება 2 ნახ. წლით. ბრალდებულნი განაჩენს ინტერნაციონალის სიმღერით შეხვდენ. (ადს).

ფაშისტების სასამართლოს წინაშე

რომი, 23 სექტემბერი. გაზეთების ცნობებით, კვლევა - ძიება იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელთა საქმეზე დასრულდა და გადაეცა საგანგებო ტრიბუნალს. პროცესი დაიწყება ამ დღეებში. ბრალდებულთა შორის არიან დეპუტატები: გრამში, რივალდი, ფერანი, ბენდინი, მოლინელი და სხვები, აგრეთვე ტერაჩინი. თითქმის ყველა ბრალდებულები დაპატიმრებული არიან 1926 წლის ნოემბრიდან. (ადს).

შრომის უნიტარული კონფედერაციის ყრილობა

პარიზი, 23 სექტემბერი. შრომის უნიტარული კონფედერაციის ყრილობის 22 სექტემბრის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა იტალიის პროლეტარიატის, ინგლისის მეუმცირესეთა მოძრაობის მისალმებები და საფრანგეთში მყოფ ჩინელ მშრომელთა ასოციაციის განცხადება შრომის უნიტარულ კონფედერაციაში შესვლის შესახებ.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა ცეკას წარმომადგენლის ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა პროფკავშირების დელეგატებს და პროფინტერნის წარმომადგენლებს არ მიეცათ საფრანგეთში შესვლის ნება ყრილობაზე დასასწრებლად. ცეკას წარმომადგენელმა გამოაქვეყნა ლოზოვსკის დეპეშა და პროფინტერნის მისალმება.

შემდეგ გამოვიდა **მონმუსო**, რომელმაც წარმოადგინა რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია:

„ყრილობა იწონებს შრომის უნიტარული კონფედერაციის ცეკას ხაზის სისწორეს და აცხადებს, **რომ რჩება პროფინტერნის წესდებაში მოყვანილ პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპის** ერთგული, მაგრამ, ვინაიდან ყრილობა საჭიროდ სთვლის, რომ არავითარი არგუმენტი არ უნდა იყოს დატოვებული უმცირესობისა ან და კონტრ-რევოლიუციონური ელემენტების ხელში, რომლებიც მზად არიან გამონახონ ყოველივე საბაბი კონფედერაციის წინააღმდეგ გასალაშქრებლად—ამიტომ ყრილობა ადგენს ამოშალოს წესდებიდან ეს მუხლი".

რეზოლიუცია მიღებულ იქნა ერთხმად ერთის წინააღმდეგ (ადს).

მონმუსოს მოხსენება პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ

პარიზი, 23 სექტემბერი. შრომის უნიტარული კონფედერაციის ყრილობის მესამე დღე დაიწყო **მონმუსოს** მოხსენებით პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ.

„რეფორმისტების ბელადები,—სთქვა მონმუსომ,—ცდილობენ გათიშვის გამოწვევას და საბოტაჟს უცხადებენ მთლიანობას, მაგრამ ეს ვერ შეაჩერებს ბრძოლას მთლიანობისათვის. სერიოზული კრიზისისა და მწარმოებელთა შეტევის წინაშე აუცილებელია მთლიანი ფრონტის განხორციელება ყველა ბრძოლებში კაპიტალიზმის წინააღმდეგ".

შემდეგ მონმუსომ წაიკითხა კომისიის მიერ მიღებული რეზოლიუცია ამ საკითხის შესახებ.

მონმუსოს მოხსენების გარშემო გამართულ კამათში რამოდენიმე დელეგატმა წამოაყენა წინადადება მთლიანი ფრონტის შექმნის წინააღმდეგ, მაგრამ **ყრილობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა კომისიის რეზოლიუციას.**

მონმუსომ კამათში განაცხადა:

„შტაბის საყოველთაო კონფერენციის ხელმძღვანელები ჩვენს წინადადებებს უარყოფენ არა პირადი ანტიპატიის მოსაზრებით, არამედ იმის გამო, რომ ისინი არიან ბურჟუაზიის პროგრამის დამცველები მუშათა კლასის წრეებში. ჩვენ არასოდეს არ დავთანხმდებით ნეიტრალური პოზიციის დაჭერაზე და კლასებთან თანამშრომლობის კრიტიკის შეწყვეტაზე".

ერკოლის მოხსენება იმპერიალიზმის შესახებ

მოხსენება იმპერიალიზმის შესახებ გააკეთა **ერკოლიმ**.

„უპირველეს ყოვლისა,—განაცხადა მან,—**აუცილებელია საბჭოთა კავშირის დაცვა. ჩვენ ვაფრთხილებთ მმართველ იმპერიალისტურ წრეებს, რომ მთელი მსოფლიოს მუშები წითელი არმიის მხარეზე იქნებიან, თუ მას ვინმე დაესხმება თავზე. ომის გამოცხადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ნიშნავს ომის გამოცხადებას მთელი მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ".**

რაკამონის მოხსენება ჩინეთის შესახებ

რაკამონმა გააკეთა მოხსენება ჩინეთის მდგომარეობის შესახებ. მან მოუწოდა ყრილობას, რომ **მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები ფრანგების ახალი ჯარების გადაგზავნის წინააღმდეგ. (ადს)**

„მკვლელობის ქება"

პარიზი, 23 სექტემბერი. „კოტი დიენი" იუწყება, რომ საკოსი და ვანცეტის დამცველი კომიტეტის მდივანს **ლეკუენს**, რომელიც დააპატიმრეს ამერიკის ლეგიონერთა საპატივცემლოდ ტროკადერის სასახლეში გამართულ საზეიმო სხდომაზე, რომელზედაც მან დაიძახა: „საუკუნო ხსოვნა საკოსა და ვანცეტის"!,— ბრალად ედება „მკვლელობის ქება" (ადს).

კაპაბლანკა—ალიოხინი

ბუენოს-აირესი, 23 სექტემბერი. კაპაბლანკასთან მატჩის მესამე პარტიის გათამაშების დროს **ალიოხინმა**, რომელიც შავებით თამაშობდა. მე-41 სვლაზე თავი დამარცხებულად სცნო.

ამხ. კუტიურიეს საქმე

პარიზი, 23 სექტემბერი. დაიწყო ძიება ამხ. ვაიან - კუტიურიეს („იუმანიტე"-ს რედაქტორი), საქმეზე. მას ბრალად ედება ის, რომ წერილში 30 მარტის თარიღით, ის ანარქიულ მიზნებისათვის მოუწოდებდა სამხედრო მოსამსახურეებს არ დამორჩილებოდენ თავის უფროსებს. (ადს).

ტენი-დემპსეი

ნიუ-იორკი. 23 სექტემბერი. 23 სექტემბერს ჩიკაგოში შესდგა მატჩი ბოქსერებს ტენის და დემპსეის შორის მსოფლიო ჩემპიონის წოდებაზე. ტენიმ დაამარცხა დემპსეი მეათე რაუნდზე. მატჩი მოწყობილი იყო წმინდა კომერციულ ანგარიშით. სულ შეგროვდა—2.800.000 დოლარი. ტენიმ მიიღო ჯილდოთ 1 მილიონი დოლარი, დემპსეიმ 450.000 დოლარი. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ტერორისტ-მონარქისტების საქმე

ლენინგრადი, 24 სექტემბერი. სასამართლოს კვლევა-ძიება ტერორისტ - მონარქისტების საქმეზე დამთავრდა.

სასამართლოს 23 სექტემბრის საღამოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა პროკურორი ამხ. კატანიანი, მან დაწვრილებით დახასიათა უცხოეთის დაზვერვისა და ინგლისის ცნობილი ჯაშუშის რეილის მოღვაწეობა. პროკურორი შეჩერდა თითოეული ბრალდებულის ბოროტმოქმედებაზე და განაცხადა, რომ ბრალდებას ის დამტკიცებულად სთვლის, და ყველა ბრალდებულთა მიმართ მოითხოვს უმაღლესი სოციალური დაცვის ზომას—დახვრეტას.

ჰაერში დაკრძალვა

მოსკოვი, 24 სექტემბერი. 25 სექტემბერს დილის 11 საათზე მოსკოვის ცენტრალურ ჰაეროდრომიდან აფრინდება თვითმფრინავი, რომელიც ეკუთვნის „დობროლიოტ"-ს. თვითფრინავი ჰაერში გააბნევს ამას წინად მოსკოვში გარდაცვალებულ და კრემატორიუმში დაწვულ ვიფენის ფერფლს. ვიფენი იყო ამერიკის სააგენტოს „ასოშიეიტედ პრესს"-ის მოსკოვის კორესპონდენტი. ეს საჰაერო დაკრძალვა ხდება თანახმად განსვენებულის ანდერძისა (ადს).

ტელეფონი ეკრანით

მოსკოვი, 24 სექტემბერი. გამომგონებელმა რჩეულოვმა გააკეთა განსაკუთრებული ხელსაწყო სურათების გადასაცემად მანძილზე. ეს ხელსაწყო, დადგმული ტელეფონის აპარატზე, იძლევა ტელეფონით მოლაპარაკე პირების დანახვის საშუალებას.

თავის ხელსაწყოს განსაკუთრებულად რჩეულოვი მუშაობას აწარმოებდა ოქსფორდის უნივერსიტეტში. მასიურ დამზადების დროს ასეთი ხელსაწყო არ ეღირება 50 მანეთზე მეტი.

პარტიული ცხოვრება

გაცხოველებული ენერგიით უნდა ჩავატაროთ

ამჟამად საბჭოთა კავშირში პირველად ტარდება საბჭოების წევრ მუშა და გლეხ-ქალთა კონფერენციები და ყრილობები. საბჭოების დეპუტატ - ქალების საკავშირო ყრილობისათვის მოსამზადებლად საქართველოში 2 ოქტომბრისათვის მოწვეულია დეპუტატ - ქალების რესპუბლიკანური ყრილობა. ხოლო ამ ყრილობის მოწვევამდე ყველა მაზრებში და ოლქებში მოწვეული იქნება დეპუტატ - ქალების კონფერენციები.

რა მნიშვნელობა აქვს ამ კონფერენციებს და ყრილობებს?

ოქტომბრის რევოლიუციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს წარმოადგენს მშრომელ ქალთა მასების ჩაბმა სახელმწიფოებრივ მშენებლობის საქმეში. ოქტომბრის 10 წლის თავზე ჩვენ შეგვიძლია უკვე აღვნიშნოთ მნიშვნელოვანი მიღწევები ამ დარგში. საქართველოში, მაგალითად, მიუხედავად მკაცრი და ცუდი ზამთრისა, საბჭოების გადარჩევის უკანასკნელ კამპანიაში მონაწილეობა მიიღო—200.000 ქალმა, რაც შეადგენს ამომრჩეველ ქალთა საერთო რაოდენობის 40 პროც. საბჭოთა ორგანოებში კი არჩეული იქნა 2.378 ქალი. აღნიშნული ციფრები იმის მაჩვენებელია, თუ რა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ქალთა მუშაობა საბჭოებში. და სწორედ ამიტომ აქვს უდიდესი მნიშვნელობა დეპუტატ-ქალების ყრილობებს და კონფერენციებს.

ყრილობების და კონფერენციის მიზანია ჯამი გაუკეთოს დეპუტატ - ქალების პრაქტიკულ მუშაობას და ხელი შეუწყოს მათ სოციალისტურ მშენებლობის დარგში მუშაობის გაღრმავებას და გაფართოებას.

საბჭოთა დეპუტატ - ქალების ყრილობების და კონფერენციების დღის წესრიგის მთავარ საკითხებს შეადგენენ:

1. საბჭოების მუშაობა და მუშა და გლეხ-ქალთა მონაწილეობა ამ მუშაობაში.
2. სახალხო განათლება
3. სახალხო ჯანმრთელობა.

პირველი საკითხის განხილვა მიზნად ისახავს საბჭოთა ორგანოების მუშაობაში დეპუტატ-ქალების მონაწილეობის შემოწმებას. საჭირო იქნება პრაქტიკული ზომების შემუშავება იმ ნაკლის აღმოსაფხვრელად, რომელსაც ქონდა და დღესაც აქვს ადგილი საბჭოს წევრების, დეპუტატ - ქალების გამოყენების საქმეში. დეპუტატ - ქალების ყრილობებმა და კონფერენციებმა უნდა მიაქციონ საბჭოთა ორგანოების მეტი ყურადღება იმისათვის, რომ თითოეულმა დეპუტატ - ქალმა იგრძნოს თავი საბჭოთა აქტიურ მუშაკათ.

არა ნაკლებ ინტერესს დეპუტატ - ქალებს შორის იწვევს საკითხი სახალხო განათლების ორგანოების მუშაობა. მაშასადამე საჭიროა გაეცნონ სახგანკომის პრაქტიკულ მუშაობას მშრომელ ქალთა მასების ინტერესების დაკმაყოფილების მხრივ. შემოწმებული უნდა იქნეს საბავშვო ბაღების და მოედნების, საბავშვო სახლების, სკოლების, წერკუმსის, კლუბების, გლეხ ქალთა კუთხეების მუშაობა, ქალთა პროფტექნიკური განათლების საქმე და სხვ. ყველა ეს საკითხები განხილული უნდა იქნენ დაწვრილებით დეპუტატ - ქალების ყრილობებზე და კონფერენციებზე იმ მიზნით, რომ სახალხო განათლების საქმეში ადგილობრივ დეპუტატ - ქალების აქტიურ მონაწილეობის ნიადაგზე აცილებული იქნეს ესა თუ ის ნაკლი.

მუშაობა სახალხო ჯანმრთელობის დარგშიაც მჭიდროდ დაკავშირებულია მუშა გლეხ-ქალთა ყოფა - ცხოვრების გაუმჯობესებასთან. აქაც ყრილობების მიზანია სახალხო ჯანმრთელობის ორგანოების მუშაობის შემოწმება, განსაკუთრებით დედობის და ბავშვობის დაცვის დარგში.

უნდა შემუშავდეს კონკრეტიული ზომები მიმართული დედობის და ბავშვობის დაცვის გარშემო მუშაობის გაუმჯობესებისაკენ და საბჭოს წევრების ამ მუშაობაში მონაწილეობისათვის.

ასეთია, ის ძირითადი საკითხები, რომლის გარშემო უნდა იმუშაონ საბჭოთა დეპუტატ-ქალების კონფერენციებმა და ყრილობებმა.

საბჭოთა დეპუტატ - ქალების ყრილობები და კონფერენციები, რომლებიც პირველად ტარდება, ამჟამად უეჭველად დიდ როლს ითამაშებენ საბჭოთა დეპუტატ - ქალების აქტივობის აწევის საქმეში და ამით უფრო გააცხოველებენ საბჭოთა ორგანოების მუშაობას.

ეს კამპანია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში, რომლებიც ყველა მშრომელ ქალისაგან, პირველ რიგში კი საბჭოთა დეპუტატ - ქალისაგან მოითხოვენ მთელი ძალღონის გამოჩენას სოციალისტურ მშენებლობის დარგში.

სწორედ ამიტომ ქვეყნის თავდაცვის ენერგიული მომზადების საჭიროების ნიშნის ქვეშ უნდა ჩატარდეს საბჭოთა დეპუტატ - ქალების ყრილობები და კონფერენციები.

ვ. ჯაფარიძე.

თბ. საბჭოს დეპუტატ-ქალების თათბირის გამო

დღეს იხსნება თბილისის საბჭოს დეპუტატ-ქალების თათბირი. დღეს ქალაქის საბჭო ერთხელ კიდევ ამოწმებს თავის მასიურ მუშაობას. დღეს ფაქტიურათ ვამოწმებთ, თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში ლენინის ანდერძი იმის შესახებ, რომ „თითოეულმა მზარეულმა ქალმა უნდა იცოდეს სახელმწიფოს მმართველობა".

ქალაქის საბჭოს ირგვლივ მუშაობაში ქალების მონაწილეობა გამოიხატება არა მარტო დეპუტატ - ქალების მუშაობაში, არამედ ყოველწლიურად მის სექციებში იგზავნება ასეულობით დელეგატ მუშა - ქალები, რომლებიც ეცნობიან როგორც ძირითად ღონისძიებათ და საბჭოთა ხელისუფლების კანონებს, ისე იმასაც, თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში ეს კანონები, არიან თუ არა ეს კანონები დაკავშირებულნი მასასთან და როგორ მუშაობენ ჩვენი საბჭოთა დაწესებულებები.

დღევანდელ თათბირის დღის წესრიგში სდგას პირველ საკითხად დეპუტატ - ქალების მოხსენებები და სექციასთან მიმაგრებულ ერთ-ერთ დელეგატ - ქალის მოხსენება მათი მუშაობის შესახებ.

ქალები ყველაზე უფრო დაკავშირებულნი არიან და ყველაზე უფრო აქტიურად მუშაობენ ისეთ სექციებში, როგორიცაა სახალხო განათლება და სახალხო ჯანმრთელობა, ამიტომ თავის მოხსენებებში ისინი უმთავრესად შეეხებიან თავის მონაწილეობას ამ სექციების მუშაობაში. სკოლა, საავადმყოფო, საბავშვო ბაღი, ბაგა, უშუალოდ იპყრობენ მუშა, მშრომელ ქალის ყურადღებას. ბავშვის ცხოვრება, მისი განვითარება, მისი აღზრდა ძლიერადაა დაკავშირებული ქალის სულიერ განწყობილებასთან და ფსიქოლოგიასთან, ამიტომ ქალის აქტივობა უპირველესად ყოვლისა მიიმართება მისთვის ნაცნობ და მისთვის მშობლიურ ორგანიზაციების [illegible].

დეპუტატ - ქალების ანგარიშები შეძლებას მოგვცემს აღმოვაჩინოთ ის ნაკლი, რომელიც ხელს გვიშლიდა მუშაობაში, შეძლებას მოგვცემს გამოვარკვიოთ, რას უნდა მიაქციოს უმთავრესად ქალაქის საბჭომ თავისი ყურადღება სად უფრო მოისუსტებს მუშაობა, როგორ უნდა ესმოდეს და როგორ ესმოდათ სინამდვილეში დეპუტატ - ქალებს თავისი მოვალეობა, როგორი აქტივობით მუშაობდენ ისინი.

დღის წესრიგის მეორე საკითხია ქალაქის საბჭოს მოხსენება თავისი მასიური მუშაობის შესახებ და ქალების მონაწილეობა ამ მუშაობაში.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საბჭოს აქვს ამ დარგში ზოგიერთი მიღწევები და დეპუტატების სანგარიშო კამპანიამ სათანადოთ, ნათელჰყო საბჭოს წევრთა კავშირი მასასთან, საბჭოს მუშაობისადმი ინტერესი მაინც დიდია და ქალაქის საბჭოს წინაშე სდგას სერიოზული ამოცანები მისი მუშაობის მასიური ფორმების გაცხოველების მხრივ.

თბილისის საბჭოს შემადგენლობაში ითვლება 142 დეპუტატი - ქალი და თბილისის საბჭოს სექციებზეა მიმაგრებული 1166 დელეგატი-ქალი. ხოლო ამ რაოდენობის გამოყენება ყოველდღიურ მუშაობაში, ამ ქალების აღზრდა საბჭოს დამხმარეებათ და სათანადო ფორმების შექმნა მათი ინიციატივისათვის — ასეთია ქალაქის საბჭოს ამოცანები. დღეს ჩვენ პირველად ვიწვევთ დეპუტატ - ქალების თათბირს, მაგრამ ეს თათბირი ხელს შეუწყობს საბჭოთა მშენებლობის მონაწილე ქალთა შორის მუშაობის სისტემის განვითარებას და განმტკიცებას.

დღის წესრიგის უკანასკნელი საკითხია დელეგატების არჩევნები საბჭოების დეპუტატ-ქალების საქართველოს და საკავშირო თათბირებზე.

არ კმარა ჩვენი ნაკლულოვანებათა და მიღწევების აღნიშვნა, საჭიროა ეს ნაკლულოვანებანი და მიღწევები შეტანილი იქნეს ქალის საზოგადოებრივ ზრდისა როგორც საქართველოს, ისე საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე ჩვენ უნდა აღვრიცხოთ ჩვენი ძალები, შევამოწმოთ, თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში კომუნისტური პარტიის ლოზუნგები და ამოცანები და ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ მოსახლეობის ყველაზე უფრო „ჩამორჩენილ" ჯგუფის - ქალების როგორ აქტივობის ზრდა, ისე საბჭოების ირგვლივ მათი ყოველდღიური და პრაქტიკული მუშაობის შედეგები.

საბჭოთა საზოგადო - მოღვაწე ქალების საქართველოს და საკავშირო ყრილობები ჩვენი ზრდის და მიღწევების საუკეთესო მაჩვენებელია, ეს ყრილობები ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ახალი შემადგენელი ნაწილია და საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, თუ როგორაა დაკავშირებული კომუნისტური პარტია უპარტიო მუშა და გლეხ - ქალთა მრავალ მილიონიან მასასთან.

ზ—ლი.

კომკავშირში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომკავშირი ლენინიზმის სადარაჯოზე

რეზოლიუცია

მიღებული ლენინის რაიონის ს.ა.ლ.კ.კ. 12 უჯრედის ჯგუფური კრების მიერ

საქ. ახ. ლ. კომ. კავშირის ლენინის რაიონის 12 უჯრედის ჯგუფურმა კრებამ მოისმინა და განიხილა რა ამხ. სვანიძის მოხსენება საკ. კომ. პ. (ბ) ცეკასა და ცენტრ. საკ. კომისიის გაერთიანებულ პლენუმის შედეგების შესახებ, მთლიანად და სავსებით იწონებს პლენუმის ყველა დადგენილებებს და პირდება ცენტრალურ კომიტეტს ენერგიულ დახმარებას ამ დადგენილებების ცხოვრებაში გატარების დროს.

ლენინური კომკავშირი ყველა ძალღონით დაეხმარება პარტიას რკინისებური დისციპლინის დაცვის საქმეში.

კრება იწონებს რა და სწორად სთვლის საკ. კომ. პ. (ბ) ცეკას და ცენტ. საკ. კომისიის პლენუმის დადგენილებას პარტიის მთლიანობის შესახებ (საყვედურის გამოცხადება ამხ. ტროცკის და ზინოვიევის შესახებ, მათი დატოვებით ცეკაში) აღნიშნავს, რომ ოპოზიციის განცხადება არავითარ გარანტიას არ იძლევა იმისას, რომ ის შესწყვეტს მომავალში ანტი - პარტიულ გამოსვლებს. კრება ფიქრობს, რომ ლენინური კომკავშირი დღევანდელ მომენტში მაქსიმუმ ყურადღებას უნდა აქცევდეს სოციალიზმის პრაქტიკულ მშენებლობას. საბჭოთა კავშირის ყოველგვარი მიღწევები სოციალისტურ მშენებლობის დარგში, წარმოადგენენ უეჭველ დასაყრდენს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციისათვის. ამიტომ კრება სთხოვს საკ. კომ. პ. (ბ) ხელმძღვანელ ორგანოებს უზრუნველყოს სოციალისტური მშენებლობის ნორმალური მსვლელობა და მიიღოს სასტიკი ზომები იმ გაუსწორებელ ოპოზიციონერების წინააღმდეგ, რომლებსაც არევ - დარევა შეაქვს პარტიაში

ჯგუფური კრება აღშფოთებით აღნიშნავს, კომკავშირის ოპოზიციის უპრინციპო გამოსვლას და მის დეზორგანიზატორულ მუშაობას, რომელიც წარმოადგენს პარტიული ოპოზიციის ლოზუნგების კომკავშირში მექანიკურად გადატანას.

კრება აღნიშნავს რა ოპოზიციის პირობით თავდაცვის ხაზს (ამხ. ტროცკის კლემანსისტური თეზისი) მოუწოდებს ყველა კომკავშირელებს საბჭოთა კავშირის თავდაცვითი უნარიანობის პრაქტიკულად განმტკიცებისაკენ.

გაუმარჯოს სახელოვან საკ. კომ. პარტიას (ბ)!

გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლიუციის მსოფლიო შტაბს — საკ. კომ. პ. (ბ) ცეკას!

ა.ლ.კ.კ.-ს უჯრედების ჯგუფური კრება

22 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, ორჯონიკიძის სახელობის კლუბში შესდგა თბილისის დეპო - მთავარ სახელოსნოების და საქონლის სადგურის ა. ლ. კ. კ-ს უჯრედების ჯგუფური კრება, რომელზედაც ამხ. ლ. ღოღობერიძემ გააკეთა მოხსენება ს. კ. პ. (ბ) ცეკასა და ც. საკ: კომისიის პლენუმის შედეგების შესახებ.

პირველად მომხსენებელი შეეხო კაპიტალისტურ სახელმწიფოების იმპერიალისტურ პოლიტიკას და აღნიშნა თუ როგორი საშუალებებით სცდილობენ იმპერიალისტები საბჭოთა კავშირის ომში ჩათრევას.

ამის შემდეგ ამხ. ღოღობერიძემ ვრცლად გააშუქა შინაპარტიული მდგომარეობა და ოპოზიციის მთელი რიგი შეცდომები როგორც საგარეო, ისე საშინაო საკითხებში.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც ორატორები ერთხმად გმობდენ ოპოზიციის ფრაქციულ და დეზორგანიზატორულ მუშაობას.

დასასრულ კრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია, რომელშიაც სხვათაშორის ნათქვამია: „კომკავშირის ჯგუფური კრება მთლიანად ეთანხმება ცეკასა და ც. საკონტროლო კომისიის პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებებს. კრებას დაუშვებლად მიაჩნია ოპოზიციონერების ფრაქციული მუშაობა, რომელსაც სთვლის პარტიის მთლიანობისათვის საზიანოდ და კატეგორიულად მოითხოვს, რათა ოპოზიციამ შესწყვიტოს ფრაქციული მუშაობა, წინააღმდეგ შემთხვევაში გაძევებული იქნენ პარტიის რიგებიდან".

ამრიგად კომკავშირი მუდამ იცავდა, იცავს და მომავალშიაც დაიცავს პარტიის მთლიანობას და ენერგიულად დაეხმარება ხელისუფლებას სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

ბ. კ—ძე.

პიონერ-ორგანიზაციების მუშაობის შემოწმება

სწერეთ პიონერ - ორგანიზაციათა მუშაობის შესახებ

(ბავშვთა კომ. კოლექტივების შემოწმების კამპანიის გამო)

პიონერ - ორგანიზაციების მუშაობის შესახებ ჩვენს ჟურნალ - გაზეთებში გაცილებით იმაზე ნაკლები იწერება, რამდენიც საჭიროა იწერებოდეს ამ საკითხზე. ეს უმთავრესად აიხსნება იმით, რომ თვით პიონერ - ორგანიზაცია კორესპონდენტთა მეტად მცირე რიცხვს იძლევა, რასაც თავისი გასამართლებელი მიზეზი აქვს. პარტიისა და კომკავშირის წევრები კი, ზოგჯერ თავის მოვალეობის დაკნინებათაც სთვლიან ბავშვთა ორგანიზაციების მუშაობაზე წერას.

პრესას უდიდესი დახმარების გაწევა შეუძლია პიონერ - ორგანიზაციათა მუშაობის თავის სიმაღლეზე დაყენების საქმეში. ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციები კი ასეთ დახმარებას განსაკუთრებით საჭიროებენ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ მათი მუშაობა უკანასკნელ ხანებამდე მიდუნებული იყო და რომ პიონერთა ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ დაუღწევიათ თავი მძიმე კრიზისისაგან.

იმ მიზნით, რომ გაცხოველებულ იქნას ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციების მუშაობა, პარტია ატარებს პიონერ - ორგანიზაციათა შემოწმების კამპანიას. ამ შემოწმებას მხოლოდ მაშინ შეუძლია გამოიღოს სათანადო ნაყოფი, თუ მასში სხვებთან ერთად მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ მუშა და გლეხი კორესპონდენტები. საჭიროა შემოწმების ფართოთ გაშუქება. ყველა მტკივნეული მხარეები უნდა გამოტანილ იქნას გაზეთის ფურცლებზე. არ უნდა დარჩეს არც ერთი პიონერ - ორგანიზაცია, რომლის ნაკლზე ან მიღწევებზეც არ იქნება ცნობა გაზეთში. კომკავშირის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, რომელნიც ხელმძღვანელობას უწევენ თავიანთ რაიონში შემავალ პიონერ-კოლექტივებს, აქედანვე უნდა მიიღონ სამისო ზომები. გარდა იმისა, რომ შემოწმების მასალა გადაიგზავნება ცენტრალურ გაზეთებში, საჭიროა კამპანიის ფართოდ გაშუქება ადგილობრივ კედლის გაზეთებში. ამ მიზნით სასურველია კედლის გაზეთის სპეციალური ნომრის გამოშვება, რომელიც მიძღვნილი იქნება მხოლოდ პიონერ - ორგანიზაციათა შემოწმებას.

შემოწმების კამპანია უკვე დაიწყო. უნდა გვახსოვდეს, რომ კამპანიის წარმატებით ჩატარების ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს პიონერ - ორგანიზაციათა მდგომარეობის პრესაში გაშუქება.

ა. ხ—ლი.

პიონერ - კოლექტივები და ჩვენი ამოცანები

ბორჩალოს მაზრაში წელს მოიკოჭლებდა პიონერ - კოლექტივების მუშაობა. მხოლოდ რამდენიმე პიონერ - კოლექტივმა მიზანშეწონილად გამოიყენა ზაფხული. ზაფხულის განმავლობაში მათ მოაწყვეს როგორც შორი, ისე ახლო ექსკურსიები. საზოგადო ორგანიზაციების სასარგებლოდ გამართეს წარმოდგენები და გაებეს კავშირი ჩვენი მაზრისა და დანარჩენ მაზრების კოლექტივებს შორის. თითქმის ყველა კოლექტივებს შეთვისებული აქვთ პიონერ-ორგანიზაციების წინაშე მდგარი ამოცანები და მუშაობენ კიდეც კონკრეტიულ ამოცანების მეთოდით.

ჩვენ დიდი საშემოდგომო და საზამთრო მუშაობა გვიდევს წინ. რაზედაც ახლავე უნდა ვიზრუნოთ. სამაზრო ბიუროს შტატი და საშუალებები ვერ დააკმაყოფილებენ კოლექტივების გაზრდილ მოთხოვნილებას, თუ ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა არ მიიღეს დაინტერესებულმა საზოგადო ორგანიზაციებმა. პიონერ-კოლექტივებზე ხელმძღვანელობისა და ცოცხალი კავშირის განმტკიცებისათვის საჭიროა ერთი ინსტრუქტორი და ერთი წინამძღოლი ქალაქ ლუქსემბურგში. პიონერ მუშაობას ძალიან აბრკოლებს კოლექტივების წინამძღოლთა მოუმზადებლობა და პიონერ - ლიტერატურის უქონლობა სამშობლო ენებზე. დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ პიონერ-ორგანიზაციების ნაკლულოვანებათა აღმოფხვრაში.

პარტიისა და ახკომკავშირის უჯრედების მიერ ხელმძღვანელობის გაძლიერება პიონერ-ორგანიზაციებზე, გლეხკომების, კავშირების და კოოპერატივების მიერ დახმარების გაწევა ადგილობრივ პიონერ - კოლექტივებისათვის საჭირო ლიტერატურისა და ხელსაწყოების შეძენაში საშემოდგომო პერიოდთან დაკავშირებით, — აი ჩვენი გადაუდებელი ამოცანები.

ა. ზახარიანი.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

ანტისაბჭოთა კამპანიის დამარცხება საფრანგეთში. — 19 სექტემბერი პარიზში. — ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის კრიზისი პოლონეთში. — გომინდანის ხელმძღვანელები — სუნ-იატ-სენის წინააღმდეგ.

საფრანგეთის მემარჯვენე წრეების გაბოროტებული ანტი-საბჭოთა კამპანიის გამო საფრანგეთის მთავრობამ გამოიტანა სპეციალური დადგენილება, რომ არაფერი არ ამართლებს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ჩაშლას; ამასთან ჩვენი წინადადების საპასუხოდ, რომ დადებულ იქნას თავდაუსხმელობის ხელშეკრულება, იმავე მთავრობამ აღიარა, რომ ეს წინადადება ეთანხმება მის პოლიტიკას და დაავალა თავის გარეშე საქმეთა მინისტრს განაგრძოს მოლაპარაკება ამ მიმართულებით.

ამნაირად, ფრანგ რეაქციონერების კამპანია ამჟამად სამარცხვინოდ დამარცხდა. ხსენებული დადგენილებით ამ კამპანიის ავტორები გაშიშვლებული იქნენ, როგორც ცილისმწამებელნი, ინგლისის მოსყიდული აგენტები, საფრანგეთის ხალხის მტრები და ავანტიურისტები. ფრანგული შავრაზმული პრესა ჩვენ ბრალს გვდებდა, რომ თითქო ამხ. რაკოვსკი და საერთოთ საბჭოთა წარმომადგენლობა ერეოდა საფრანგეთის შინაურ ცხოვრებაში და წარმოადგენდა რევოლიუციონურ პროპაგანდის ცენტრს. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა ამხ. რაკოვსკის ხელის მოწერა ერთ შინა-პარტიულ დოკუმენტზე, რომელიც შეიცავდა შემდეგ აზრს: საბჭოთა კავშირთან ომის დროს იმპერიალისტურ ქვეყნების ყოველი ჯარისკაცი უნდა აუმხედრდეს თავის მთავრობას და გადავიდეს რევოლიუციონურ არმიის მხარეზე. ეს შეიქნა საბაბი, რომ რეაქციონერებს ველური განგაში აეტეხათ. მოეთხოვათ ამხ. რაკოვსკის გაძევება და საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შეწყვეტა. აღნიშნული ხელმოწერა სწორედ მხოლოდ საბაბს წარმოადგენდა ანტი-საბჭოთა ბრძოლისათვის, რომლის ნამდვილი მოტივები სულ სხვა რამ იყო. ჯერ ერთი, საფრანგეთის მემარჯვენეებმა მშვენივრად იცოდენ, რომ ამხ. რაკოვსკი და მასთან ერთად ის რევოლიუციონური ორგანიზაცია (კომინტერნი), რომელსაც ის ეკუთვნის ანტი-იმპერიალისტურ პოზიციაზე დგანან. მაგრამ ამ გარემოებამ მათთვის ხელი არ შეუშლია, რომ თავის დროზე ისინი დათანხმებულიყვენ ამხ. რაკოვსკის ელჩად დანიშვნაზე.

შემდეგ, ამხ. რაკოვსკის მიერ თავის ანტი-იმპერიალისტური შეხედულების გამოთქმას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მის ოფიციალურ თანამდებობასა და მუშაობასთან, რომელიც მიზნად ისახავს საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის განმტკიცებას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფრანგ მემარჯვენეთა ეხლანდელი ხმაური ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს, რომ ისინი მოწყურებულნი არიან საბჭოთა კავშირთან ომს: ამხ. რაკოვსკის ზევით მოყვანილი შეხედულება იმპერიალისტურ სახელმწიფოს ჯარისკაცის დანიშნულების შესახებ ხომ ომის შემთხვევას ეხება.

ჩვენ ვსთქვით, რომ საფრანგეთის რეაქციონერთა კამპანიის ნამდვილი მიზეზი უნდა ვეძიოთ არა ამხ. რაკოვსკის განცხადებაში, არამედ სხვაგან. პირველ ყოვლისა აქ მოსჩანს ინგლისის ხელი. ჩემბერლენი ცდილობს საფრანგეთის ჩაბმას ანტი-საბჭოთა ბლოკში. და ამ მხრივ მოკავშირენი ყავს საფრანგეთის იმპერიალისტებში და მის მთავრობის ზოგიერთ წრეებშიც, რომელნიც ასეთი საფასურით ლამობენ ინგლისთან შეთანხმებას გერმანიის დამონების მიზნით. გარდა ამისა, მილიერანები დღემდე ატარებენ ოცნებას საბჭოთა წყობილების დამხობის შესახებ და ეს აკავშირებს მათ ინგლისელ იმპერიალისტებთან. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის კოლონიალური ბურჟუაზია, რომელიც შეშინებულია კოლონიებში განმანთავისუფლებელ ბრძოლის გაძლიერებით, ილტვის საბჭოთა კავშირის დამხობისაკენ, ვინაიდან მას თვლის კოლონიალურ ხალხების ანტი-იმპერიალისტურ მოძრაობის წყაროდ.

ამავე დროს, დეტერდინგი განსაკუთრებით აქტიურ ანტი-საბჭოთა კამპანიას ანვითარებს საფრანგეთში. ბოლო დრომდე საფრანგეთის ბაზარზე ინგლისის ნავთი იყო გაბატონებული, ხოლო უკანასკნელად საბჭოთა ნავთი სულ უფრო იპყრობს ამ ბაზარს და დევნის ინგლისის ნავთს. ამ ფაქტს, დეტერდინგის იმდამარცხებასთან ერთად, რომელიც დაკავშირებულია ჩვენს შეთანხმებასთან ამერიკის ნავთის ტრესტთან, მოთმინებიდან გამოჰყავს იგი. დეტერდინგმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აამოძრავა საფრანგეთის მოსყიდული, მის ხარჯზე არსებული პრესა.

საფრანგეთის მთავრობამ თავის დადგენილებით ამ მოსყიდულ კალმოსნებს ცივი წყალი გადაასხა თავზე.—არავითარი საფუძველი არ არსებობს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ჩასაშლელად—განაცხადა მან და ამით ოფიციალურად ამხილა ცილისწამება, თითქო ჩვენი წარმომადგენლობა რევოლიუციონურ პროპაგანდას ეწეოდეს საფრანგეთში.

რით აიხსნება საფრანგეთის მთავრობის ასეთი პოზიცია? პირველ ყოვლისა უნდა ვიცოდეთ, რომ საფრანგეთის მთავრობაში გაიმარჯვეს იმ ზომიერმა ელემენტებმა, რომელთაც არ სურთ ჩვენთან ურთიერთობის გამწვავება, გაიმარჯვა ბრიანმა პუანკარეს წინააღმდეგ. ჯერ ერთი, ეს აიხსნება ერთა ლიგის სესიის შედეგებით. სესიაზე ჩემბერლენის მეცადინეობით დასამარებულ იქნა საფრანგეთ-პოლონეთის პროექტი „საყოველთაო საგარანტიო ხელშეკრულების" შესახებ. შემდეგ. ერთა ლიგის საბჭოს არჩევნების დროს გაშავებულ იქნენ საფრანგეთის მოკავშირენი და ჩემბერლენმა მოახერხა თავისი მომხრეების გაყვანა. მაგრამ საფრანგეთის მთავრობის მიერ ხსენებულ დადგენილების გამოტანაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ვალების საკითხში შეთანხმებამ, რომლის მიხედვით რუსეთის ფასიანი ქაღალდების მქონე წვრილი ფრანგი მესაკუთრენი თანდათან დაკმაყოფილებული იქნებიან. ამის შემდეგ ბრიანის ჯგუფმა ვერ გაბედა ჩვენთან ურთიერთობის ჩაშლა, ვინაიდან ასეთი ნაბიჯი მის წინააღმდეგ აამხედრებდა იმ მრავალ მილიონიან მასას რომელსაც რუსეთის ობლიგაციები უპყრია ხელთ და რომელთა წარმომადგენლად ეს ჯგუფი სთვლის თავს. ბოლოს, მოახლოვებულ საპარლამენტო არჩევნებში ე. წ. მემარცხენე ბლოკი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებოდა, თუ ის გაწყვეტდა საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებას, ვინაიდან საფრანგეთის ფართო მოსახლეობაში მეტად პოპულიარულია ჩვენთან დაახლოვების ლოზუნგი.

ასეა თუ ისე, თავაშვებული ანტი-საბჭოთა კამპანია ჩაიფუშა, რა თქმა უნდა. ამის შემდეგაც გრძელდება შავრაზმული პრესის მტრული გამოსვლები. ამხ. რაკოვსკის მაინც არ ეშვებიან. ამბობენ, რომ ამხ. რაკოვსკი თითქო არ შეიძლება ნდობით სარგებლობდეს და არ გამოდგება მხარეთა მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებისათვისო. ავრცელებენ ხმებს, თითქო საფრანგეთის მთავრობამ არაოფიციალურად აგრძნობინა მოსკოვს, რომ საჭიროა მისი გამოცვლა. მოსყიდულ პრესას ამნაირად სურს კვლავ გაამწვავოს მდგომარეობა. მაგრამ, როგორც დე-მონზიმ (თავმჯდომარე საფრანგეთის კომისიისა, რომელიც ჩვენთან მოლაპარაკებას აწარმოებს) განაცხადა, რაკოვსკი ყველაზე მისაღები კაცია, რომელიც გულწრფელად მოსურნეა საფრანგეთ-საბჭოთა შეთანხმების და განსაკუთრებულ უნარს და ტაქტს იჩენს ამ საქმეში. ასე რომ, საფრანგეთის მთავრობა, თუ მას მართლა სწადია ჩვენთან სადავო საკითხების მოწესრიგება, შემდეგშიც არ აყვება დეტერდინგის აგენტების ხმას.

ჩვენ ვიცით, რომ საფრანგეთის ბურჟუაზია მოწადინებულია ჩვენთვის მიუღებელ დათმობებზე დაგვიყოლიოს ვალების საკითხში. ამ მიზნით ის მუქარასაც მიმართავს. როგორც უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, ბრიანიც არ არის ამ „ცოდვისაგან" თავისუფალი. მაგრამ მან უნდა შეიგნოს, რომ „დაშინების" მეთოდი უვარგისია. ეს მხოლოდ გზას უხსნის რეაქციონურ ელემენტებს, ხოლო ძირს უთხრის საფრანგეთის რეაქციონურ ელემენტებს, ხოლო ძირს უთხრის საფრანგეთის ხალხის ინტერესებს. ამ გარემოებას იძულებული იქნებიან ანგარიში გაუწიონ იმ წრეებმა, რომელთა აზრმა გამოხატულება პოვა საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილებაში.

⁂

საფრანგეთის მთავრობის მოწვევით, 19 სექტემბერს პარიზს ესტუმრენ ამერიკელი ლეგიონერები. უნდა ვიცოდეთ, რომ ამერიკაში ლეგიონები შესდგენ მსოფლიო ომის გათავების შემდეგ, ყოფილ ჯარისკაცებისაგან. მათი მიზანი უნდა ყოფილიყო ომის მონაწილეთა ინტერესების დაცვა, ნამდვილად კი ლეგიონერთა ორგანიზაციები იქცენ წმინდა წყლის ფაშისტურ ორგანიზაციებად, რომლებიც კაპიტალისტების ხარჯზე იმყოფებიან და ამერიკის მთავრობის მფარველობით მუსრს ავლებენ მუშათა მოძრაობას. რევოლიუციონერების მიმართ ტერორი, მუშათა კრებების, კომუნისტურ გაზეთების რედაქციების და საერთო პროლეტარულ ორგანიზაციების ხულიგნური დარბევა—ასეთია ლეგიონერების „მოღვაწეობის" შინაარსი, აღსანიშნავია, რომ ეს ფაშისტური ლეგიონები „მეგობრულ" დამოკიდებულებაში იმყოფებიან ამერიკელ რეფორმისტებთან, რომელნიც მათ იყენებენ კომუნისტებთან ბრძოლაში. ლეგიონებმა, სხვათა შორის, ბოლო დროს „სახელი გაითქვეს" საკოსა და ვანცეტის დასაცავად აღძრულ მასების აწიოკებით.

აი, ამ ფაშისტურ ორგანიზაციის რამოდენიმე ათას წევრს 19 სექტემბერს დიდი ზეიმით შეხვდა საფრანგეთის მთავრობა. 19 სექტემბერს პარიზში დანიშნული იყო ცერემონია ამერიკის „უცნობ ჯარისკაცის" საფლავზე. „უცნობი ჯარისკაცის საფლავები" ბურჟუაზიის ხელში საშუალებაა მოსახლეობაში „საომარი სულის" განსამტკიცებლად და ნაციონალური გრძნობების გასაღვივებლად. ეს კი იმპერიალისტებს ძალზე ესაჭიროებათ, ვინაიდან მასები ანტი-მილიტარისტულად არიან განწყობილნი და ეს განწყობილება ჯარებსაც ედება. პარიზის ქუჩებში ამერიკელ ლეგიონერების დემონსტრაციის ერთ-ერთი დანიშნულებაც სწორედ ამაში მდგომარეობდა.

ამავე დროს ეს იყო საფრანგეთის ბურჟუაზიის და მთავრობის პასუხი აგვისტოში მასების მიერ საკოსა და ვანცეტის სასარგებლოდ გამართულ გრანდიოზულ დემონსტრაციაზე. სწორედ იმ ლეგიონების მოპატიჟება, რომელნიც მეთაურობდენ ამ ორი რევოლიუციონერის საწინააღმდეგო კამპანიას, სხვა არა იყო, თუ არა პროლეტარიატის პროვოკაციული გამოწვევა.

შემდეგ, ამერიკელ ლეგიონერების ჩამოსვლისას უნდა განემტკიცებია საფრანგეთ-ამერიკის მეგობრობა. 19 სექტემბერი ის თარიღია, როცა ამერიკამ პირველად მიიღო მსოფლიო ომში მონაწილეობა. ამ ომის ამერიკელ მონაწილეთა მოწვევას და საზეიმო შეხვედრას უნდა ეჩვენებია ყველასათვის, რომ ურყევია ის კავშირი, რომელიც დამყარდა საფრანგეთ-ამერიკის შორის ომის ველზე. საფრანგეთის მთავრობას ეს ესაჭიროება, რადგან ამ ორი ქვეყნის დამოკიდებულება საკმაოდ გართულებულია ვალების საკითხის გამო. ამასთან, საფრანგეთი ცდილობს ახალი სესხი აიღოს დოლარის სამფლობელოში. ამისათვის აუცილებლად დაინახეს სათანადო საზოგადოებრივი ატმოსფერის შექმნა, რისათვის ხელი უნდა შეეწყო ამერიკელ ლეგიონერების ჩამოსვლას პარიზში.

ეს იყო აშკარა რეაქციონური და იმპერიალისტური აქტი საფრანგეთის მთავრობის მხრივ და მას არ შეეძლო საფრანგეთის მასებში აღშფოთება არ გამოეწვია. და ჩვენ კიდეც შევიქენით ამ აღშფოთების გრანდიოზული დემონსტრაციის მოწმენი. კომპარტიამ ენერგიული კამპანია გასწია მასების მობილიზაციისათვის. 19 სექტემბერს კლიშში (პარიზის განაპირა უბანია) შესდგა პარიზის მუშების ასი ათასიანი დემონსტრაცია, რომელმაც გამოაშკარავა საფრანგეთის პროლეტარიატის დარაზმულობა და უტეხი რევოლიუციონური ნებისყოფა.—ბრძოლა კაპიტალის შემოტევისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის დასაცავად, მსოფლიო მუშათა კლასის მთლიან რევოლიუციონურ ფრონტის აღსადგენად—ასეთი ლოზუნგებით ჩატარდა დემონსტრაცია. პარიზის მთელი მშრომელი და ე. წ. ფართო მოსახლეობაც მხურვალე ოვაციებით შეეგება დემონსტრანტებს.

ამავე დროს მეტად უფერულად ჩატარდა ლეგიონერების საპატივცემლოდ მოწყობილი ზეიმი. მას მხოლოდ ოფიციალური ხასიათი ჰქონდა. მოსახლეობა ყრუდ მტრულად შეხვდა მათ, დღესასწაულში მათ არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. მასსების თავდასხმის შიშით ლეგიონებს იცავდენ ჯარები, რომლებიც გააძლიერეს პროვინციიდან სპეციალურად ამ მიზნით გამოწვეულ ნაწილებით.

გამარჯვება ამგვარად მუშურ პარიზს ხვდა. მიუხედავად რეპრესიებისა, საფრანგეთის მუშათა კლასი წელში არ ტყდება, პირიქით—ძალებს იკრებს მომავალი ბრძოლისათვის. კლიშში მომხდარი დემონსტრაცია ამ ძალების დათვალიერება იყო.

⁂

პოლონეთში გაძლიერდა და სულ უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს პარლამენტარიზმის კრიზისი. ამ რამოდენიმე თვის წინედ პილსუდსკიმ „უცერემონიოთ" გარეკა სეიმის სესია, რომელმაც გაბედა მთავრობისათვის არა სასიამოვნო ზოგიერთ ღონისძიებების გატარება. მაშინ დეპუტატები „ბრძოლის" გუნებაზე დადგენ, დაიწყეს ბუზღუნი, რომ არ დაუშვებდენ „სახალხო წარმომადგენლობის" შელახვას და იმუქრებოდენ სხდომების მოწყობით მთავრობის განკარგულების წინააღმდეგ, მაგრამ პილსუდსკიმ მუშტი უჩვენა ამ „მამაც" ხალხს და ჩააჩუმა.

სეიმი ამის შემდეგ, თუმცა დიდი მოკრძალებით, ცდილობდა სესიის მოწვევას. პილსუდსკის მთავრობამ, ბოლოს, მოიღო მოწყალება და ნება დართო მას შეკრებილიყო. ნება დართო, რომ ახალი შეურაცყოფა მიეყენებია და დაეცინა მისთვის. ხოლო, როცა სეიმმა „გააუქმა" პილსუდსკის კანონი პრესის შესახებ (კანონი, რომელიც პრესაზე წინასწარ ცენზურას აწესებს) და დასვა მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების საკითხი, პრეზიდენტის დეკრეტით მისი სესია გადაიდო. ასეთივე ბედი ეწვია სენატს (პარლამენტის მაღალ პალატას). კიდევ მეტი: მისი სესია შეწყვიტეს ჯერ კიდევ პირველ სხდომამდე.

სეიმი თითონ აპირებდა გადაწყვეტილების მიღებას თვითდათხოვნის შესახებ. მაგრამ მთავრობამ დაასწრო, რომ, როგორც ვარშავის გაზეთები ამბობენ, „მისთვის ასეთი სახელოვანი სიკვდილი აეცდინა". ასეთი თვითდათხოვნა შეიძლება რამოდენიმე შეზღუდავდა პილსუდსკის. მას სურს სეიმის დაშლის ინიციატივა თვითონ შეინარჩუნოს, რომ ეს აქტი ჩაიდინოს მაშინ, როცა ამას თავისთვის ხელსაყრელად მიიჩნევს, და განახლოს მისი მუშაობა, თუ სეიმი სრულ მორჩილებას გამოუცხადებს. ამასთან, პილსუდსკის ნაკლები იმედი აქვს ახალი არჩევნებში გამარჯვების, თუნდაც რეპრესიების საშუალებით. მთელმა რიგმა მუნიციპალურმა და საავადმყოფო სალაროების არჩევნებმა, რომლებიც უკანასკნელ წლის განმავლობაში ჩატარდა, ცხადჰყო, რომ პილსუდსკის მომხრეები სასტიკად მარცხდებიან.

ასე თუ ისე, პილსუდსკი აბუჩად იგდებს პარლამენტს. ამავე დროს ის სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება სეიმის გარეშე მყოფ რეაქც. ჯგუფებს. ამას წინეთ შესდგა კონსერვატიულ ჯგუფების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელსაც პილსუდსკი მეთაურობდა. ეს იყო დემონსტრაცია სეიმის წინააღმდეგ.

პარლამენტის „მოღვაწენი" ეხლაც „აღშფოთებული" არიან პილსუდსკის მიერ მათთვის მორიგი სილის გაწნევის გამო. მაგრამ ეს აღშფოთება, ცხადია, სიტყვიერ პროტესტს არ გასცილდება.

პილსუდსკი იმ თავითვე დაადგა აშკარა ფაშისტურ გზას და იმედი გაუცრუა ყველას, ვინც მხარს უჭერდა გადატრიალებაში, როგორც ვითომდა დემოკრატიის დამცველს. ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმი სახელ გატეხილია, მისი „რაინდები" პილსუდსკისთან ერთად გაბახებულნი არიან მასების თვალში, რომელნიც კომპარტიის მეთაურობით ირაზმებიან, როგორც პილსუდსკის ფაშიზმის, ისე მოჩვენებითი სახალხო წარმომადგენლობის წინააღმდეგ, მუშათა კლასის ძალა-უფლების დასამყარებლად.

⁂

გომინდანის „მემარცხენე" ლიდერებმა სავსებით ჩამოიხადეს ნიღაბი. ჯერ ისინი ვითომდა ებრძოდენ ჩან-კაი-შის, რომელმაც პირველმა გასცა ჩინეთის რევოლიუცია. მაგრამ მალე აშკარა შეიქნა, რომ ვან-ტინ-ვეი და მისი კოლეგები არაფრით არ განსხვავდებიან ნანკინელ მოღალატისაგან. როგორც უკანასკნელი, ისე უხანის ჯგუფი ერთი მეორეს ეჯიბრებოდენ კომუნისტების დევნაში და მასების რევოლიუციონური მოძრაობის ჩახშობაში.

ამ გარემოებამ მათ შორის დროებით „ჩატეხილი ხიდი" კვლავ აღადგინა. დაიწყო მუშაობა უხან-ნანკინის გასაერთიანებლად. ამ გაერთიანების განხორციელებისათვის მთავარ პირობათ უხანმა მაშინ წამოაყენა ჩან-კაი-შის გადაყენება. იმ თავითვე ცხადი იყო და ეხლა ხომ საბოლოოდ დადასტურდა, რომ ეს იყო მხოლოდ მანევრი, რომლის საშუალებით უხანელები ფიქრობდენ თავის კაპიტულიაციის დაფარვას მასების თვალში სახელ გატეხილ ჩან-კაი-შის წინაშე;, ამ გზით სურდათ მათ თავისი გამცემლობა მიეჩქმალათ.

ეხლა ვან-ტინ-ვეებმა უკვე ზედმეტად ჩასთვალეს ამ მანევრის გაგრძელება. ამას წინეთ ნანკინში არჩეულ იქნა გომინდანის ორივე ფრთის წარმომადგენლებისაგან საგანგებო კომიტეტი, რომელმაც დაადგინა სთხოვოს ჩან-კაი-შის და ნანკინის სხვა „გმირებს" დაუბრუნდენ თავის თანამდებობებს. ამნაირად, კონტრ-რევოლიუციის მთლიანი ფრონტი აღდგენილია და უხანის მეთაურთა გაიძვერობა გამოაშკარავებულია.

მთავარი საფუძველი, რომელზედაც გომინდანის ორივე ფრთამ ერთმანეთს გაუწოდა ხელი, ესაა კომუნისტებთან დამოკიდებულება. პრაქტიკულად ეს საკითხი უხანმა კარგა ხანია ისე გადაჭრა, როგორც ნანკინმა. ეს პრაქტიკა, როგორც ვსთქვით, გამოიხატა კომუნისტების განადგურებაში. ეხლა საგულისხმო მხოლოდ ის არის, რომ გომინდანის მეთაურები ოფიციალურად ხელს იღებენ სუნ-იატ-სენის ანდერძზე, რომელიც გომინდანის და კომპარტიის კავშირის შენარჩუნების აუცილებლობას აღიარებს.

გომინდანის მესვეურებმა, რომელნიც თვალთმაქცურად სუნ-იატ-სენის მზეს ფიცულობენ, შემცდარად და მიუღებლად გამოაცხადეს ჩინეთის რევოლიუციის მამათმთავრის ეს დავალება, ისე, როგორც მათ საერთოთ ფეხქვეშ გასთელეს სუნის მთელი მოღვაწეობა.

კომუნისტების დევნა იმავე დროს თავის-თავად არის უარის თქმა მილიტარიზმთან და იმპერიალიზმთან ბრძოლაზე, უარის თქმა ჩინეთის განთავისუფლებაზე, ვინაიდან ამ ბრძოლას სწორედ კომუნისტები უდგანან სათავეში. რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ერთ და იმავე დროს მშრომელთა ორგანიზაციები არბიო და კომუნისტები ხვრიტო, ხოლო მეორე მხრივ ჩან-ძო-ლინს და იმპერიალისტებს ებრძოლო. ასეთ ბრძოლაზე ისინი სერიოზულად არც ფიქრობენ. ჩინეთის ბურჟუაზიამ დაიწყო მშრომელ მასების განადგურებით და ეხლა ის აუცილებლობით მიექანება ჩრდილოეთის რეაქციისა და უცხოეთთა ბატონობის წინაშე ქედის მოხრის გზით.

მაგრამ ჩინეთის მასებმა, რომლებმაც სავსებით შეიგნეს გომინდანის ზედაწრეების მოღალატეობა, კვლავ გაშალეს ბრძოლის დროშა. ი-ე-ტინის და ხოლუნის რევოლიუციონური ჯარები დიდი წარმატებით მიიწევენ წინ. მათ უერთდებიან გლეხთა შეიარაღებული რაზმები, მთელი სამხრეთ ჩინეთის პროვინციები გლეხთა აჯანყების ალშია გახვეული და რევოლიუციის ტალღა სულ უფრო ფართოვდება. ნანკინ-უხანის გაერთიანებულ კონტრ-რევოლიუციის სამფლობელოში მოღალატეთათვის მდგომარეობა რთულდება. მასა შორდება მათ, ჯარებში ძლიერდება რევოლიუციონური განწყობილება. ამ ჯარების ნაწილები ზურგს აქცევენ ნანკინ-უხანის მილიტარისტებს და რევოლიუციის მხარეზე გადადიან. ამ პროცესის შეჩერებას ვერ შესძლებს ვან-ტინ-ვეის და ჩან-კაი-შის გაერთიანებული კონტრ-რევოლიუციონური ფრონტი.

ვ. კ—ლი.

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

ა.-კ. ცაკი—შვებულ წითელ არმიელთ

ამხანაგებო შვებულნო წითელ-არმიელნო!

თქვენ სტოვებთ წითელი არმიის რიგებს. მას შემდეგ, რაც შეასრულეთ მის რიგებში სამსახურის საპატიო მოვალეობა. ორი წლის განმავლობაში, რომელიც თქვენ გაატარეთ წითელ არმიაში, მხნედ მუშაობდით ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერების განსამტკიცებლად. თქვენ, მრავალტომიან ხალხთა შვილები ეწეოდით მუშაობას აქ, აღმოსავლეთის შესავალ კარებთან, ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის საპასუხისმგებლო ადგილზე. წითელი არმიის რიგებში ყოფნით თქვენ ანსახიერებდით აზერბეიჯანში, სომხეთში და საქართველოში მოსახლე ხალხთა ძმობის, მეგობრობის და სოლიდარობის დიად იდეას. ეს მეგობრობა და ძმობა შეუძლებელი იყო ჯერ კიდევ ამას წინად, სანამ ჩვენს ქვეყანაში მუშათა და გლეხთა ძალაუფლება დამყარდებოდა. თქვენ გაგიგონიათ და გახსოვთ, თუ როგორ მძულვარებას სთესდენ ამიერ-კავკასიის ხალხებს შორის ის ვაჟბატონები, რომელთაც ამ ხალხების ნება-სურვილის წინააღმდეგ, საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მუშების და გლეხების სურვილის წინააღმდეგ იმპერიალისტების ხიშტების მეოხებით ეჭირათ ხელში ძალა-უფლება.

თქვენი მშვიდობიანი და ენერგიული მუშაობა და სწავლა წითელი არმიის რიგებში, თქვენი გულმოდგინეობა მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში, როცა იგი განიცდიდა გაჭირვებას სტიქიურ უბედურებათაგან,—ნათლად უმტკიცებდა ყველას, რომ მშვიდობიანობა და ძმობა ხალხებს შორის არ შეიძლება დაირღვეს მაშინ, როცა ამ ხალხების ბედი, მუშათა და გლეხთა ბედი მათ საკუთარ ხელშია.

წითელი არმიის რიგებში სამსახურით თქვენ შეისწავლეთ არა მარტო სამხედრო საქმე, არამედ მშრომელთათვის, სოციალიზმის აღმშენებლობისათვის სამსახურის გაწევის საქმეც. და ეხლა, როცა თქვენ, ამხანაგებო შვებულნო, სტოვებთ წითელი არმიის რიგებს, თქვენ გეკისრებათ თქვენი ცოდნა და გამოცდილება გავრცელოთ იმ წრეში, რომელმაც თქვენ ორი წლის წინად გაგზავნა წითელ არმიაში სამსახურისათვის. მთელი თქვენი ძალ-ღონე, მთელი ცოდნა, მთელი გამოცდილება თქვენ უნდა გადასცეთ თქვენს ძმებს და დებს, მუშებსა და მუშა-ქალებს, გლეხებსა და გლეხ-ქალებს იმისათვის, რომ განმტკიცებულ იქნას საბჭოთა ძლიერება, გამაგრებულ იქნას პროლეტარიატის დიქტატურის საქმე.

ამხანაგებო შვებულნო! თქვენ სწავლის მიღება წითელ არმიაში გვხდათ წილად მშვიდობიანობის პირობებში. თქვენ ისე, როგორც ჩვენი დიდი კავშირის ყველა მუშებმა და გლეხებმა იცით, თუ როგორ გვსურს ამ მშვიდობიანობის შენარჩუნება, თუ როგორ ვცდილობთ დავიცვათ იგი ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მტრების პროვოკაციისაგან. ჩვენ მშვიდობიანობა გვსურს არა მარტო იმისათვის, რომ გავკურნოთ იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებში მიღებული ჭრილობანი, ჩვენ მშვიდობიანობა გვინდა იმისათვისაც, რომ ჩვენი მეურნეობა, მთელი ჩვენი ცხოვრება ავაშენოთ ახალ, საუკეთესო სოციალისტურ საფუძველზე. მაგრამ ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენ ვიყავით მოწმენი იმისაც, თუ როგორ გაავთრებულ იერიშებს, საძაგელ ცილისწამების კამპანიას აწარმოებდნენ იმპერიალისტური სახელმწიფოები და მათი მსახურნი ჩვენი მშვიდობიანი შრომისა და ჩვენი მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ. თქვენ იყავით მოწმენი არა მარტო ჩვენ წარმომადგენელთა წინააღმდეგ გალაშქრებისა, არამედ ჩვენთან ომისათვის გაავთრებული მზადებისა. ჩვენი მშვიდობიანი აღმშენებლობის ჩაშლა—ასეთია ჩვენი მტრების სურვილი. როცა ისინი გაბედავენ ამ სურვილის განხორციელებას, ჩვენ მთელი მსოფლიოს წინაშე გამოვამჟღავნებდით ჩვენ სურვილს, ნებისყოფას: იარაღით ხელში დავიცავთ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს. და ეს ნებისყოფა ისთივე შეურყეველი იქნება, როგორც ნებისყოფა და მისწრაფება საუკეთესო ცხოვრებისაკენ. და სწორედ ამ ჩვენს ნებისყოფას შეინახავთ თქვენს გულში ამხანაგებო შვებულნო და განამტკიცებთ მათ შორის, ვინც ორი წლის წინად გაგგზავნათ თქვენ წითელი არმიის რიგებში, გაგგზავნათ იმისათვის, რომ გესწავლათ და სხვებისათვისაც გესწავლებიათ იარაღის ხმარება.

ასწავლით რა თქვენს ძმებსა და დებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დაცვის საქმეს, თქვენ ამავე დროს იქნებით საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ერთგულნი და საიმედო გამტარებელნი სოფლად და ქალაქად. იმ მეტად საპატიო მოვალეობას, რომელსაც თქვენ ასრულებდით წითელი არმიის რიგებში, თქვენ შეასრულებთ მომავალშიაც, ვინაიდან ყველგან და ყოველთვის, იქნება თქვენს ხელში გლეხის ნამგალი თუ მუშის ჩაქუჩი. თქვენ იშრომებთ იმისათვის, რომ ჩაგრული კაცობრიობა გაანთავისუფლოთ მონობისაგან, მოსპოთ მშრომელთა ექსპლოატაცია, განახორციელოთ სოციალისტური წყობილება.

გაუმარჯოს დიად და ძლევა-მოსილ მუშურ-გლეხურ წითელარმიას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს—კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ამ.-კავკ. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე—
ალა-მალი-ოღლი

ა.-კავკ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის მდივნის მაგიერ, ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის წევრი **იაკუბოვი.**

თბილისი—სასახლე. 24 სექტემბერი 1927 წელი.

ვის უშვებს წითელი არმია გრძელვადიან შვებულებაში

დღეს წითელი ჯარის რიგებიდან იწყება წითელი არმიელთა გაშვება გრძელვადიან შვებულებაში. დღეიდან დაბრუნდებიან სოფელს მრავალი ათასი შვებულნი, რომლებმაც დაჰყვეს ყაზარმაში ორი წელი და გაიარეს სავალდებულო სამხედრო სამსახური.

რა შეიძინეს მათ ამ ორი წლის განმავლობაში? როგორი ცოდნით და ავლა-დიდებით მიდიან ისინი სახლში?

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სოფელს დაუბრუნდება მრავალი პარტიის წევრი და კომკავშირელი, სოფლის პარტორგანიზაციებს მიემატება ახალი ძალა, კარგათ გაწვრთნილი და მომზადებული. წითელი ჯარის პარტორგანიზაციებმა მოუმზადეს და აღუზარდეს სოფელს ისეთი გუშაგნი, რომლებიც მტკიცედ გაატარებენ სოფლად პარტიის ხაზს და რომლებიც ისეთივე მედგარნი იქნებიან ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მუშაობაში როგორიც იყვნენ ყაზარმაში სამხედრო სამსახურის ასრულების დროს. პარტიულ და კომკავშირულ შვებულთა რიცხვი ძალიან დიდია, რაც, უეჭველია, მეტად წინ წასწევს სოფლის პარტორგანიზაციებს.

ორი წლის განმავლობაში წითელმა ყაზარმამ შეასწავლა წერა-კითხვა ყველა უცოდინარებს. ამ მხრივ ყაზარმამ გაუწია სოფელს ძალიან დიდი სამსახური. ყაზარმაში მოსვლისას ახალწვეულნი იყვნენ სრულიად უცოდინარნი. დღეს კი ყველამ საუკეთესოდ იცის წერა-კითხვა, უყვარს წიგნი, იცის მისი ძალა. არმიელებმა არა თუ შეისწავლეს მარტო წერა-კითხვა, არამედ განვითარდენ კიდეც ყოველ მხრივ, მათ კარგათ იციან ანგარიში. გეოგრაფია, ბუნების მეტყველება და სხვა მრავალი საგანი.

ყაზარმაში წითელარმიელმა ახლო გაიცნო ახალი ცხოვრება. ორი წლის განმავლობაში იგი მჭიდრო კავშირში იყო მუშათა მასებთან და ამ გარემოებამ მას აუხილა თვალი ზევრ რამეზე, რაც დაკავშირებულია ახალ ყოფა-ცხოვრებასთან. სოფლად შვებული არმიელი იქნება მოსისხლე მტერი ძველი, დახავსებული ადათების, ცრუმორწმუნეობის და აქედან გამომდინარე ყველა უარყოფითი მოვლენების. იგი ეცდება ძირი გამოუთხაროს და მოსპოს ყველა ის, რაც უშლის ხელს სოფლის წინსვლას. იგი იქნება მეგობარი სწავლა - განათლების, ტრაქტორის, ელექტროფიკაციის, რადიოსი.

შვებული წითელი არმიელი ყაზარმაში შეეჩვია გაზეთს, გაზეთი მისი განუყრელი მეგობარია, ურომლისოდაც იგი ვერ გასძლებს. სოფლად ის გამოიწერს გაზეთს და ამასთანავე გაავრცელებს მას და იქნება გაზეთის უახლოესი თანამშრომელი.

წითელი არმიელი, დაბრუნებული სოფლად, შეიტანს გლეხობაში სამხედრო ცოდნას და წინ წასწევს გასამხედროების საქმეს. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას შვებულთა სახით ყავს მრავალათასიანი პროპაგანდისტთა კადრი, რომელიც საუკეთესოდ შეასრულებს ყოველივე დავალებებს და საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეს დააყენებს შესაფერის სიმაღლეზე.

შვებულნი საუკეთესოდ გამოიყენებენ ყაზარმაში მიღებულ ცოდნას.

ჩვენი ვალია: მივსცეთ შვებულების მუშაობის ფართო ასპარეზი, არ შევზღუდოთ მათი მისწრაფება, აღმოუჩინოთ მათ ყოველივე დახმარება, მათ მუშაობის ნაყოფს ვიხილავთ სულ ახლო მომავალში.

მ. ხუციშვილი.

ცვალებადელნი ბანაკად

(№ ქართ. მსრ. დივიზია).

პირველ სექტემბერს ქ. გორში მოიყარეს თავი ცვალებად წითელ არმიელებმა. 3 სექტემბრიდან უკვე დაიწყო ნორმალური მეცადინეობა. განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული აქვს ტაქტიკურ მეცადინეობას და სროლების წარმოებას. ცვალებადელნი გადიან აგრეთვე ქიმიას, საინჟინერო საქმეს, ტოპოგრაფიას და სხვ. დისციპლინის დარღვევას თითქმის არა აქვს ადგილი.

პოლიტმეცადინეობის საწარმოებლად გარნიზონში ჩამოყალიბებულია 149 ჯგუფი ქართულის გარდა არის სომხური, რუსული, თათრული, ოსური, გერმანული; ბერძნული და აფხაზური ჯგუფები. ყველა ეროვნების წითელ არმიელს აქვს საშუალება შეიძინოს ცოდნა თავის მშობლიურ ენაზე. ინტერესი პოლიტმეცადინეობისადმი დიდია და ცოდნის შეთვისებაც კარგია.

გარნიზონში მოწყობილია 48 ლენინის კარავი, სადაც არმიელნი ისვენებენ მეცადინეობის შემდეგ. ლენკარვებისათვის გამოყოფილია 48 მოძრავი ბიბლიოთეკა. კარვებში არსებობს შემდეგი ჯგუფები: პოლიტიკური, საერთო განათლების და მკითხველთა არის წრეები: დრამატიული, სასპორტო, მომღერალთა, მუსიკალური. საგარნიზონო კლუბში ხშირად იწყობა წარმოდგენები, ლექციები და კინო-სეანსები.

სამხკორთა მუშაობა ბანაკად წარმატებით მიმდინარეობს, კედლის გაზეთები გამოდის ყველა ასეულებში. კედლის გაზეთებთან ჩამოყალიბებულია სამხკორთა წრეები. ხარისხით და შინაარსით კედლის გაზეთები გაცილებით უკეთესია შარშანდელ გაზეთებზე.

ბანაკად სწარმოებს სამზადისი შეკრებათა შორის მუშაობისათვის, რისთვისაც შექმნილია სამხკორთა, სამხედრო კუთხეების გამგეთა და თემრწმუნებულთა სემინარები.

28 სექტემბრიდან იწყება მანევრები, დივიზიის ყველა ნაწილები ემზადებიან მათ წარმატებით ჩატარებისათვის. ცვალებადელნი დიდათ არიან დაინტერესებულნი მანევრებით და მოუთმენლად ელიან მათ დაწყებას.

დ. ლომაძე.

ტერიტორიალური დივიზიის მანევრების წინ

ორი-სამი დღის შემდეგ დაიწყება ქართულ ტერიტორიალურ დივიზიის ნაწილების მანევრები.

ჯერ ერთი თვე არ არის, რაც ცვალებად წითელ არმიელებმა მოიყარეს თავი ნაწილებში სამხედრო ცოდნის შესაძენათ. გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა მათ შორის, რომ მოკლე ხანში ცვალებადელებს შეეთვისებიათ საჭირო ცოდნა და გამოცდილება. მიზანი თითქმის მიღწეულია. ცვალებადელნი გამოიყურებიან მამაცად, როგორც კარგად გაწვრთნილი არმიელნი.

23 სექტემბერს დივიზიის ნაწილები გაემგზავრენ მანევრების ჩატარების ადგილისაკენ. თბილისის მთავარი ქუჩა დიდ მანძილზედ ეკავათ სალაშქროდ გამზადებულ ნაწილებს. ისმოდა სამხედრო სიმღერები.

საკავშიროელნი მრავალ აპარატებით და ხელსაწყოებით დატვირთულნი მიდიან წინ. მათ მისდევს მესანგრეთა ნაწილი ნიჩბებით, ცულით, ხერხით და სხ იარაღით, რომელიც საჭიროა ხიდების, გზების და სანგრების გასაკეთებლად და დაბრკოლებების მოსასპობად.

ბოლოს მძიმე ნაბიჯით მიდიან არტილერისტები. მრისხანედ გამოიყურებიან ზარბაზნები, მაღალი და ღონიერი ცხენები ისე მიაბიჯებენ, თითქო არავითარი ტვირთი არ მიაქვთ თან. მამაცად იმზირებიან ზარბაზნების მხლებელი არმიელი, ისინი მზად არიან ბრძანების გაცემისთანავე ალაპარაკონ ზარბაზანი და გაგზავნონ ყუმბარა დანიშნულ ადგილას.

აი სანიტარული რაზმი ექიმების თახლებით. სულ ბოლოს კი მიდის აგიტფურგონი, რომელსაც მიაქვს წიგნები, გაზეთები, დეკორაციები და სხვ. დასვენების ადგილას ანაზდეულათ მოეწყობა სალაშქრო სცენა და წითელარმიელნი გზაში დაისვენებენ პიესის ან ინსცენიროვკის მზერით.

დიდი გზა აქვთ გასავლელი არმიელებს დანიშნულ ადგილამდე, მაგრამ მოწყენილი არავინ არ არის. იციან, რომ მანევრები მათი გამოცდაა და ყველა ცდილობს, რომ ეს გამოცდა ჩააბაროს უნაკლოთ და ასახელოს როგორც თავისი თავი, ისე ის ნაწილი, რომელმაც შეასწავლა მას სამხედრო საქმე. **ზ.**

სამხედრო ქრონიკა

მიღება სამხედრო სასწავლებლებში

უკვე დაიწყო მისაღები გამოცდები სამხედრო სასწავლებლებში. სკოლებში შემავალ მსურველთა რიცხვი სამჯერ აღემატება თავისუფალ ვაკანსიების რიცხვს.

შეჯიბრი ფიზკულტურაში

სექტემბრის ბოლოს მეორე ქართ. დივიზიაში ჩატარდება შეჯიბრი ფიზკულტურაში და სროლაში. შეჯიბრს მიზნად აქვს მიღწევების გამორკვევა ამ დარგებში. შეჯიბრში მიიღებენ მონაწილეობას როგორ წითელ არმიელნი, აგრეთვე მეთაურნიც. გამარჯვებულები მიიღებენ საჩუქრებს.

ახალი სამხედრო კინო-სურათები

სახელმწიფო სამხ. კინო მრეწველობამ გამოუშვა ორი ახალი სამხედრო კინო სურათი „ძიება“ და „სამხედრო ძალების სამსახური წითელ ჯარში“. პირველი სურათი გამოყენებულ იქნება როგორც სახელმძღვანელო ჯარის ნაწილებში და სამხ. სასწავლებლებში.

მოკლე ხანში დამთავრდება სურათ „ტანკების“ გადაღება.

ტერიტორიალურ დივიზიის მანევრები

მიმდინარე წლის 28 სექტემბრიდან იწყება ტერიტორიალურ დივიზიის მანევრები, რომლებშიაც მიიღებენ მონაწილეობას ჯარის ყველა გვარეობის ნაწილები. მანევრები იწარმოებს გორის მაზრაში. მანევრების დამთავრების და ჯარის ნაწილების დაბრუნების შემდეგ მუდმივ ბინებზე, ცვალებადი წითელ არმიელნი გაიშვებიან შვებულებაში მორიგ შეკრებამდე.

ინდუსტრიალიზაციის სესხი

როგორ ჩატარდა წინასწარი ხელმოწერა საბჭოთა კავშირში

თბილისში მიღებულ გაზეთებიდან და აგრეთვე ტელეგრაფის ცნობებიდან, რომლებიც მიღებული აქვს საკრედიტო ორგანოებს, სჩანს თუ რამდენად წარმატებით ვითარდებოდა მთელ საბჭოთა კავშირში წინასწარი ხელმოწერა ინდუსტრიალიზაციის სესხზე.

ზედმიწევნით სწორი ციფრების დასახელება ჯერ-ჯერობით ნაადრევია, წინასწარი ხელმოწერა ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ სესხის წარმატება უკვე დღესვე თვალსაჩინოა.

განსაკუთრებით ნათლად, რა თქმა უნდა, ეს წარმატება სჩანს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალურ ცენტრებში. ივანოვო - ვოზნესენკსის გაზეთი „რაბოჩი კრაი“ იუწყება, მაგალითად, რომ ხელმოწერის პირველსავე დღეებში ქალაქში და მის რაიონში არ აღმოჩნდა არც ერთი წარმოება, რომელსაც მთელი თავისი თავისუფალი თანხებით არ შეეძინა სესხის ობლიგაციები. მუშებმა უდიდესი შეგნება გამოიჩინეს: ისინი საკუთარი თაოსნობით აყენებდენ საწარმოო თათბირებზე საკითხს ამ სესხისთვის ხელშეწყობის შესახებ. ყველგან შექმნილია სესხისთვის ხელშემწყობი კომიტეტები, გამოყოფილია ამხანაგები, რომლებმაც უნდა მიიღონ ზომები სესხის გასავრცელებლად.

კიდევ უფრო მხურვალე გამოძახილი ჰპოვა სესხმა მოსკოვში. ხელშემწყობი კომიტეტები მოწყობილია თვითეულ წარმოებაში. წინასწარი ხელმოწერით პირველ კვირაში მიღებულია 4 მილიონი მანეთი. დაახლოებით ამ თანხის მესამედი მოდის მუშების და მოსამსახურეების ინდივიდუალურ და კოლექტიურ ხელმოწერაზე.

ძლიერ დამახასიათებელ შემთხვევას ჰქონდა ადგილი ხარკოვში. გლეხების ჯგუფი გამოცხადდა „ფართლეულობის“ საკითხის გამოსარკვევად კოოპერატივ „ვუკოსპილკა“-ს გამგეობაში. მათ უბრალო პასუხი მიიღეს: მოთხოვნილება იმდენად გაიზარდა, რომ მრეწველობას, მიუხედავად მთელი ძალების დაჭიმვისა, არ შეუძლია მოთხოვნილების მთლიანად დაკმაყოფილება, საჭიროა ზრუნვა წარმოების გაფართოებისა და გაუმჯობესებისათვის. ამ მიზანს კი ემსახურება ინდუსტრიალიზაციის სესხი. ბაასი დამთავრდა მით, რომ გლეხებმა გამოსთქვეს სესხზე ხელმოწერის სურვილი. მათ შეიგნეს, რომ რამდენადაც ფართოდ განვითარდება ხელმოწერა, იმდენად ახლოა ის დრო, როდესაც საქონელი საკმაო იქნება მთელი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

კარგად შეხვდენ სესხს „დნეპროსტროის“ მუშებიც. იქ საჭირო არ გახდა დიდი აგიტაციის წარმოება; მუშები ნათლად ხედავენ, თუ როგორ განვითარებას მიაღწია საბჭოთა მშენებლობამ და რამდენი საშუალებები იქნება საჭირო სოციალიზმისაკენ დასახულ გზის ძლევამოსილად გასავლელად; სახელმწიფოს ესაჭიროება მშრომელთა ყოველმხრივი დახმარება, რათა წარმატებით დააგვირგვინოს ეს გზა.

ამიტომ მუშებმა გადასწყვიტეს გადარიცხონ ხელფასის განსაზღვრული პროცენტი ობლიგაციების შესაძენად. რეზოლიუციაში, რომელიც მიიღეს მუშებმა ამ საკითხზე, ნათქვამია: „ჩვენ საბჭოთა მშენებლები ვართ და მარტო ჯამაგირისათვის არ ვმუშაობთ“.

სესხზე ხელი მოაწერეს ბელორუსიის ს. მ. უ. საბჭოს ყველა თანამშრომლებმა გამოუკლებლივ.

სესხის აზრი და მიზანი გასაგებია თვითეულ მშრომელისათვის. და თვითეული მათგანი სცდილობს მიიღოს ამ სესხის საშუალებით რაც შეიძლება აქტიური მონაწილეობა იმ დიად მშენებლობაში, რომელიც ამჟამად სწარმოებს მთელ საბჭოთა კავშირში.

ნ. ს.

სესხი გასაღებული იქნება სრული 100 პროცენტით

ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის შესახებ საქართველოში ფინსახკომის სავალიუტო განყოფილების უფროსმა **ნ. ქოიავამ** განაცხადა:

აპრილში, როდესაც ტარდებოდა 1927 წლის 10 პროცენტიან სახელმწიფო სესხის რეალიზაცია, ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მუშებისა და მოსამსახურეების 30 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა ამ საქმეში ჩვენი ხაზით და გასაღებულ იქნა 700.000 მანეთის ობლიგაცია.

შეიძლებოდა გაცილებით უფრო მეტი თანხის შეგროვება, მაგრამ სესხი სავსებით განაწილებული იყო და მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი დარჩა.

ეხლა უკვე ჩვენ ვფიქრობთ, ინდუსტრიალიზაციის სესხის გასაღებაში მივაღებინოთ მონაწილეობა საქართველოს მუშა-მოსამსახურეების სრულ ას პროცენტს და ორგანიზაციულად შეუკავშირებელ მოსახლეობასაც.

სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეხლა ჩვენ გაცილებით მეტ თანხებს შევაგროვებთ, ვინემ აპრილში.

სესხის ქრონიკა

მასალების მიღება

საქართველოს ფინსახკომის სავალიუტო განყოფილებამ მოსკოვიდან მიიღო დიდძალი ოპერატიული მასალა ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ. ამ მასალებით საქართველოს ფინორგანოები უზრუნველყოფილნი არიან 1 ოქტომბრამდე.

შტატის გადიდება

ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის პერიოდში, საქართველოს ფინსახკომის სავალიუტო განყოფილების შტატი გადიდებულია დამატებითი თანამშრომლებით.

ინსტრუქტორები ადგილებზე

ადგილებზე ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის სათანადოთ დასაყენებლად, საქართველოს ფინსახკომი მაზრებში გზავნის სავალიუტო განყოფილების ინსტრუქტორებს.

ავტონომიურ რესპუბლიკებში

საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებში ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის საქმის მოსაწესრიგებლად, აფხაზეთში და აჭარისტანში მიემგზავრება საქართველოს ფინსახკომის სავალიუტო განყოფილების უფროსი **ნ. ქოიავა.**

სახელმწიფო ბანკში

მოსამზადებელი მუშაობა

ამჟამად საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილება აწარმოებს მუშაობას თბილისის წარმოება - დაწესებულებებში მუშა - მოსამსახურეთა კოლექტივების ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციისათვის მოსამზადებლად.

ამ მიზნით ბანკის მიერ გამოყოფილია სპეციალური თანამშრომლები. პირველ რიგში სამსახური გაეწევათ, ისეთ კოლექტივებს, რომლებმაც უკვე ხელი მოიწერეს 1927 წლის 10 პროცენტიან სესხზე.

შეჯიბრი კოლექტივთა შორის

ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის დროს სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებას განზრახულ აქვს მოაწყოს შეჯიბრი მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივების შორის სესხზე ხელის მოწერაში.

ა.-კ. მთავრობის მისალმება

აზერბეიჯანის ცაკის სესიას

ამიერ-კავკასიის ცაკი და ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭო მხურვალე სალამს უძღვნიან აზერბეიჯანის მშრომელთ აზერბეიჯანის ცაკის სესიის სახით, რომელიც შეკრებილია ლენქორანში რესპუბლიკის სოციალისტური მშენებლობის მორიგი ამოცანების გადასაწყვეტად. ლენქორანის გლეხობა, რომელმაც მძიმე გაჭირვება გადაიტანა სამოქალაქო ომის განმავლობაში, ამ სესიაზე გაიგებს, თუ რა დიდი მიღწევები აქვს საბჭოთა ხელისუფლებას ეკონომიურ, კულტურულ და სოციალისტურ მშენებლობის სხვა ფრონტებზე; იგი გაიგებს აგრეთვე, რომ საბჭოთა რესპუბლიკა ყოველგვარ ზომებს იღებს იმისათვის, რომ გლეხების შრომა გახადოს რაც შეიძლება ნაყოფიერი: იგი სცდილობს სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოღებას, თესლის გაუმჯობესებას, ძვირფასი კულტურის გავრცელებას და საკრედიტო დახმარების მიწოდებას. აზერბეიჯანის ცაკის სესიამ ლენქორანში საძირკველი უნდა ჩაუყაროს ლენქორანის საწარმოო ძალთა უფრო გაძლიერებული ტემპით განვითარებას, მის ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენებას.

გაუმარჯოს საბჭოთა აზერბეიჯანის მუშათა და გლეხთა ძმურ კავშირს!

გაუმარჯოს ა.-კ. სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის ეროვნული მშვიდობიანობის საფუძველს!

ა.-კ. ცაკის თავმჯდომარის მაგიერ პრეზიდიუმის წევრი **სტურუა.**

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მაგიერ **ჰუსეინოვი.**

ა.-კ. ცაკის მდივანის მაგიერ პრეზიდიუმის წევრი **იაკუბოვი.**

მზადება ოქტომბრის დღესასწაულისათვის

განათლების სახ. კომისარიატში

განათლების სახალხო კომისარიატთან ამხ. **მამია ორახელაშვილის** თავმჯდომარეობით დაარსდა ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის დღესასწაულის ჩამტარებელი კომისია, რომელმაც 23 სექტემბრის სხდომაზე გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებებისა დღესასწაულის ჩასატარებლად.

კომისიის დადგენილებით წინადადება ეძლევათ განათლების სახალხო კომისარიატის ცენტრალურ დაწესებულებებს და განათლების განყოფ. მოაწყონ მოხსენებები თეატრებში, კლუბებში, სახალხო სახლებში და გლეხთა სახლებში—საბჭოთა ხელისუფლების მიღწევების შესახებ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის საქმეში ს. ს. რ. კავშირში და ს. ს. ს. რესპუბლიკაში.

კომისიამ აგრეთვე დაადგინა, გამოცემულ იქნას მოკლე ანგარიშები (გაზეთის და წიგნაკის სახით) და სტატისტიკური ცნობარები კულტურულ მშენებლობის ცალკე დარგებში არსებულ მიღწევების მიხედვით;

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისთვის მიძღვნილ იქნას №№ ჟურნალებისა „ახალი სოფლისაკენ“, „პიონერი“, „ნაკადული“, „კარმირ წილერ“ და „კიზილ შეფეკ“;

დაწესებულებებში გამოცემულ იქნას კედლის გაზეთი, სადაც შეფარდდეს ადგილზე ჩატარებული მუშაობა და წამოყენებულ იქნას უახლოესი ამოცანები;

გამოცემულ იქნას და კულტურულ - განმანათლებელ დაწესებულებებში გავრცელდეს მხატვრული პლაკატები და დიაგრამები კულტურული მშენებლობის შედეგების შესახებ;

მოეწყოს (ცენტრში და ადგილებზე) გამოფენები, რომლებიც უნდა ამჟღავნებდენ კულტურული მუშაობის შედეგებს (ბეჭდვითი გამოცემანი — საქ. ს. ს. რესპუბლიკის სახელგამის მიერ გამოცემული ოქმები, დიაგრამები, სკოლების ნამუშევარი და სხვა);

უმთავრეს სამაზრო პუნქტებში მოეწყოს ს. ს. ს. რ. სახელგამის მიერ გამოცემული საბავშო, სახელმძღვანელო, მხატვრული და მეცნიერული ლიტერატურის მოძრავი გამოფენა;

სოფლებში გაშვებულ იქნას მოძრავი კინო რევოლიუციონური და სამეურნეო კულტურული შინაარსის სურათებით;

რადიოთი გაშვებულ იქნას მოხსენება, „ს. ს. რ. კავშირი ოქტომბრის 10 წლის თავზე და კულტურული მშენებლობის მორიგი ამოცანები“;

ზოგიერთ საუკეთესო განმანაწილებელ დაწესებულებას (არსებულს ან ახლად გახსნილს) მიენიჭება ოქტომბრის რევოლიუციის სახელწოდება: (სკოლა, რაიონული სკოლა, სოფლის ახალგაზრდობის სკოლა, საბავშო ბაღი, საბავშო სახლი, ტეხნიკუმი და სხვა);

სასწავლებლებში დაწესდეს ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის მუდმივი სტიპენდიები (უმაღლეს სასწავლებლებში, მუშფაკებში, ტეხნიკუმებში, საფაბრიკო - საქარხნო სკოლებში და სხ.);

ოქტომბრის დღესასწაულს შეუფარდდეს რამოდენიმე საცდელ - საჩვენებელ ქოხ-სამკითხველოს გახსნა;

ყველა ტიპის და საფეხურის სასწავლებლებში ჩატარდეს დღესასწაული (მოსახლეობის მოწვევით) მოხსენებებით, დეკლამაციით, ცოცხალი სურათებით, (რევოლიუციონური ბრძოლის და სოციალისტური მშენებლობის ეპიზოდები), რევოლიუციონური შინაარსის პიესებით, პიონერების გამოსვლით.

სახალხო განათლების ყველა დაწესებულება, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი აქტიურ მონაწილეობას იღებს მასიური დღესასწაულის მხატვრულად მოწყობაში.

ხელოვნების მუშაკთა კლუბში

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ შეიმუშავა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის კამპანიის ჩატარების პროგრამა.

პროგრამით გათვალისწინებულია კავშირის კლუბში, სახკინმრეწვში და ცალკე წარმოებებში მუშათა კრებების მოწვევა. კრებებთან ერთად გაიმართება მოგონებათა საღამოები.

ჩატარებული იქნება კამპანია ხელოვ. მუშაკთა კავშირის მოღვაწეობის შესახებ და ლექცია-მოხსენებები წარმოებებში საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობის შესახებ კულტურულ, პროფესიონალურ, ქალთა განთავისუფლების და სხვა დარგებში.

მოეწყობა საერთო კრება წითელ არმიელებთან ერთად, რის შემდეგ გაიმართება კონცერტი და კინო.

მოეწყობა სეირნობა ქალაქ გარეთ, რისთვისაც გამოყენებულ იქნება ფიზკულტურის წრე. ქუჩებში მოეწყობა მსვლელობა (კარნავალი), სადაც გამოყენებულ იქნება აღმოსავლური მუსიკა, სამხედრო ორკესტრი და ფიზკულტურის წრე. კარნავალის ჩატარება მინდობილი აქვთ ამხ. ა. **ახმეტელს და შენტოვს.**

თეატრებში გაიმართება წარმოდგენები ქართულ და რუსულ ენებზე და დაიდგმება ოპერა.

ა. ახმეტელს და პესიმისტს მინდობილი აქვთ სპეციალური კუპლეტების შედგენა.

5, 6 და 7 ნოემბერს კავშირის კლუბში მოეწყობა საღამოები.

კამპანიის ჩატარების დროს, გამოყენებული იქნება კინო სურათები—„1 საათი და 45 წუთი“ და „ორთქლმავალი“.

გამოიყოფა ცალკე კომისია კავშირის კლუბში სამხატვრო გამოფენის მოსაწყობად.

კავშირის ყველა ადგილკომებს დავალებული აქვთ, ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავისათვის სპეციალურ კედლის გაზეთების გამოცემა. მოეწყობა ამ გაზეთების გამოფენა და კონკურსი.

კლუბთან მოეწყობა ცალკე გამოფენა.

ოქტომბრის რევოლიუციის ისტორიის შესასწავლად გამოიყოფა ცალკე კომისია.

ამასთანავე გამოყოფილ იქნება კიდევ ერთი კომისია, რომელიც უხელმძღვანელებს კავშირის კლუბის მართვა-გაჩირაღდნებას.

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე ხელოვნების კავშირი თავის რიგებიდან გამოჰყოფს შრომის გმირებს.

აღნიშნული პროგრამა ჩატარდება კალენდარული გეგმის მიხედვით, რომელიც ცალკე იქნება შედგენილი.

ევროპა, როგორც კოლონია

ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როცა ამერიკელები მონროეს მოძღვრებას მისდევდენ: ამერიკა—ამერიკელებისო. შეერთებულ შტატების პრეზიდენტს კულიჯს ერთი წუთითაც ვერ წარმოუდგენია ამ სისტემის სიმართლე და შინაარსი. „თეთრი სასახლის“ ამირბარებს უკვე ვიწრო კალაპოტად მიაჩნიათ მონროეს მოძღვრება და ისინი მიისწრაფვიან, რათა მთელი მსოფლიო გადააქციონ ამერიკის კოლონიად. ამერიკა—ამერიკელებს, მსოფლიო—ამერიკელებს, ჰეგემონია—ამერიკელებს, ყველაფერი ამერიკელებს—აი რა ასულდგმულებს დღეს მთელ ამერიკას.

წავიდა ის დრო, როცა ინგლისელები პიტის მოძღვრებას მისდევდნენ: მთელი მსოფლიო ინგლისელებსო. დიახ გაქრა ის დრო, როცა მეთხმოციან წლების დიზრაელი სუეცის არხში ხედავდა ინგლისის ბრწყინვალების დამკვიდრებას. დღეს არც ერთი ინგლისელი აღარ ოცნებობს პიტისა და დიზრაელის მოძღვრებაზე. დღეს ყოველი ინგლისელი ხედავს და გრძნობს, რომ რაღაც „იდუმალის“ ძალით შეირყა მისი სისტემის საფუძველი, რომ მისი შეუდრეკელი ეკონომიკა მოექცა საშინელ ორომტრიალს. საოცარ ქანაობას და რომ ქანაობის დროს ინგლისური ჰეგემონია და გავლენა, სიმდიდრე და ძლიერება ისევ თავდება, როგორც პიტსბურგში გაკეთებულ საცერში კარგად გატარებული კანადის პური.

უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში ეკონომიკის ცენტრი ევროპიდან გადადის სხვადასხვა ქვეყნებში. 1913 წლიდან 1924 წლამდე მსოფლიოს ვაჭრობის ზრდა და მისი სახე სხვადასხვა ადგილებში იხატება შემდეგი სურათით (აქ ჩვენ ობსტის მასალა მოგვყავს) ვაჭრობა გაზრდილა:

ინგლისში	43,5 პროც.
ინგლ. დომინიონ. ¹)	61,5 პროც.
ევროპაში ²)	12,0 პროც.
დანარჩენი მსოფ. ³)	84,9 პროც.

ეს მასალა ჩვენ გვიხსნის და ხელის გულზე გვიშლის მთელს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებას, გვიჩვენებს ევროპის ტრაგედიას, და ყველა დანარჩენ ქვეყნების სასწრაფოდ განვითარებას და ზრდას.

მაგრამ ჩვენ მარტო ამ ცნობით არ დავკმაყოფილდებით და კიდევ უფრო მრავალ-მეტყველ მასალას მოვიყვანთ.

ავიღოთ ინგლისი და მისივე კოლონიები, ანუ უკეთ, მისი მფლობელობის და გავლენის ქვეშ მყოფი ადგილები.

ამ პროცენტებში ინგლისს შეუტანია კანადაში:

1870 წელს	59,0 პროც.
1880 „	48,0 პროც.
1890 „	38,6 პროც.
1900 „	24,7 პროც.
1910 „	25,4 პროც.
1925 „	17,7 პროც.

ინდოეთში შეტანილ საქონლებში ინგლისს ეჭირა:

1890 წელს	75,0 პროც.
1900 „	68,1 პროც.
1910 „	60,5 პროც.
1913 „	60,0 პროც.
1925 „	52,4 პროც.

ავსტრალიაში შეტანილ საქონელთა მასსაში ინგლისს ეჭირა:

1880 წელს	83,5 პროც.
1890 „	67,1 პროც.
1900 „	62,0 პროც.
1910 „	50,0 პროც.
1925 „	43,9 პროც.

ახალ ზელანდიაში ინგლისის შეტანას ჰქონდა დაჭერილი:

1890 წელს	67,5 პროც.
1900 „	61,5 პროც.
1910 „	61,0 პროც.
1913 „	59,5 პროც.
1925 „	52,0 პროც.

სამხრეთ აფრიკის თავის მხარეებში ინგლისს საქონლის შეტანაში ეჭირა:

1900 წელს	67,5 პროც.
1910 „	61,5 პროც.
1913 „	56,0 პროც.
1925 „	50,0 პროც.

თქვენ აქ ხედავთ, რომ ინგლისი უმოწყალოდ იდევნება საკუთარის ადგილებიდან, თქვენ აქ ხედავთ, რომ ინგლისს ყოველ წლობით ნიადაგი ეცლება თავისავე სახლში. მაგრამ ინგლისს სდევნიან კიდევ უფრო მეტის სისასტიკით და მოურიდებლად ყველა დანარჩენ ქვეყნებიდან. 1870 წელში ჩინეთში საქონლის მთელს რაოდენობაში მას ეჭირა 37 პროც., ხოლო 1924 წელში კი ინგლისი დაეცა 12,4 პროცენტამდე. წინად ინგლისს უამრავი საქონელი შეჰქონდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში, მაგრამ ამერიკამაც და იაპონიამაც ინგლისი გამოაგდეს თავის სამფლობელოებიდან პირდაპირ მუჯლუგუნით შეხედეთ ამ მხრივ მეტად საინტერესო სურათს. ამერიკაში შეტანილ ყველა საქონელში ინგლისს ეჭირა:

1870 წელს	34,8 პროც.
1890 „	23,3 პროც.
1910 „	17,4 პროც.
1925 „	10,2 პროც.

თქვენ აქ ხედავთ, რომ ინგლისი ისე „გარბის“ ამერიკიდან, რომ მას ვერავითარი მწევარი ვერ დაეწევა, ან უფრო მართალი იქნება ვსთქვათ, რომ ამერიკა პირდაპირ პანღურის ცემით აძევებს ინგლისს თავის ქვეყნიდან.

ინგლისს ასევე უპატივცემლობით ეპყრობა იაპონიაც. აქაც უარესი დღე ადგება ინგლისს. იაპონიაში შეტანილ საქონლის მთელს რაოდენობაში ინგლისს ეჭირა:

1880 წელს	53,5 პროც.
1900 „	25,0 პროც.
1913 „	16,8 პროც.
1925 „	6,4 პროც.

არ იფიქროს მკითხველმა, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო ინგლისის როლის დაცემასთან, არამედ საზოგადოთ აღებ-მიცემობის საერთო დაცემასთან. არა, არაფერი ამის მსგავსი. ეცემა მხოლოდ ევროპის და ინგლისის ეკონომიური როლი. ინგლისი, როგორც საზოგადოთ. ისე თავისავე სამფლო-ქვეყნებში ჰკარგავს ნიადაგს და მას უპირატესობას ართმევს უმთავრესად ამერიკა, შემდეგ იაპონია და გერმანია. მაშინ, როცა ინგლისი თავის სამფლობელოებში საშინლად ეცემა, რასაც ზემოდმოყვანილი საბუთები სავსებით აშკარავებენ, ამერიკა კი ინგლისისავე სამფლობელოში იჭერს და იჭერს თანდათან მეტ ადგილს. აბა დააკვირდით. შეტანილ საქონლის საერთო რაოდენობაში ამერიკას ეჭირა:

	1870 წ.	1890 წ.	1910 წ.	1925 წ.
კანადაში	33,0%	46,5%	59,4%	64,0%
ინდოეთში	0,2%	2,2%	2,3%	5,5%
ავსტრალ.	3,0%	6,5%	12,8%	27,0%
ჩინეთში	0,6%	2,8%	5,2%	22,0%

ინდოეთში შეტანილ საქონლის რაოდენობაში იაპონიას ეჭირა 1870 წელს მხოლოდ 1,1 პროც., 1910 წელში 1,6 პროც., ხოლო 1925 წ. 6,7 პროც. იაპონიას ეჭირა ჩინეთში შეტანილ საქონლის რაოდენობაში 1870 წელ. რაღაც 1,4 პროც., 1910 წ.—16,1 პროც.; ხოლო 1924 წ. კი უკვე 23,2 პროც.

როგორც ყველგან მთელს მსოფლიოში, ისე რუსეთშიაც, თვით ომის წინახანაშიაც, ინგლისი საოცარის სისწრაფით ჰკარგავდა თავის ეკონომიურ პოზიციებს. რუსეთში შემოტანილ საქონელთა რაოდენობაში ინგლისს ეჭირა:

1870 წელს—33,9 პროც., 1900 წელს—20,0 პროც., 1912 წ.—12,1 პროც.

რუსეთიდან ინგლისს ერეკებოდა განსაკუთრებით გერმანია და გერმანიასთან ერთად ისევ და ისევ ჩვენთვის ნაცნობი ამერიკელი იანკი. რუსეთში შემოტანილ საქონელში ქონდა წილი:

	გერმანიას	ამერიკას
1870 წელს	42,8	1,5
1900 „	34,6	7,5
1912 „	45,4	7,4

თქვენ ხედავთ მსოფლიოს აღებ-მიცემობაში ყველა ქვეყნების მდგომარეობას და განსაკუთრებით ინგლისის დაცემას და დაქვეითებას.

ძნელი იყო ინგლისისთვის პირველი პოზიციების ჩამორთმევა, ძნელი იყო ამ პოზიციების დაპყრობა მაშინ, როცა ის (ომამდე) გაცილებით მძლავრი სახელმწიფო იყო. ამიერიდან ჩვენ მოწამენი ვხდებით მთელი ინგლისის პოლიტიკის და ეკონომიკის დაქანებისა უფსკრულისაკენ.

ინგლისის დამხობის და მისი ფაქტიურად კოლონიად გადაქცევის უმთავრესი პირობა იმაშია, რომ დღეს მისი უდიდესი მეტოქე (ეკონომიკაში) ამერიკა აღჭურვილია გაცილებით მეტის საშუალებებით, ვიდრე ინგლისი, რომ მთელი ეკონომიკის სადავეთა ყველა მთავარი ღვედები უკვე ამერიკის ხელში არის.

1914 წელში სავაჭრო გემთა რაოდენობა უდრიდა 49 მილ ბრუტტო (ტარიანა) ტონნას, ამაში მარტო ინგლისს ეჭირა (ირლანდიით) 39,3 პროც.; მაგრამ 1924 წელში ინგლისს უჭირავს მხოლოდ 29,9 პროც. მაშინ, როცა ამერიკის (როცა ვხმარობთ ამერიკას ყოველთვის ვგულისხმობთ ამერიკის ჩრდ. შეერთებულ შტატებს) ძალა გაიზარდა 6,8 პროცენტიდან 21,2 პროცენტამდე. მაგრამ საგულისხმიერო ის არის, რომ ზეთით მომქმედი სავაჭრო გემების რიცხვი მსოფლიოში უდრიდა 17,1 მილლ. ბრუტტო ტონნას, ხოლო ამ საერთო რიცხვში ამერიკას ეჭირა 53,0 პროც. (მასალა ობსტის თხზულებიდან).

ყოველგვარ ჯურის სატრანსპორტო მოტორის რაოდენობა მთელს მსოფლიოში უდრიდა 1926 წელში 24,4 მილიონს, ხოლო მარტო ამერიკის ხელში იყო ყველა ამ სატრანსპორტო მოტორების 81,2 პროც. სპილენძის ამოღება უდრიდა მთელს მსოფლიოში 1.350,2 ათასს ტონნას (ტონა—62 ფუთია), ხოლო მარტო ამერიკას (მთლიანად) ეჭირა იმაში 79,9 %, ხოლო მთელ ევროპას 7,5 %. თუ რა ტემპით სცემს ამჟამად შეერთებული შტატების ინდუსტრია ამას კარგად დაინახავთ თუ წარმოიდგენთ, რომ მძიმე ინდუსტრიაში შეერთებული შტატები ხმარობდენ მთელი მსოფლიოს სპილენძის 46,7 პროცენტის რაოდენობას, როცა მთელი ინგლისის იმპერია ხმარობდა მხოლოდ 9,9 პროც.—1924 წელში. სპილენძის წარმოება 1924 წ. ინგლისში უდრიდა 8,4 მილ. ტონნას, ხოლო შეერთებულ შტატებში 38,4 მილ. ტონნას. თუ სპილენძის ხმარებას ინგლისში 1924 წ. ავიღებთ 100-ად, მაშინ დავინახავთ, რომ შეერთებულ შტატების სპილენძის მოხმარების პროცენტი უდრის 458,1 პროც., 1924 წელში რკინის წარმოება იძლეოდა ინგლისში 7,4 მილლ. ტონნას, ამერიკაში 31,5 მილლ. ტონნას. ნახშირის წვით მიღებული ყოველწლიური ელექტრო-ენერგია უდრიდა შეერთებულ შტატებში 560 მილლიარდ კილოვატსაათს, ხოლო მთელს ბრიტანეთში, 190 მილლიარდს, წყლის ძალით მიღებული ელექტრო-ენერგია ამერიკაში 40 მილლიარდს, ინგლისში კი 0,8 მილლიარდს, მინერალურ ზეთით მიღებული ენერგია ამერიკაში 80,0 მილლიარდს, ბრიტანეთში 4,5 მილლიარდს.

სანამდე უნდა გავაგრძელოთ ამ შესანიშნავი მასალის დემონსტრაცია. ამერიკა შეიარაღებულია რკინით, ფოლადით, სპილენძით, მანქანებით, მოტორებით, ნავთით (მის ხელთ არის მსოფლიოს ნავთის 70,7 პროცენტამდე,) ოქროთი და სცდას მსოფლიოს ბრძოლის ველზე. ამავე დროს რა უმნიშვნელოა ძალა ინგლისისა.

ჩვენ ვხედავთ, რომ ამერიკა ერეკება ინგლისს როგორც ყოველ წარმოებიდან. ისე მთელი მსოფლიო ვაჭრობიდან. ომით ეს დაცემა ინგლისისა მხოლოდ საშინლად დაჩქარდა. ჩვენ ვხედავთ, რომ ევროპას ომში მილიტარული გამარჯვება დაუჯდა გამოუსწორებელი ეკონომიურ დამარცხებად და ახლა ჩვენ ვიმყოფებით ამ ეკონომიურ დამარცხების შედეგებთან.

ჩვენ ვხედავთ, რომ თანამედროვე ევროპა ეკონომიურად ემსგავსება თავისავე კოლონიებს.

რასაკვირველია, არაფერი ამის მსგავსი არ ხდება ამერიკაში. ამერიკასა და ევროპას შუა გაუვალი ზღვარია, აქ ჩვენ სრულიად სხვადასხვა ხასიათის პროცესებთან გვაქვს საქმე და რაც ითქმის ევროპაზე იგივე ოდნავადაც არ ითქმის ამერიკაზე.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამერიკა ამჟამად მთელი მსოფლიოს ბანკირია, რომ ამერიკა იმისათვის კი არ ზრუნავს დღეს თუ რომელ ქვეყანაში და როგორ მოახერხოს ფულის აღება სესხად, არამედ თვით როგორ, სად და რა პირობებში გაასესხოს უამრავი თავისი ოქრო და ვერცხლი.

შანცის „ფინანც-არხივ“-ის მეორე ტომში (1926 წ.) მოყვანილია საგულისხმიერო ტაბულა ამერიკის სახელმწიფო ფინანსების შესახებ. ამერიკას ყოველწლიურ შემოსავლიდან დარჩენია დაუხარჯავი:

1920 წელს	212,5 მილ. დოლარი.
1921 „	86,7 მილ. დოლარი.
1922 „	313,8 მილ. დოლარი.
1923 „	309,6 მილ. დოლარი.
1924 „	505,4 მილ. დოლარი.

ვიმეორებთ, ეს ბრწყინვალე მდგომარეობა ამერიკის სახელმწიფოებრივი ბიუჯეტისა სრულიადაც არ არის გამოწვეული საგადასახადო სისტემის განსაკუთრებულის ნაყოფიერების მუშაობით არა, ამ მხრივ ამერიკის ფისკი ევროპის ფისკთან შედარებით ძალიანაც მოიკოჭლებს. ამერიკის ეს ფინანსები შედეგია მხოლოდ და უმთავრესად მთელი ეკონომიური ცხოვრების გამოცოცხლებისა.

ინგლისური ფინანსები, რომელნიც მსოფლიოში უპირველეს ადგილს იჭერდა მთელს მე-19 საუკუნეში, ხოლო რომელმაც არასოდეს არ იცოდა საბიუჯეტო დეფიციტი, სწორედ დღეს მოგვევლინა, როგორც შერყეული, შეფერთხილი, ჭლექით შეპყრობილი. 12 აპრილის ნომერში სოციალ-დემოკრატების გაზეთი „ფორვერტსი“ გაკვირვების ნიშნებით აცნობდა თავის მკითხველებს ჩერჩილის მიერ (ინგლისელების ფინანსთა მინისტრია) 3—4 მილიარდი დეფიციტიანი ბიუჯეტის წარმოდგენას 1927—28 საბიუჯეტო წლისათვის. რასაკვირველია, ჩერჩილის ბიუჯეტმა თავზარი დასცა მთელს ინგლისს. ეს ქვეყანა ამჟამად პირველი სახელმწიფოა მთელს მსოფლიოში გადასახადების სიმძიმის მხრით, მაგრამ განა გადასახადებით ხალხის კიდევ მეტის დაბეგვრით შეიძლება ინგლისის შერყეული სახელმწიფოებრივი ფინანსების გამოსწორება? არასოდეს. ინგლისის ეკონომიკის უპირატესობის დაკარგვა და ამ ეკონომიკის თანდათანი დაცემა აუცილებლად ხდის ინგლისის ფინანსების დაცემასაც და ამიერიდან ჩვენს წინაშე იშლება სრულიად ნორმალური ხანა ინგლისის ბიუჯეტის „ნორმალური“ დეფიციტისა. ინგლისის ფინანსთა მინისტრს აღარ შეუძლიან სისწორით განსჭვრიტოს თავისი სახელმწიფოებრივი შემოსავალი. თუ წინად მისი ორიენტირი მართლდებოდა და შემოსავალი ორიენტირს (წინასწარ დასახულ გეგმას) აჭარბებდა, ეხლა მდგომარეობა სრულიად შეცვლილია, მისი ანგარიში ცხოვრების მიერ უარყოფილი ხდება. ინგლისელ მინისტრს, რა თქმა უნდა, არ შეუძლიან შეიგნოს და წარმოადგინოს ტემპი ინგლისის ეკონომიკის დაცემისა და ამიტომ ის უფრო იმედით უყურებს ცხოვრებას, ვიდრე ინგლისური ცხოვრება იძლევა ამის საბუთს. 1926—27 წლის ბიუჯეტით ინგლისი ფიქრობდა, რომ ის მიიღებდა 825 მილლ. გირ. სტერლინგს, მაგრამ ცხოვრებამ იმედი გაუცრუვა და ამის მაგიერ მან მიიღო 806 მილლ. გირ. სტ. ხსენებულ საბიუჯეტო წელში ინგლისი ფიქრობდა დაეხარჯა 833 მილლ. გირ. სტ., მაგრამ ცხოვრებამ აქაც უღალატა და მეტი დაახარჯვინა, 842 მილლ. გირ. სტერლინგი. მეტი ხარჯები, ნაკლები შემოსავალი,—აი სარკე ინგლისის სახელმწიფო ფინანსიური მდგომარეობისა დეფიციტი 1927—28 წლისათვის, დეფიციტი 1926—27 წელში, დეფიციტი 1925—26 წელში.—ეს შესანიშნავი ისტორიული პარალელია, რომელიც გვიაშკარავებს ინგლისის დაცემის მთელს საიდუმლოებას.

ეკონომიკის დაცემა, ფინანსების დაცემა, განა შეიძლება ყოველი ეს დაცემა ხდებოდეს თავისთავად და ამავე დროს ეს დაცემა არ ნიშნავდეს ცხოვრების სხვა მხარეების დაცემას? რასაკვირველია, არა. ინგლისი და ევროპა ჩვენ გვაჩვენებს ცხოვრების ყოველი მხარის დაცემას. ინგლისის ეკონომიკის და სახელმწიფოებრივ ფინანსების დაცემას მოსდევს ლოღიკურის აუცილებლობით ქაღალდის ფულების თანდათან მეტი მოჭრა და გამოშვება, ჩვენს წინ იშლება ხანა ინფლიაციის და ემისიის. მიმდინარე 1927 წლის პირველ მეოთხედში ინგლისმა გამოსცა 144,8 მილლ. გირ. სტ. მაშინ, როცა ამავე ხნის განმავლობაში გასულ წელში მან გამოსცა მხოლოდ 75 მილლ. გირ. სტერლინგი. ეს გარემოება პირველ ყოვლისა ხვდება მშრომელთა მასსებს, მათ ხელფასს, იგივე იწვევს ცხოვრების გაძვირებას, ფასების ზრდას, მთელი ხალხის მთელი საცხოვრებელი პირობების გაუარესებას.

საშუალოდ ამერიკელ მუშის ხელფასი (მხოლოდ საათობრივი) 1913 წელთან შედარებით გაიზარდა 2.5 ჯერ, ხოლო 2,8 ჯერ გაიზარდა 1907 წლის ხელფასთან შედარებით (ამავე დროს მუშაობის დრო შემცირდა 7,2 პროც.), მაგრამ ამის სრულიად დიამეტრალურ სურათს გვიჩვენებს ინგლისი და ევროპა. ამერიკის საცხოვრებელ მასალების საშუალო ფასები-ინდექსი 1926 წლისათვის აწეულია მხოლოდ 175 პროც-მდე, ე. ი. მცხოვრებთა და ჯამაგირის ხალხის ეკონომიური მდგომარეობა ამერიკაში ომის წინა ხანასთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესებულა, რასაკვირველია, ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა და სავსებით შეეფერება ამერიკის კაპიტალის იმპერიალისტურ მსვლელობას, რასაც ერთხელ მარქსი და ენგელსი ამბობდნენ ინგლისელ მუშის ლიბერალიზმის შესახებ, ის ეხლა ამერიკელ მუშაზე ითქმის.

საფრანგეთში უმთავრეს დარგთა მუშების ხელფასი უმრავლეს ქალაქებში 1911 წელთან შედარებით გაზრდილა 5.84 ჯერ, მაგრამ საცხოვრებელ მასალების ღირებულება,—ინდექსი კი 6 ჯერ და 6,38 ჯერ. ესე იგი ჩვენ ვხედავთ საფრანგეთის მუშების მატერიალურ მდგომარეობის მეტად გაუარესებას. ანალოგიურ სურათს ჩვენ გვაჩვენებს სხვა სახელმწიფოებიც. თუ ავიღებთ არა ნომინალურ საერთო ხელფასს, არამედ რეალურ ხელფასს და შევადარებთ 1913 წელს, 100-ად აღებულს, მაშინ დავინახავთ, რომ ომის წინა დროსთან შედარებით გაუმჯობესებული ხელფასი არსებობს მხოლოდ შეერთებულს შტატებში, ინგლისში არის 1925 წლისათვის 99,3 პროც., საფრანგეთში 99,7 პროც., გერმანიაში კვალიფიციურ მუშის 95 პროც. იტალიაში 89,7 პროც., 1926 წელში მდგომარეობა უარესდება ყველგან, ხოლო მუშათა მდგომარეობის გაუარესების სათავეში სდგას ინგლისი. ამჟამად მას მისდევს გერმანია (1927 წელში გერმანიაში ტრამვაის და ავტობუსის მოძრაობა გაძვირდა 30 პროც., ბინის ქირას მოუმატეს 80 პროც., ხოლო ამჟამად განზრახულია საგრძნობი გაძვირება ფოსტა-ტელეგრაფის და სხ.) მუშის ხელფასის მდგომარეობის და პერსპექტივის დასახასიათებლად ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს თვით უმუშევართა რაოდენობის საკითხს. უეჭველია, უმუშევრობა თანდათან გაიზრდება ევროპაში. ვლ. ვოიტინსკის მოჰყავს ზოგიერთი ცნობები ამის შესახებ (იხ. „გეზელშაფტი“ გვ. 112), ინგლისში 1926 წლის 1 იანვრისათვის პროფესიონალურ კავშირის წევრთაგან უმუშევრად ირიცხებოდა 10,6 პროც., ხოლო წლის განმავლობაში ის თანდათან იზრდება, დეკემბერში ის უდრის 12,2 პროც., განსაკუთრებით ავადმყოფური მდგომარეობაა დანიაში, შემდეგ ნორვეგიაში, ივლისის თვიდან მდგომარეობა უარესდება აგრეთვე გერმანიაში (ივლისი 1926 წლისა).

ჩვენ აქ არ ვეხებით იმ გაფიცვებს, რომელსაც ევროპაში ადგილი ქონდა ამ უკანასკნელ ხანებში. აღვნიშნავთ მხოლოდ რომ ფორმა ევროპის მუშათა დემონსტრაციების და ზომა ევროპის გაფიცვების უმაგალითოა თავისი სიდიდით და სიმწვავით მთელი ევროპის უკანასკნელ 60 წლის ისტორიაში. მიუხედავად გამწვავებული მდგომარეობისა კაპიტალისტური ევროპა იძულებულია მუშათა მდგომარეობა გააუარესოს პოლიტიკ. უფლებათა შეზღუდვის და სამუშაო დროის გადიდების მხრივ. ჯერ-ჯერობით მუშათა მდგომარეობის უფლებრივ-სოციალურ მდგომარეობის გაუარესების მიმართულება ჩვენ გვაქვს ინგლისში (საყოველთაო გაფიცვის აკრძალვა და სამუშაო დროის გადიდება), ხოლო გერმანიაში სამუშაო დროის გადიდება.

ყველა ეს ფაქტები ჩვენ გვეუბნებიან შემდეგს: ევროპის კაპიტალიზმის წმინდა ეკონომიურ-ფინანსიური ხასიათის გაუარესება იწვევს პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობის გართულება-გაუარესებას, ყველა ის ლიბერალიზმი, რომელიც მე-19 საუკუნეში ევროპიულმა საზოგადოებამ მიიღო კაპიტალიზმიდან, კაპიტალიზმს უკანვე მიაქვს, მაგრამ, რასაკვირველია, ეს გამოსავალი კი არ არის, ეს არც პოლიატივაა, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ სოციალურ რევოლიუციის გზა, საითკენაც მთელი ევროპის ობიექტიური პირობები ცხოვრებისა ასე სწრაფად მიექანებიან.

აღნუსხულ მდგომარეობიდან ევროპას არავითარი გამოსავალი არ აქვს. კაპიტალისტური ფორმის შენახვა ევროპას აქცევს კოლონიად და იგი შეიძლება მხოლოდ ერთით გათავდეს: სოციალური რევოლიუციით. კოლონიალურ მდგომარეობას ევროპა თავს ვერავითარ შემთხვევაში ვერ დააღწევს. ჩვენ დავინახეთ, რომ ამისათვის აღარ არსებობს არავითარი საშუალება. თუ უკულტურო ერები ველარ ითმენენ კოლონიალურ მდგომარეობას, მით უმეტეს ვერ მოითმენს რუსეთის სოციალისტური რევოლიუციის წარჩინება და მისი ეკონომიკის ახალ საფუძვლებზე განვითარება. არის ცოცხალი მაგალითი მთელი ევროპისათვის. ევროპა კოლონიალურ მდგომარეობას თავს დააღწევს მხოლოდ კაპიტალისტურ ფორმის უარყოფით და მთელ ევროპის მასშტაბით სოციალისტური ეკონომიკის მიღებით, მხოლოდ ამ დროს შეიძლება მთელ ევროპა-აზიის ბუნებრივ და ხელოვნურ სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენება, მხოლოდ სოციალიზმით შეიძლება უარყოფილ იქნას ძველი ევროპის პოლიტიკურ-ფეოდალური რუქა, მხოლოდ სოციალისტურ რევოლიუციას შეუძლია ევროპას გაუშალოს რესურსები, მხოლოდ სოციალისტურ რევოლიუციას შეუძლია ევროპის რესურსებს გზა და კარი მისცეს.

ძნელია დროის განსაზღვრა თუ როდის მოხდება ევროპაში ეს დიდი ისტორიული აქტი. აშკარაა ერთი: ევროპა მოწყდა თავის ნორმალურ საყუდელს, მისი ჯაჭვები დალეწილია, დღეს ის ბობოქარს ოკეანეში დაცურაობს და მისი ერთად-ერთი ნავთსაყუდელი—სოციალიზმია.

ჩემბერლენს, პუანკარეს, მუსოლინს ამ პროცესის მხოლოდ დაჩქარება შეუძლია, მაგრამ შეჩერება არასოდეს.

თედო ღლონტი.

ბერლინი.

---

¹) ეგვიპტე, სამხრეთ აფრიკის ინგლისის სამფლობელოები, ოქროს ნაპირი, ნიგერია, ინდოეთი, მალავა, ცეილონი, კანადა, ნიუფაუნდლენი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ინგლისის დანარჩენი ზღვის გაღმა მხარეები.

²) გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ჰოლანდია, ბელგია, შვეიცარია.

³) შეერთებული შტატები, კუბა, მექსიკა, არგენტინა, ბრაზილია, ჩილი, ჩინეთი, იაპონია, კორეია.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი

ზუგდიდი, 23 სექტემბერი. სამეგრელოს ყოფილ თავადების პარკში მიმდინარე წელს დაიწყეს ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის მოწყობა. ეს ბაღი დღემდე არ იყო დაცული, სხვადასხვა მავნე ბალახები და მცენარეები აფუჭებდენ ბაღს. საქ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი გაზაფხულიდან შეუდგა ბაღის გაწმენდას და მის წესრიგში მოყვანას. ბაღის გამგედ დანიშნულია აგრონომი ცაგარეიშვილი. ბოტანიკური ბაღის ამოცანაა—საცდელი განყოფილებებისათვის დასაყრდენი პუნქტის მოწყობა. ბაღში გაშენებული იქნება მცენარეები და კულტურულ მცენარეთა ნერგები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საცდელ ტეხნიკურ კულტურებს. (ადს).

ამხ. სმირნოვი თელავის მაზრაში

თელავი, 24 სექტემბერი. ამ დღეებში თელავის მაზრა ინახულა რ. ს. ფ. ს. რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. სმირნოვმა, რომელსაც თან ახლდენ: საქ. მიწათმოქმედების სახ. კომისარი ამხ. გეგეჭკორი და სამხრეთ-ოსეთის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ჯატიევი. ამხ. სმირნოვმა დაათვალიერა წინანდალის სახალხო მამული და იყალთოსა და კონდოლის სანერგეები.

ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაცია

ბათუმი, 24 სექტემბერი. ინდუსტრიალიზაციის სესხის გასავრცელებლად აჭარისტანის ფინსახკომის წარმომადგენლობასთან შედგენილია კომისია პარტიისა, პროფკავშირებისა და საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან.

საკავშირო სახ. ბანკის აჭარისტანის განყოფილება, ელის სესხის გავრცელებასთან დაკავშირებულ ლიტერატურასა და მასალებს: პლაკატებს, ცირკულიარებს, სესხის გამოსაწერ ფურცლებს და სხ.

სახელმწიფო ბანკთან არსდება სპეციალური განყოფილება სესხის გამოსაწერად და სარეალიზაციოდ.

სესხზე წინასწარი ხელმოწერა წარმატებით მიმდინარეობს.

აჭარისტანის მაზრებში სესხის გასაღება მოხდება აღმასკომების საფინანსო განყოფილებებისა და საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით.

წერილები

სანიტარულ აღზრდის მნიშვნელობა სასწავლებლებში

მომავალი ჯანმრთელ საზოგადოების აღზრდისათვის ერთ-ერთ მთავარ პირობად უნდა ჩაითვალოს სასკოლო ჰასაკის ახალგაზრდობისათვის ზრუნვა, მათ სანიტარულ აღზრდაზე საკმაო ყურადღების მიქცევა. ყველაზე უფრო წესიერად და ორგანიზაციულად ჩვენ შეგვიძლია ახალგაზრდობის სასკოლო პერიოდში განვითარება.

მიუხედავად სანიტარული ცოდნის თანდათანობითი ზრდისა, მოქალაქეთა უმრავლესობას უხდება ცხოვრება ანტისანიტარულ მდგომარეობაში, რაც უმთავრესად უნდა მიეწეროს მათი სანიტარული განათლების დაბალ დონეს. ყოველივე ამის გაგება და შეთვისება უფრო ადვილი მოსახერხებელია სასკოლო ჰასაკის ბავშვებისათვის თვით სასწავლებლებში.

აქ ჩვენ შეგვიძლია მოზარდი თაობის ჯანმრთელობის გაგება და საჭირო ზომების მიღება, აგრეთვე მათი სანიტარული ცოდნის ამაღლებაც. ჯანმრთელობის თვალსაზრისით კი ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

მოზარდი თაობის საგრძნობი ნაწილი დაავადებულია სხვადასხვა ავადმყოფობით, რაზედაც წინასწარ ზომების მიღება სასურველ ნაყოფს მოგვცემს.

ჩვენმა სასწავლებლებმა გონებრივ განვითარებასთან ერთად ფიზიკურ და სულიერ განვითარებასაც უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება. მათ შორის სრული თანასწორობა უნდა შექმნან.

ძნელია ამის განხორციელება სოფლის პირობებში, სადაც უმთავრესად განვიცდით საჭირო ცოდნით აღჭურვილ, კვალიფიციურ ექიმების ნაკლებობას. ასეთების ყოლა კი აუცილებლობას წარმოადგენს, მაგრამ უნდა გამოვიყენოთ ის ექიმები, რომლებიც თემებში საექიმო პუნქტებს განაგებენ.

მართალია, ისინი ისედაც დატვირთულნი არიან მუშაობით, მაგრამ ჯანმრთელი ახალგაზრდობის აღზრდა ექიმებისათვის უმთავრესი მოვალეობა უნდა შეიქნეს.

მხოლოდ ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობა პედაგოგებსა და ექიმ-პედაგოგებს შორის მოგვცემს სწორ გაგებას მოწაფეთა - ბავშვების როგორც გონებრივ, ისე ფსიქო-ფიზიკურ განვითარების საკითხში.

სულით და ხორცით ჯანმრთელი ახალგაზრდობა საუკეთესო საწინდარია მომავალ გამარჯვებისათვის სოციალისტურ აღმშენებლობაში. დიდია აქ ექიმების მოვალეობა, განსაკუთრებით პროვინციის სოფლებში და გვჯერა, რომ ისინი ამ მოვალეობას პირნათლად შეასრულებენ.

ექ. ვ. თ.

სურებ - ჩოხატაურის გზა

სურების რაიონი უგზოობის გამო დიდ სივიწროვეს განიცდიდა. ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს სურებ-ჩოხატაურის გზის გასაყვანად. გლეხობის უმრავლესობას ვერც კი წარმოედგინა, რომ ოდესმე ეღირსებოდათ გზის გაკეთება, მაგრამ, როდესაც თავისი თვალით დაინახეს დაწყებული საქმე, ასე ამბობენ: „რამოდენიმე მთავრობის მომსწრენი ვართ, ყველანი გვპირდებოდენ ამ გზის გაკეთებას, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა შესძლო მხოლოდ დღევანდელმა ხელისუფლებამ. მართლა კი ყოფილა საბჭოთა მთავრობა მშრომელი გლეხობის ინტრესების დამცველი, თორემ ამდენ ფულს და მასალას როგორ დახარჯავდა ჩვენი გზის გასაკეთებლადო“.

ეს სიტყვები იმას გვეუბნება, რომ გლეხობა, რომელიც კიდევ ვერ იყო დარწმუნებული არსებული ხელისუფლების საქმიანობით, ამის შემდეგ ნათელი წარმოდგენა აქვს მასზე.

მართალია, სურებ-ჩოხატაურის გზა ჯერჯერობით არ არის დამთავრებული, მაგრამ ახლო მომავალში იქ, სადაც წინედ ადამიანსაც კი უჭირდა გავლა, ეტლები დაიწყებს მიმოსვლას.

ამ უდიდესი მიღწევით წახალისებულია არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალებიც, რომლებიც კოლექტიურად გამოდიან გზის გაყვანის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

ვ. რ. რამიშვილი.

კოოპერატიული სასადილოები სოფლად

სოფლის ძველი ყოფა-ცხოვრების გარდაქმნის საქმეში, კოოპერატიულ სასადილოებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. სოფლად ხეირიან სასადილოების მოწყობით შემცირდება მრავალი ხარჯები და თვით საკვების ღირებულებაც გაუმჯობესდება.

განსაკუთრებით სასარგებლოა ეს გლეხკაცებისათვის, რადგან ისინი უმთავრესად შრომას და ენერგიას საჭმელის დამზადებას ანდომებენ.

დღეს კოოპერატივებს გადადგმული აქვთ ნაბიჯი სასადილოების გახსნის საქმეში. იშვიათია ისეთი თემი, სადაც ერთი კოოპერატიული სასადილო მაინც არ არსებობდეს. მაგრამ სამწუხაროდ მათი უმრავლესობა დღესაც არ სდგანან თავიანთ მოწოდების სიმაღლეზე.

ბევრგან ჩვენი კოოპერატიული სასადილოები არაფრით არ განირჩევიან ძველ რესტორან-სამიკიტნოებისაგან. ხშირია შემთხვევები, როდესაც თვით მასში მომუშავე პირები გლეხობას ხელს უწყობენ ღვინის უზომო სმაში და სხვა.

ფასების მხრივაც არავითარი განსხვავება არ არსებობს კერძო სამიკიტნოებსა და კოოპერატიულ სადილოების შორის. არც წესრიგი და სისუფთავე სუფევს. გარდა ამისა, სისტემატიური ხასიათი აქვს სასადილოებში ლანძღვა-გინებას და ჩხუბს, რის გამო მასში ვერ ნახავთ შესულს ერთ გლეხ-ქალსაც კი.

ერთი სიტყვით კოოპერატივები ნაკლებად ზრუნავენ სასადილოს სურსათ-სანოვაგით მომარაგებაზე, სათანადო ინვენტარით მოწყობაზე და საერთოდ მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ვიმეორებთ, კოოპერატიულ სასადილოების ხეირიანად მოწყობას სოფლისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ახალი, საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების სახეების შექმნაში და ყოველგვარი ზომები უნდა იქნეს მიღებული კოოპერატიულ სასადილოების საჭირო სიმაღლეზე დასაყენებლად.

გიგა.

სოფ. ახუთი, ზუგდიდის მაზრა

(მოგზაურის შთაბეჭდილებანი)

სოფ. ახუთის მიღწევების შესახებ ბოლო წლებში ბევრი მესმოდა, მაგრამ ეს გაზვიადებული მეგონა. 1922 წლის შემდეგ ამ ზაფხულს პირველად ვნახე ეს სოფელი.

ჯერ კიდევ შორიდან, 12—13 ვერსიდან ამჩნევ დიდ ცვლილებებს. იქ, სადაც წინეთ მუხლებამდე ტალახში და წუმპიან რუ-მდინარეებში ქშენით მიდიოდა ილაჯ-გაწყვეტილი უნაგირიანი ცხენი, დღეს სუფთა, მოკენწილ შარა-გზით კოხტა ხიდებზე მისრიალებს ეტლი, ხშირად ავტომობილიც კი. გზის გასწვრივ ბოძებზე გადაჭიმულია ტელეფონისა და ტელეგრაფის მავთულების ხაზი.

თვით სოფელი მშვენიერი ახალშენის შთაბეჭდილებას ახდენს. დანგრეული ბაზარი, ძველი სახელწოდებით, „სამღებრო“ განახლებულა, ჰკლამაზებულა და შუაში მოუქცევია ევებერთელა ქვიტკირით ნაგები, თეთრი თუთიით გადახურული შენობა. ეს სამომხმარებლო კოოპერატივის შენობაა საკუთარ მოგებით აშენებული. რამოდენიმე განყოფილებები: სამანუფაკტურო, საგალანტერიო, საწვრილმანო, სახარაზო და სასადილო. გვერდზე ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა, სამკითხველო, იქვე აფთიაქი, მისაღები პუნქტი საკუთარ ექიმით და ფერშალით, სამი სასწავლებელი საკუთარ შენობებში, სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა და სხვა.

განსაცვიფრებელია აგრეთვე ის მორალური გარდატეხა, რომელსაც მასის აღზრდა ეწოდება. ეს გახლავთ ქურდობის მოსპობა. დღეს ვეღარ შეხვდებით ვერც ერთ ქურდობის შემთხვევას.

ცხადია, ყველა ამისათვის უამრავი შრომა და ღვაწლი მიუძღვის ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად იმ მოწინავე წრეს, რომელიც დღეს სათავეში უდგას აქაურ კულტურულ-ეკონომიურ დაწესებულებას.

ვენერა ახელი.

წერილებიდან

გურჯაანი
მოიჯარადრემ დაგვტანჯა

კახეთის რკინისგზის ხაზზე, გურჯაანში მოიჯარადრე პავლე მაჭავარიანს იჯარით ქონდა აღებული ფაფრის ხევში წყლის სათავის გაწმენდა. მასთან მუშაობდა 26 გლეხი, დილის 5 ნახევარ საათზე ვიწყებდით მუშაობას და შებინდებისას ვიღებდით ხელს მუშაობაზე.

თუ ვინმე ხმის ამოღებას გაბედავდა, უფროსი მუშა გამოგვიცხადებდა: თუ გსურთ, იმუშავეთ, თუ არა და მიბრძანდითო. რამოდენიმე გლეხმა ხმა ამოიღო ასეთი უკანონობის წინააღმდეგ და მეორე დღესვე დაგვითხოვა სამუშაოდან შემდეგი პირები: ნიკა ჯავახიშვილი, მიტრო ქიტესაშვილი, იოსებ მამიაშვილი, გ. გოთაიშვილი და ალ. ვარამიშვილი.

საჭიროა თავაშვებულ მოიჯარადრეს პასუხი მოსთხოვოს შრომის ინსპექციამ.

ნიკა ჯავახიშვილი.

თავასის თემი, შორაპნის მაზრა
გახსენით ქოხ-სამკითხველო

ჩვენს თემში 1926 წლამდი არსებობდა ორი ქოხ-სამკითხველო: თავასის და თუზის. ეს სამკითხველოები მიმდინარე წელში შეართეს და გადაიტანეს აღმასკომის ახალ ბინაზე. ეს ისეთი ალაგია, რომ გლეხობა სამკითხველოთი ვერ სარგებლობს. ამას ზედ დაერთო აგრეთვე გამგეს მოუმზადებლობა და თუ თავასის სამკითხველო 1925 წლამდი პირველ სამკითხველოდ ითვლებოდა შორაპნის მაზრის სოფლებში, დღეს ეს გამგის უმოქმედობით დროებით დაკეტილია.

საჭიროა ამ ქოხ-სამკითხველოს გაღება, მცოდნე გამგის შერჩევა და მისთვის ხელფასის გადიდება.

იმედია თავასის თემაღმასკომი ამ საქმეს მიაქცევს ყურადღებას.

გზირი.

რაჭა
ჩვენი მიღწევები

აღმშენებლობითი მუშაობა რაჭის მაზრაში გაცხოველებული ენერგიით სწარმოებს. მდინარე ჯეჯორზე შენდება ილსადგური, ქ. ონში აგებს აგურ-კრამიტის ქარხანა. თითქმის ყველა სოფლებში გაიხსნა სასწავლებლები. გვაქვს ცხრაწლედი, არსებობს საკრედიტო ამხანაგობა, რომელმაც მოიტანა სასოფლო-სამეურნეო იარაღები და აწვდის გლეხობას კრედიტით. იგივე ამხანაგობა ფულად სესხსაც აწვდის მათ. ხვანჭკარაში გაიხსნა სანერგე, რომელიც ამზადებს ადგილობრივ ჰავისათვის გამოსადეგ ვაზის ნერგებს.

ასე, რომ რაჭის გლეხობას არასოდის არ ღირსებია ასეთი აღმშენებლობა და ისინიც უაღრესად კმაყოფილი არიან არსებულ ხელისუფლების მუშაობით.

ა. გობეჯიშვილი.

სოფ. ბურდიანი, თბილისის მაზრა
როდემდის უნდა გაგრძელდეს

ეს სოფელი დაშორებულია საგარეჯოდან დაახლოვებით 13 ვერსით, იგი ძალიან ჩამორჩენილია. აქვთ სკოლა, მაგრამ ისიც ცუდ შენობაშია მოთავსებული. კულტურული მუშაობა ძალზე მოიკოჭლებს, ჰყავთ ერთი მასწავლებელი, რომელიც ანა-ბანის სწავლების მეტს არაფერს აკეთებს. არც წყალი აქვთ გამოყვანილი, როგორც ჩანს, მანავის თემაღმასკომს ზედმეტ ბარგათ მიაჩნია ბურდიანზე ზრუნვა.

როდემდის უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა?

გ. გარსიაშვილი.

მანავის თემი, გარე-კახეთი
განვაახლეთ კედლის გაზეთის გამოცემა

მანავი სათემო სოფელია. იქ გასული წლის ოქტომბერში საგარეჯოს გლეხკორთა ბიურომ გამოსცა სათემო კედლის გაზეთი, მაგრამ სამი თვის შემდეგ მისი გამოცემა შესწყდა ადგილობრივ კულტურული ძალების კედლის გაზეთის მუშაობაში ჩაუბმელობის გამო. მიმდინარე წლის 1-ლ აგვისტოდან გაზეთის გამოცემა კვლავ განახლდა. გაზეთი გამოდის ორ კვირაში ერთხელ, რომლის ირგვლივ უკვე შემოკრებილია კედლკორების საკმაო რიცხვი.

იმედია, მანავის კედლის გაზეთის მუშაობა მომავალში უფრო გაუმჯობესდება.

ალ. ბედიაშვილი.

—:—

სოფლის ქრონიკა

— **„გლეხის იმედი.** სოფ. მაიდანში, ოზურგეთის მაზრა, დაარსდა სასოფლო - სამეურნეო ამხანაგობა „გლეხის იმედი“.

— **ოქტომბრის 10 წლის თავზე,** ჩოხატაურში მოხდება ახალი საავადმყოფოს საზეიმო გახსნა.

— **ხე-ტყის ქარხანა.** ბზიბში (აფხაზეთი) ამჟამად აწყობენ ხე-ტყის სახერხ ახალ ქარხანას.

— **გორის აღმასკომმა** თბილისის აღმასკომიდან შეიძინა 120 ცხენის ძალიანი დინამო-მანქანა.

— **მერძეობის კურსები.** სოფ. ლიფანკურში (თელავის მაზრა), მერძეობის კურსები დაამთავრა 30 კაცმა.

— **ბაღი.** დუშეთის აღმასკომმა გადასწყვიტა ქალაქის შუა ალაგას გააშენოს ბაღი.

— **საექიმო პუნქტი.** სოფ. ნახახულევში (ქუთაისის მაზრა), წითელი ჯვრის საზოგადოებამ გახსნა საექიმო პუნქტი.

მუშათა ცხოვრება

შრომის კანონებს ნუ დავარღვევთ

შრომის კანონების დაცვა და მუშების ჯანმრთელობის დაზოგვა წარმოების ზრდისა და გაჯანსაღების თავდებია. მუშა მაშინ მუშაობს უფრო ხალისიანად და ენერგიულად, როდესაც შრომის კანონები და კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც მუშათა წარმომადგენლების უშუალო მონაწილეობით არის შედგენილი, მტკიცედ ტარდება წარმოების ხელმძღვანელების მიერ. ამ პირობებში, რასაკვირველია, შრომის ნაყოფიერებაც და ნაწარმოების ხარისხიც საგრძნობლად გაიზრდება.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში დაუშვებელია არსებობდეს ისეთი წარმოება-დაწესებულება, სადაც ირღვეოდეს შრომის კანონები და მას არ ექცეოდეს სათანადო ყურადღება. დიდ წარმოებებში ამ მხრივ მდგომარეობა სათანადო სიმაღლეზე დგას, ვინაიდან აქ კონტროლი ძლიერია. მაგრამ ჩვენ მრავალი წვრილი დაწესებულებები მოგვეპოვება, სადაც ისე ადვილად ვერ ხვდება შრომის დაცვის ორგანოები ჯეროვან ანგარიშს არ უწევენ არც შრომის კანონები ირღვევა. წარმოების ხელმძღვანელები ჯეროვან ანგარიშს არ უწევენ არაც შრომის კანონებს და არც კოლექტიურ ხელშეკრულებას.

ზოგიერთ წარმოებაში კი თვით მუშები არღვევენ შრომის კანონებს; იმისათვის, რომ მეტი მასალა დაამზადონ და მეტი ხელფასი აიღონ,—ხშირად 10—12 საათს და მეტსაც მუშაობენ.

პირველი აგურ-კრამიტის ქარხნის მუშები ხშირად დილის ექვს საათიდან საღამოს 6—7 საათამდე განუწყვეტლივ მუშაობენ. ისინი არც ღამით ისვენებენ. ადგებიან ხოლმე ღამის 2—3 საათზე და დაიწყებენ აგურისათვის ტალახის ზელას. წარმოების ხელმძღვანელები უშლიან მუშებს ზედმეტ და დაუსვენებლივ მუშაობას, მაგრამ ისინი მაინც განაგრძობენ შრომის კანონების დარღვევას. ასეთივე მდგომარეობაა სხვა აგურახნებშიც.

კერძო ქარხნებზე და სახელოსნოებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. აქ შეგირდებსა და სხვა დაქირავებულ მუშებს განუსაზღვრელ ექსპლოატაციას უწევენ მეპატრონეები.

შრომის დაცვის ორგანოებმა უნდა გააძლიერონ თვალყურის დევნება ასეთ წარმოებებზე და სასტიკი ბრძოლა უნდა აწარმოონ შრომის კანონების დარღვევის წინააღმდეგ.

ამას მოითხოვს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისა და წარმოების აღორძინების ინტერესები.

ვ.

—

აღვადგინოთ დაზიანებული სახლები

21 სექტემბრის არაჩვეულებრივმა ქარმა დიდი ზარალი მიაყენა თბილისის სახლებს. ბევრ ალაგას ქარმა დაანგრია სახლები და ხალხი ღია ცის ქვეშ დასტოვა. მოულოდნელმა სტიქიურმა უბედურებამ ისედაც მწვავე საბინაო საკითხი უფრო გაამწვავა.

ამიტომ ქალაქის კეთილმოწყობისა და საბინაო მშენებლობის ინტერესები მოითხოვს სტიქიური მოვლენისაგან დაზიანებულ სახლების აღდგენას, რისთვისაც საჭიროა ქალაქის ბანკმა გასცეს მოსახლეობაზე სესხი.

ქალაქის ბანკის საბჭო კი ამჟამად არავითარ ახალ სესხის გაცემას არ აწარმოებს ამავე დროს დაზიანებულ სახლების 90 პროც. დაგირავებულია ქალაქის ბანკში ისე რომ მათი შეუკეთებლობით ბანკიც საკმაოთ იზარალებს.

მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ შემოდგომაზე ჩვეულებრივ კიდევ მოსალოდნელია ძლიერი ქარი და წვიმები, რომლებიც დაზიანებულ სახლებს უფრო გაანადგურებს.

ამ ზარალის თავიდან ასაცილებლად და დანგრეულ სახლების აღსადგენად საჭიროა ქალაქის ბანკის საბჭომ შუამდგომლობა აღძრას სათანადო ორგანოების წინაშე, რათა ქალაქის ბანკს უფლება მიეცეს გასცეს სესხი იმ სახლების შესაკეთებლად და აღსადგენად, რომლებსაც შეამოწმებს საამისოდ გამოყოფილი კომისია.

დაზარალებული.

—

გავაცხოველოთ მუშაობა

(წერილი საგარეჯოდან)

სადგ. საგარეჯოს მუშების მდგომარეობა არც ისე სახარბიელოა. არც ადმინისტრაცია და არც ადგილკომი არ იჩენენ უნარიანობას მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სასმელი წყლის მილი გაფუჭებულია და ყურისმგდებელი არავინ არის, რის გამო მილში წურბელებიც კი გაჩნდენ.

გარდა ამისა, ზოგიერთი მუშები სისტემატიურად ლოთობენ. ასეთებისათვის ბაბუნაძის სამიკიტნო პირდაპირ ბუდეთ არის გადაქცეული, სადაც ყოველ საღამოობით თავს იყრიან ლოთები და მთელ თავის ჯამაგირს იქ სტოვებენ.

გამოდიოდა კედლის გაზეთი „ოქტომბრის ნაპერწკალი“, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ისიც აღარ არსებობს.

სოფ. საგარეჯოს გლეხკორები, სანამ დრო და საშუალება ქონდათ შეძლებისდაგვარად ხელმძღვანელობდენ ამ კედლის გაზეთს, დღეს ვერც საგარეჯოს გლეხკორები ხელმძღვანელობენ და თითონაც ვერ გამოუციათ გაზეთი.

საჭიროა ადგილკომმა გამოიჩინოს მეტი უნარიანობა და გააცხოველოს მუშებში კულტურულ და აღმშენებლობითი მუშაობა.

მ. გარსიაშვილი.

მუშკორები და ოქტომბრის რევოლუცია

საბჭოთა კავშირი ემზადება ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის დღესასწაულისათვის.

მთელი ქვეყნის მშრომელი მასა უეჭველად ანგარიშს გაუწევს დიად რევოლუციის დღესასწაულს. მუშები ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე ასწონ-დასწონიან საბჭოთა კავშირის აღმშენებლობას და შესაფერისად შეაფასებენ მას.

დიდი და საპასუხისმგებლო მოვალეობა აწევთ დღესასწაულის ჩატარებაში მუშკორებს. ისინი ხომ ოქტომბრის რევოლუციის ღვიძლი შვილები არიან. სად იყო, ვის გაუგონია წინათ მუშკორთა ორგანიზაცია. თუ სადმე გამოჩნდებოდა მუშა მწერალი, და მოინდომებდა მშრომელთა ყოფა-ცხოვრების აღწერას, ამისათვის მას ათასნაირი ხრიკებისთვის უნდა მიემართა. ისე მისი ნაწერი დაბეჭდვას ვერ ეღირსებოდა.

დღეს გარემოება შეიცვალა. ოქტომბრის რევოლუციამ მისცა მუშა-მშრომელებს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება. დღეს მუშას ერთ ხელში უჭირავს სამუშაო იარაღი, ხოლო მეორეში წიგნი და ბასრი კალამი. ოქტომბრის რევოლუციამ და პატარა მახვილი კალმის წვერით შეიარაღა ასი ათასობით მუშა მშრომელი.

დღეს საბჭოთა კავშირში ნახევარ მილიონამდე მუშკორებია. ესენი არიან მოთენილი ყველა ფაბრიკა-დაწესებულებებში და გულმოდგინედ ადევნებენ თვალყურს საბჭოთა აღმშენებლობას. ამათ იციან ჩვენი მიღწევები და ნაკლულევანებანი. რომლებიც დიდი რევოლუციის ათი წლის თავზე უნდა აღვნუსხოთ. ამ მუშაობაში მუშკორებს სხვებზე მეტი მოვალეობა აწევთ.

ამიტომ ამ თავითვე უნდა დავირაზმოთ ჩვენი რიგები და დავანახოთ მთელი ქვეყნის მშრომელებს ის, რაც მოგვცა ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ.

ძველი მუშა.

—

ეს აღარ უნდა განმეორდეს

(რკინის გზის ადმინისტრაციის საყურადღებოდ)

კარგა ხანია, რაც ამიერ-კავკასიის რკინისგზებზე დაიწყო ამერიკული სისტემით მოძრაობა. ამიტომ ადმინისტრაციამ დანიშნა უფროსის თანაშემწე და მანტიორები. მათი მოვალეობას შეადგენს ორთქლმავლების მოვლა, მათი დათვალიერება, დროზე დამზადება, გარეცხვა, გასუფთავება და სხვ. ამავე მიზნით მთელ ხაზებზე შენდება ნახევარი სადგურები, რათა ორთქლმავლები ტყვილა-უბრალოდ არ ჩერდებოდენ სადგურებში და გზაში.

ამას წინათ მანტიორმა ტენისენკომ ორთქლმავალთა გუნდს გადასცა მთლად დაუმზადებელი და შეუკეთებელი ორთქლმავალი № 1011. მექშოსის თანაშემწემ და თვით მიმმოსვლამაც უარი განაცხადეს ამ ორთქლმავალზე მუშაობა. ისინი მოითხოვდენ შეკეთებულ ორთქლმავალს. მაგრამ მოქ. ტენისენკომ იუკადრისა ორთქლმავალზე მომუშავეთა სამართლიანი მოთხოვნა და დედა შეაგინა. ბოლოს საქმის გამოსარკვევად გამოძახებულ იქნა უფროსის თანაშემწე ამხ. დმიტრაშვილი, რის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ორთქლმავალს გარბენილი აქვს 1680 ვერსი. ამიტომ საჭიროა მისი გარეცხვა, შეკეთება, წყალსაზომ მინის გადადგმა და სხვ. უამისოდ ორთქლმავლის გაშვება შეუძლებელი იყო. ამის გამო მოქ. ტენისენკო მოხსნილია თანამდებობიდან.

ხშირად სადგურის მორიგეებიც ტყვილა უბრალოდ აცდენენ ორთქლმავალს. 26 აგვისტოს სადგურმა საგზაო მატარებლისათვის ითხოვა ორთქლმავალი. ორთქლმავალი გამოშვებულ იქნა 24 საათზე, მაგრამ 28 აგვისტოს დილის რვა საათამდე ორთქლმავალი უმოქმედოდ იდგა სადგ. ნავთლუღში. ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირია.

როგორც მოძრაობის დარგის მეორე განყოფილებამ, ისე წევის დარგმაც ზომები უნდა მიიღონ ასეთ მოვლენების თავიდან ასაცილებლად.

მუშკორი შავსოფლელი.

—

რა უნდა გამგეობაში?

კლარა ცეტკინის ქუჩაზე მდებარე კოოპერატიული სახლი № 117-ში სცხოვრობს მიდსან შრომის კავშირის წევრი მოქ. ბეკზადოვი, რომელიც 1921 წლიდან ირიცხება უმუშევრად და სარგებლობს უმუშევრის უფლებებით. მაგრამ მოქ. ბეკზადოვი არ არის ჩვეულებრივი უმუშევარი, ის ისეთი უმუშევარია, რომელმაც საკუთარი თანხებით შეიძინა ამავე ქუჩაზე მდებარე სახლი № 132. ამავე დროს კი მოქ. ბეკზადოვი არის კოოპერატიული სახლის გამგეობის წევრი. და ცხოვრობს შიგვე. მისი გავლენით დღიდან არჩევისა გამგეობას ერთხელაც არ მოუწვევია საერთო კრება.

მცხოვრებლებმა რამოდენიმეჯერ მისცეს წინადადება, რომ მოეწვიათ კრება, მაგრამ გამგეობა ყურადღებაც არ მიაქცია. მცხოვრებლების მოთხოვნას.

სარევიზიო კომისიაც ამ მხრივ არაფერს არ აკეთებს.

საბინაო კოოპერატიულმა კავშირმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას და მოქ. ბეკზადოვს მიუჩინოს შესაფერი ადგილი.

დამწვარი.

წარმოება იზრდება

უკანასკნელ ხანებში მოძრაობის დარგის მეოთხე განყოფილებაში მატარებელთა მოძრაობის საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდა. ომის წინა დროს ერთი ხაზის მიმართულებით დღეში დადიოდა 2—3 წყვილი მატარებელი, ამჟამად კი ეს რიცხვი გადიდებულია 50 პროცენტით.

მოძრაობის გაუმჯობესების საქმეში უმთავრესად მიღწევები გვაქვს. დატვირთვის და დატვირთვა-გადმოტვირთვის საქმეში და მატარებლების დაუგვიანებლივ მიმოსვლაში. ა. წ. მაისში სამმართველოს გეგმების თანახმად უნდა დატვირთულიყო 90 რონოდა, მაგრამ დაიტვირთა 99 რონოდა. ივნისში დაიტვირთა 104, ხოლო ივლისში კი 128, ასე, რომ ყოველ თვე დატვირთვა იზრდებოდა.

გარდა ამისა, მაისში, ივნისში, ივლისში და აგვისტოში, სამმართვ. სველი ტვირთის ბრუნვისათვის დანიშნული ჰყავდა 16 მატარებელი, განყოფილება კი ამუშავებდა 23 მატარებელს.

პირველ ხანებში მშრალ ტვირთის გადაზიდვა-გადმოზიდვა უდრიდა 1965, ხოლო ბოლო ხანებში ასეთი ტვირთის რაოდენობა უდრის 2287.

ორთქლმავლების მოძრაობაშიც ერთობ დიდი მიღწევები გვაქვს. მარტში სამმართველოს მიერ მოძრაობის საწარმოებლად მოცემული იყო 17.773 საათი, განყოფილებამ კი იკმარა მხოლოდ 17.568 საათი, 204 საათი წარმოებამ ისარგებლა. აპრილში დროის ეკონომია უდრიდა 619 საათს, მაისში 251 საათს, და სხვ.

რამდენადაც უმჯობესდება მუშაობა, იმდენად იზრდება მატარებელთა მოძრაობაც. უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში თბილისიდან ხაშურის მიმართულებით გაგზავნილი იყო სულ 1425 მატარებელი, ხოლო ხაშურიდან თბილისში მოსულია 1403 მატარებელი. ასეთივე მდგომარეობაა სხვა მიმართულებებზეც. წინათ კი მოძრაობაში მყოფ მატარებელთა რიცხვი ძალიან ცოტა იყო.

ამასთან ერთად იკლო მატარებელთა მარცხებმაც. ექვსი თვის განმავლობაში მოხდარა 51 სხვადასხვა შემთხვევა, რაც გაცილებით ნაკლებია, ვინემ წინა ხანებში. რასაკვირველია, ეხლანდელი მდგომარეობაც არ არის დამაკმაყოფილებელი. როგორც გამგეობა, ისე მოძრაობის დარგის მეორე განყოფილებაც, სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ ამ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და მატარებლების მიმოსვლის მოსაწესრიგებლად.

გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ თბილისის სადგურიდან ხშირად დაწესებულ დროზე ვერ უშვებენ მატარებელს, რაც აფერხებს მატარებლების დროზე გამოშვებას.

მომავალში მუშაობა უფრო უნდა გაუმჯობესდეს, თვითეულმა ჩვენთაგანმა ხელი უნდა შეუწყოს განყოფილების საქმიანობას.

ი. ჯ.

—

ჩვენც გვინდა მუშაობა

(აღმასკომის საყურადღებოდ)

მამუკინის (ნავთლუღში) უბნის მცხოვრებთა უმრავლესობა, მუშები არიან. უნდა ითქვას, რომ ქალაქის ყველა განაპირა უბნებთან შედარებით ეს უბანი ძალიან ჩამორჩ. აქ გარდა ერთი სამკითხველოსა არავითარი გასართობები და კულტურული დაწესებულება არ არსებობს. ამ უბნის ახალგაზრდები მოწადინებული არიან გააცხოველონ კულტურული მუშაობა, მაგრამ არა ყავთ ხელმძღვანელნი; რომლებიც ჩააბამენ მათ მუშაობაში. თავიანთი ძალებით ახალგაზრდებმა დაარსეს ქართული დრამწრე, რომელიც მუშაობას აწარმოებდა სამხედრო ტანსაცმელების საწყობის კლუბში. მუშაობა წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ ამ ბოლო ხანებში ხსენებული კლუბის გამგეობა რატომღაც არ აძლევს დრამწრეს ნებას წარმოდგენები გამართოს კლუბში. ამის გამო უკვე მესამე თვეა, დრამწრე თითქმის არაფერს აკეთებს.

დიდი ხანია რაც განზრახულია ამ უბანში კლუბისათვის შენობის აგება. ერთხელ ტეხნიკმაც კი დაათვალიერა შენობის ასაგები ადგილი, მაგრამ განზრახვა დღესაც შეუსრულებელია.

ურიგო არ იქნება, რომ აღმასკომმა ჩვენ უბანსაც მიაქციოს ყურადღება და აგოს კლუბის შენობა.

ვ. გვარამაძე.

—

ანგარიშში ჩაგვაბარეთ

უკვე რვა თვეა, რაც თბილისის წარმოებების მუშა-მოსამსახურეებმა აირჩიეს ქალაქის საბჭო. ამ ხნის განმავლობაში საბჭომ საკმაოდ ბევრი რამ გააკეთა. მოაწყო და გაამშვენიერა მუშათა უბნები, გააფართოვა ტრამვაის ხაზი და სხვა.

საბჭოს წევრთა უმრავლესობამ უკვე ჩააბარა თავის ამომრჩევლებს საბჭოს მუშაობის ანგარიში და გააცნო მუშებს თბილისის საბჭოს საქმიანობა, მაგრამ თბილისის აგურ კრამიტის № 1 ქარხნის მუშებს ჯერაც არ მოუსმენიათ თავიანთი წარმომადგენლის ანგარიში საბჭოს მუშაობის შესახებ.

მათ არ იციან რა გააკეთა საბჭომ და რის გაკეთებას აპირებს მომავალში.

საქარხნო კომიტეტმა უნდა მოაგონოს საბჭოში არჩეულ მუშებს, რომ დროა ამომრჩევლებს ჩააბარონ ანგარიში საბჭოს მუშაობის შესახებ.

მუშკორი მიხ. ბოკუჩავა.

ალ. სუმბათაშვილი-იუჟინის გარდაცვალების გამო

დღეს, 25 სექტემბერს, საღამოს 8 ნახევარ საათზე, სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში, განათლების სახ. კომისარის **დავით კანდელაკის** თავმჯდომარეობით, შესდგება სამგლოვიარო საღამო, რესპუბლიკის სახალხო არტისტის **ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილი-იუჟინის** ხსოვნის აღსანიშნავად.

მოხსენებით გამოვლენ: **შალვა დადიანი და ვახტანგ კოტეტიშვილი.**

სალიტერატურო-[illegible] განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ ოპერისა და [illegible] სვანიძე და ქართ. ახალ. მუსიკოსების სიმებიანი ორკესტრის კვარტეტი. შესვლა უფასოა. ბილეთების წინასწარ მიღება შეიძლება სახ. კონსერვატორიაში.

უკანასკნელი შეხვედრა

(მოგონებანი)

ალ. სუმბათაშვილი—იუჟინი პაოლეტის („მარია სტიუარტ“—შილერის) როლში.

(სურათი ეკუთვნის თბილისის სათეატრო მუზეუმს).

მოსკოვი. 1927 წელი, თებერვალი. ყინვაა. მოხსენება სამხატვრო სამეცნიერო აკადემიაში. მახსოვს მაგიდას გარს უსხდენ და ისმენდენ მოხსენებას თეატრალური კრიტიკოსი ლიუბოვ გურევიჩი, ისიდორ კლეინერი, ნ. პ. კაშინი, ჩაიანოვა, პროფესორი ბროდსკი, რეჟისორი სახნოვსკი, სათავეში ა. ა. ბახრუშინი. თემა „ქართული თეატრი და აღმოსავლეთი“. ვლაპარაკობ, მომყავს საბუთები, ქართულ თეატრს ვადარებ ძველი იმ დროისას.

თითქმის მოხსენების დასრულებამდე ბახრუშინი ზის წყნარად, ოდნავ თვალებ დახუჭული, ყურს უგდებს ლაპარაკს. ვლაპარაკობ „ყეენობაზე“, თბილისელთა ძველებურ გასართობზე, რომელიც გამოხატავს თავდამსხმელ, სპარსეთის შაჰის განდევნას საქართველოდან, და გამოვსთქვამ აზრს, რომ სუმბათაშვილის „ღალატი“ დაწერილია ამ ისტორიული ფაქტის ზეგავლენით.

ბახრუშინი აქ შეიძრა, თვალები გაუბრწყინდა და სახეზე ღიმილმა გადაჰკრა; აშკარად ჩანდა, რომ მას რაღაც აზრი დაებადა. ის წამოდგა, მოიხადა ბოდიში და თავმჯდომარეობა გადასცა გურევიჩს. გავიდა მეორე ოთახში, საიდანაც მოისმა ტელეფონის ნერვიული წკარუნი. რამდენიმე ხნის შემდეგ ბახრუშინი დაბრუნდა და, ეკითხებიან: „ვინ დარეკა?“, პასუხს ერიდება: „არაფერი, მერე გეტყვით“.

—მოხსენება დასრულდა. აქ ბახრუშინმა სთქვა: „ვერ მოვითმინე და დაურეკე სუმბათაშვილს, რომ ჩვენთან იკითხება მოხსენება ქართული თეატრის შესახებ“. იუჟინმა მწუხარება გამოსთქვა, რომ ავადმყოფობის მიზეზით, რომელსაც აგერ უკვე სამი თვეა, რაც მიაკრა ლოგინს, მას არ შეუძლია დაესწროს მოხსენებას, შემდეგ ბახრუშინი მომიბრუნდა და მითხრა, რომ ალექსანდრე ივანეს-ძემ გთხოვათ—ჩემთან შემოიაროთო.

ბალაშევის შესახვევში მდებარე სახლში № 5 ალექსანდრე ივანეს ძემ გაატარა თავისი სიცოცხლის 35 საუკეთესო წელი. შევდივარ ოთახში, ოთახი განიერი, საწერი მაგიდა, კედლებზე, როგორც შემდეგ შევამჩნიე, უამრავი სურათები, გვირგვინები—საიუბილეო საჩუქარი. გვირგვინებს შორის შეხვდებით გვირგვინებს საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთის და საერთოდ ყველა თეატრალურ კორპორაციისაგან. უამრავ წიგნებს შუა სავარძელში საშინაო ხალათით ზის მხარბეჭიანი ჯმუხი კაცი. ჩემი დანახვის თანავე ის წამოდგა, მიხვდა, რომ მე საქართველოდან ვარ და მხურვალედ მოესალმა. ეს იყო იუჟინი.

დავსხედით, დიდის ყურადღებით მომაყარა კითხვები: „სხვა, როგორ მდგომარეობაშია საქართველოში ხელოვნება, თეატრები, ოპერა და სხ.“. გამომკითხა თავის ძველ მეგობრების ამბავი, მოიგონა ვასო აბაშიძე, ჩაფიქრდა და სთქვა: „მან ბევრი რამ გააკეთა ქართული თეატრისათვის, მოწაფეობის დროს ერთ სკამზე ვისხედით“ . და აქ დაიწყო ლაპარაკი მისი დამახასიათებელი დამარწმუნებლობით თეატრის შესახებ, მისი მნიშვნელობის, მსოფლიო სათეატრო საკითხების შესახებ და საერთოდ ბევრ რამ საინტერესოზე. მე მთლად სმენად გადავიქეცი, მარტო თვალს ვადევნებდი ამ ბუმბერაზ ადამიანს, რომელიც, რამდენიც უფრო ყურს უგდებდი, იმდენად უფრო იზრდებოდა ჩემს წარმოდგენაში.

სათეატრო საკითხებში ის მოკვდა მტკიცე რეალისტად. ის ამბობდა, რომ ყველა ეს ახალი ცვლილებები წააგავს ტანსაცმელების მოდას, რომელიც სიცილს იწვევს. ეხლა ხალხი თეატრიდან გასვლის შემდეგ ლაპარაკობს უფრო იმის შესახებ, თუ როგორ იჯდა სკამზე მსახიობი, როგორი ტანისამოსი ეცვა მას, როგორი იყო დეკორაციები, საერთოდ ლაპარაკობს ყველაფერ იმაზე, რასაც თეატრში დამხმარე ხასიათი აქვს, და არა იმის შესახებ, თუ რისთვის მოვიდა წარმოდგენაზე. გაატარებს მთელი საღამო, მოისმინეს შესაძლებელია 6 მოქმედება, ხოლო თუ რა მიიღეს ამ წარმოდგენიდან, ამაზე არც ერთი კრინტი. გეგონება პიესას არ ჰქონია შინაარსი. საერთოდ ახალი მოესტეტო თეატრების შესახებ ის არ იყო მაღალი აზრის და ამბობდა: „თუ თეატრი ამ გზით წავა, ის ვერაფერ სასიკეთოს ვერ მიაღწევს“-ო.

ამით დასრულა თავისი ლაპარაკი. იყო ღამის პირველის ნახევარი. როდესაც გაიგო, რომ მე რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში მივემგზავრები, გადმომცა 10 წიგნი ავტოგრაფებით, მხურვალედ დამემშვიდობა და გრძნობით აელვარებული თვალებით მითხრა: „მოკითხვა უსულა ახლობელთ.... მოკითხვა მთებს... მოკითხვა კეკლუც საქართველოს“

და, აი ეხლა ვფიქრობ და არ მჯერა, რომ ეს იყო ბუმბერაზი ადამიანის უკანასკნელი მოსალმება თავის სამშობლოსადმი.

დ. არსენიშვილი.

შრომის შემნახველი სალაროები

შრომის შემნახველ სალაროების რიცხვი ამიერ-კავკასიაში ა. წ. 1 სექტემბრისათვის უდრიდა 451-ს. აქედან—საქართველოში 242, აზერბეიჯანში—130 და სომხეთში—79.

ამავე რიცხვისთვის საქართველოს სალაროებში ირიცხება—14.773 მეანაბარე, აზერბეიჯანის სალაროებში 11.053 და სომხეთის სალაროებში 4.432.

ანაბარების საერთო ჯამი საქართველოში 1.167.735 მან. აზერბეიჯანში—1.356,246 მან. და სომხეთში 415.950 მან; ივლისის განმავლობაში მეანაბარეთა რიცხვი საქართველოს სალაროებში გაიზარდა 582 კაცით, ანაბარების საერთო ჯამი—87.100 მანეთით. აგვისტოში მეანაბარეთა რიცხვი გაიზარდა 55 კაცით, ანაბარების საერთო ჯამი—8.800 მან. აგვისტო-სექტემბერში მუშა მოსამსახურეებს უხდებათ ზედმეტი ხარჯის გაწევა. (ოჯახების ჩამოყვანა აგარაკ-სოფლებიდან: სასწავლო ნივთების შეძენა ბავშვებისათვის, საზამთრო შეშის, თბილი ტანთსაცმელის და სხვა საოჯახო საჭიროებათა მომარაგება) რის გამო ამ თვეებში ანაბარების ჯამი საერთოთ კლებულობს.

თვითეულ მეანაბარეზე საქართველოში მოდის 79.04 კაპ. ანაბარები.

მეცნიერება და ტეხნიკა

თანამედროვე კრემატორიუმები

გათხრებმა დამტკიცეს, რომ წინა-ისტორიულ ხანაში გვამებს სწვავდენ ცეცხლზე. ძველი რომაელები და ბერძნები მიწაში აგდებდენ მხოლოდ მონებს, გომეროს თხზულებებში ჩვენ ვპოულობთ ტროიანელ გმირების დაწვის აღწერას. გვამებს სწვავდენ აგრეთვე სლავიანები, ტევტონელები, კელტები, გუნნები და მექსიკელები. პალესტინაში ეს წესი ვერ გავრცელდა, რადგან ხე არ იშოვებოდა. ამიტომ აქ გვამებს ინახავდენ გამოქვაბულებში ან მიწაში აგდებდენ. ამ შემთხვევითი მოვლენის გამო ქრისტიანული რელიგია გვამების დაწვას კერპთაყვანისმცემლურ წესად თვლიდა და კრძალავდა მას. ქრისტიანობა დასაშვებად თვლიდა მხოლოდ ცოცხალ „ერეტიკოსების“ და „კუდიანების“ დაწვას ცეცხლზე.

სინამდვილეში კი არც ძველ და არც ახალ აღთქმაში არ მოიპოვება არავითარი მითითება გვამების დაწვის დაუშვებლობაზე. ერთადერთი სარწმუნოება, რომელიც ნამდვილად კრძალავს ადამიანის ნეშტის მოსპობას ცეცხლის საშუალებით, ეს არის სარწმუნოება პარსებისა, რომლებიც გვამთან შეხებას „წმინდა ცეცხლის“ შერყვნათ თვლიან. ამიტომ, პარსების სარწმუნოების მიმდევარნი მკვდრებს ფრინველთა შესაჭმელად ჰყრიან.

ამჟამად ებრაელები და ლიუტერანები უკვე აღარ ილაშქრებენ გვამების დაწვის წინააღმდეგ. მორწმუნე კათოლიკებს დაწვა აკრძალული აქვთ რომის პაპის მიერ 1.886 წლიდან. მანამდე კი, 1876წ. მილანში გახსნილ კრემატორიუმში სწვავდენ კარდინალებსაც.

დახურულ ფეჩებში გვამების დაწვის აზრი წარმოიშვა ჯერ კიდევ საფრანგეთის რევოლუციის დროს. მაგრამ შესაფერი ფეჩების უქონლობის გამო ეს განზრახვა ვერ იქნა მოყვანილი სისრულეში მხოლოდ 1873 წ. **ფრ. სიმენსმა** დაამზადა ამ მიზნისათვის ვარგისი პირველი ფეჩი. იმავე წელს აგებულ იქნა კრემატორიუმი ინგლისში. პირველი თანამედროვე კრემატორიუმი ააგეს 1.876 წ. მილანში (იტალია). გერმანიაში პირველი კრემატორიუმი აგებულ იქნა ქ. გოტაში 1.878 წ.; საფრანგეთში, ქ. პარიზში 1.889 წ.*) ამჟამად გერმანიაში მუშაობს 70 კრემატორიუმი, შვეიცარიაში კი—18. დიდათ დახელოვნებულია კრემატორიუმის მოწყობაში ვილჰელმ რუპმანის ფირმა (შტუტგარდში).

კრემატორიუმის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს გვამის დასაწვავი ფეჩი, გერმეტიული კარებით, გვამის დაწვა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ცხელი ჰაერით, უკვამლოთ და სუნის გაუშვებლად. დარჩენილი ფერფლი კი სრულიად თეთრი უნდა იყოს. ამ მოთხოვნილებებს რუპმანის სისტემის ფეჩი —რეკუპერატორი, რომელიც შესდგება გაზოგენერატორიიდან (f), საწვავ კამერიდან (a). რომლის ქვეშ მოთავსებულია განყოფილება (B) საბოლოო დაწვისათვის და რეკუპერატორი (d) უკანასკნელი შესდგება მთელ რიგ განყოფილებებიდან გაზისა და ჰაერისათვის. ამ განყოფილებებში ცხელი, უკვე გამოყენებული გაზებით კვლავ სარგებლობენ გვამის დასაწვავად საჭირო ჰაერის გასახურებლად. გაზოგენერატორში კოქსიდან მიღებული გაზები გადადის ე. წ. „სანთურაში“ (горелка) სადაც უერთდება რეკუპერატორში გავარვარებულ ჰაერს. ეს ნარევი იწვება და იწვევს უკვამლოთ მაღალი ტემპერატურის პირობებში. გახურებული გაზები საწვავ კამერიდან და მის ქვეშ მოთავსებულ სავარვარო განყოფილებიდან გადადიან უმაღლესი ხარისხის თიხკაჟა აგურებიდან გაკეთებულ რეკუპერატორების არხებში და აქედან კი ალიბჭის (боров) h-ს და საკვამლე მილის საშუალებით გადიან გარეთ. თავის გზაზე—სანთურიდან დაწყებული ალიბჭამდე ძლიერ


სურ. 2. გვამების საწვავი ღუმელის სქემა.

ცხელი აირი ახურებს კამერისა და სავარვარო განყოფილების კედლებს და აგრეთვე თიხკაჟა ცეცხრიკებს (колосники) რომელზეც იდგმება კუბო. ამის შემდეგ ჯერ კიდევ ცხელი გამავალი გაზები თავის სითბოს აძლევენ რეკუპერატორს.

გაზოგენერატორის სიდიდე ისეა გამოზომილი, რომ ფეჩი გახურებულ იქნეს 1.000 გრადუსამდე გენერატორის ერთჯერ გავსებით. ამ ტემპერატურის მიღწევის შემდეგ ფეჩში კოქსი უკვე დამწვარია იმდენად, რომ საწვავ კამერაში გადადის არა კოქსის გაზები არამედ გახურებული კოქსით გამთბარი ჰაერი. გენერატორში უნდა დარჩეს გავარვარებულ კოქსის განსაზღვრული რაოდენობა, რომ გვამის მიერ შთანთქმული სითბო ანაზღაურებული იქნეს. ფეჩის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 1.000 გრადუსს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ძვლების ფოსფორმჟავა კირი იწვის და გარედან ჩნდება მინარი (глазурь) რაც ხელს უშლის ცხიმოვან ორთქლის გამოსვლას და ძვლის ტვინის დაწვას. ამ შემთხვევაში ძვლები ინარჩუნებენ თავის ფორმას და შიგნით შავი რჩებიან, რაც არასასურველია.

დაწვის პროცესი შემდეგია: 1.000 გრადუსი ტემპერატურის მიღწევის შემდეგ კუბო შეაქვთ საწვავ კამერაში და დგამენ ცეცხრიკებზე. ამის შემდეგ—კამერის კარები (k) იხურება. ამის შემდეგ ეშვება ურდული (l) და იხსნება ყველა ურდულები m ისე, რომ ჰაერი იწყებს დენას ფეჩში.

კუბო ჩქარა იწვის და მსუბუქი ფერფლი საკვამლე მილით გამოდის გარეთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში ითვლება დასაშვებათ, რომ კრემატორიუმის მილიდან გამოვიდეს თვალის შესამჩნევი გაზები. ჩვეულებრივ გვამების დასაწვავად ხმარობენ კარტონიდან ან თხელი ფიცრებიდან დამზადებულ კუბოს.

თვით გვამის მოსპობა გავარვარებულ ჰაერში ხდება დისტილიაციის მსგავსად. პირველად ორთქლდება წყალი, რომელიც ადამიანის 70—75 პროცენტს შეადგენს. ამ თანდათანობითი ორთქლებისათვის საჭიროა დაახლოებით ერთი საათი. ხორცის, ქონის და ძვლის ტვინის წვის დროს წარმოშობილი სითბო ხელს უწყობს ამ ორთქლებას.

ერთი მეოთხ. საათის შემდეგ მთელი სხეული დამწვარია. დარჩენილია მხოლოდ ძვლების ნაწილები, რომლებიც ცეცხრიკებიდან ცვივა სავარვარო განყოფილებაში და იქ იქცევა სრულიად თეთრ ფერფლად. ეს ფერფლი გროვდება განსაკუთრებულ ყუთში (e) საიდანაც გაცივების შემდეგ ჰყრიან ურნაში.

ერთი კაცის დაწვის შემდეგ დარჩენილი ფერფლი იწონის 2—3 კილოგრამს. პირველი დაწვის დასრულების შემდეგ, გენერატორში (l) უმატებენ კოქსს და ფეჩს ისე ახურებენ 1.000 გრადუსამდე. ერთი წვა გრძელდება 1 ნახ.—2 საათამდე ისე, რომ დღეში შეიძლება 7—10 გვამის დაწვა. თითეული დაწვის დროს საჭიროა 60—65 კილოგრამი კოქსი, უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია ლტოლვა გვამი დასწვან არა მხოლოდ და მხოლოდ გავარვარებული ჰაერის საშუალებით, არამედ პირდაპირ ცეცხლში. ასეთი ფეჩების მოწყობა იოლი საქმეა, მაგრამ ეკონომიკა სათბობი მასალის ხარჯვაში ძლიერ მცირეა, რადგან წვის დასაწყისში საჭირო იქნებოდა ჰაერის დიდი რაოდენობის გამოყენება, რათა ძლიერ ცუდი სუნის მქონე კვამლმა არ შეაწუხოს ახლო-მახლო მცხოვრებლები.

ინჟინერი ზ. კოხი.


სურ. 1. გვამების საწვავი ღუმელი.

---

*) მოსკოვში უკვე აგებულია ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვით მოწყობილი კრემატორიუმი. განზრახულია კრემატორიუმის მოწყობა თბილისში და აგრეთვე საბჭოთა კავშირის ზოგიერთ სხვა ქალაქებში.

მარსელენ ბერტელო

(დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო)

მიმდინარე წელს სრულდება 100 წელიწადი ცნობილ ფრანგ ქიმიკოს მარსელენ ბერტელოს დაბადებიდან და ოცი წელიწადი მისი გარდაცვალებიდან.

მ. ბერტელო ცნობილია თავისი აღმოჩენებით და შრომებით უმთავრესად ორგანიულ ქიმიის დარგში.



თავისი 57 წლის სამეცნიერო მოღვაწეობის განმავლობაში ბერტელომ დასწერა 1.500 შრომა სხვადასხვა სამეცნიერო საკითხებზე.

ბერტელო დაიბადა 1827 წ. 25 ოქტომბერს პარიზის ღარიბ ექიმის ოჯახში. 1846 წ., 19 წლის ბერტელომ პირველი ჯილდო მიიღო პარიზის ყველა კოლეჯების კონკურსზე ფილოსოფიურ თემაზე დაწერილ თხზულებისათვის. კოლეჯის დასრულების შემდეგ ბერტელო იწყებს მეცადინეობას საექიმო ფაკულტეტზე; რომელზეც მან დაჰყო 1850 წლამდი. ამავე დროს იგი ირიცხებოდა სამეცნიერო ფაკულტეტზეც, როგორც თავისუფალი მსმენელი.

ბერტელოს პირველი სამეცნიერო შრომა გამოქვეყნდა 1850 წ., როცა იგი 22 წლის იყო. „სამეცნიერო აკადემიის ანგარიშებში“ დაიბეჭდა მისი ვრცელი წერილი, რომელიც ეხებოდა გაზების გადაქცევას თხელ მდგომარეობაში.

1851 წ. ბერტელო შედის ლაბორანტად საფრანგეთის კოლეჯის ლაბორატორიაში. 3 წლის შემდეგ ის იცავს დისერტაციას ფიზიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხზე.

1859 წ. კი ახალგაზრდა მეცნიერს უკვე უჭირავს ორგანიული ქიმიის კათედრა ფარმაცევტების სკოლაში. 1865 წ. იგი ამავე კათედრაზე გადადის საფრანგეთის კოლეჯში, სადაც მოღვაწეობს სიკვდილის დღემდე.

ამავე დროს მას ირჩევენ ევროპის მთელ რიგ სამეცნიერო დაწესებულებების წევრად.

ასეთია მოკლედ ცხოვრება საფრანგეთის ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერის, რომელიც გარდაიცვალა 81 წლის.

დიდი მეცნიერის ხსოვნის აღსანიშნავად, ბერტელოს სახელი უწოდეს ქიმიურ ინსტიტუტს, რომელიც ამჟამად შენდება პარიზში და მოედანს საფრანგეთის კოლეჯის წინ, იმ დაწესებულების წინ, სადაც ბერტელომ გაატარა სამეცნიერო მუშაობის 50 წელი.

საფრანგეთი და მთელი მეცნიერული მსოფლიო, მათ რიცხვში საბჭოთა კავშირის სამეცნიერო დაწესებულებებიც, ემზადებიან უდიდესი მეცნიერის დაბადების 100 წ. თავის აღსანიშნავად.

შესაძლებელია თუ არა ხელოვნური წვიმა?

ამერიკელ ინჟინერების **ხეიტის** და **დევისის** წარმატებით დასრულებულმა ცდებმა ხელოვნური წვიმის გამოწვევის დარგში, პირველ ხანებში საყოველთაო ყურადღება მიიპყრეს. დიმართლაც, მათ მოახერხეს განეხორციელებიათ აღმოჩენა, რომელიც 40 წლის წინათ გააკეთა ცნობილმა ინგლისელმა ფიზიკოსმა **ოლივერ ლოჯმა,** აღმოჩენა, რომელიც მაშინ განხორციელებულ იქნა მხოლოდ ლაბორატორიულ პირობებში. ხეიტმა და დევისმა, თავისუფალ ატმოსფერაში, ჰაერის ხელოვნური ელექტრიზაციის საშუალებით, შეკუმშეს მასში დაგროვილი სინოტივე და გამოიწვიეს ნამდვილი წვიმა. ხეიტის და დევისის აღმოჩენას ბრწყინვალე პერსპექტივებს უსახავდენ. უმრავლესობა დაინტერესებული იყო საკითხის არა მეცნიერული მხარეთი, არამედ იმ შესაძლებელ პრაქტიკული შედეგებით, რომლებიც გამომდინარეობდენ ცდიდან, ე. ი. ამინდის ხელოვნურად შეცვლა, წვიმის გამოწვევა იმ გვალვიან რაიონებში, სადაც იგი აუცილებელია და სხვ.

თავის თავად ცხადია, რომ საბჭოთა კავშირისათვის, სადაც ბევრია გვალვიანი რაიონები, ხეიტის აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა. ამიტომ მას მიაქციეს ყურადღება. ლენინგრადის სამელიორაციო ინსტიტუტი შეუდგა ცდების დამოუკიდებლად წარმოებას, რუსეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ინჟინერი **ზ. კაუინსკი** კი პირადათ შეეკითხა ხეიტს საბჭოთა კავშირში მისი ჩამოსვლის შესაძლებლობის შესახებ.

მაგრამ რაც დრო გადიოდა, ცდები ამტკიცებდენ, რომ ხეიტის მიღწევა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს პრაქტიკულ მიზნებისათვის და, როგორც ჩანს, უნიადაგო ეკონომიური მოსაზრებებით და აი რატომ. იმ მიზნით, რათა შეკუმშულ იქნეს ჰაერი მაგ. 50 კვ. მეტ. სივრცეზე და წამოვიდეს ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვანი წვიმა, საჭირო იქნებოდა 50 ცხენის ძალის ენერგიის დახარჯვა ნახევარი კვ. კილომეტრის სივრცე ველი მოითხოვდა ნახევარ მილიონ ცხენის ძალის ენერგიას საათის განმავლობაში.

შედეგი ამის იქნებოდა ის, რომ ცოტათ თუ ბევრათ დიდი სივრცის მოსარწყავად, საჭირო შეიქნებოდა იმდენი ენერგია, რომელიც გაცილებით მეტი ეღირებოდა, ვიდრე თვით მოსავალი.

ამრიგათ, ხელოვნური წვიმის განხორციელება შესაძლებელია, მაგრამ ეკონომიურად, ენერგიის თანამედროვე რესურსების პირობებში, ეს უაზრობას წარმოადგენს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადამიანი აღმოაჩენს ენერგიის უფრო იაფ წყაროებს, შესაძლებელი გახდება ლაპარაკი წვიმის ხელოვნურად გამოწვევის ეკონომიურ მიზანშეწონილობაზე.

ქინაქინა წითელას წინააღმდეგ

ყველა ცდები ეპოვათ სპეციფიური საშუალება წითელას წინააღმდეგ უშედეგოთ თავდებოდა, რადგან ვერ იპოვეს ამ ავადმყოფობის გამომწვევი მიკრობი. განსაკუთრებული სიძლიერით იჩენს თავს სპეციფიური საშუალების საჭიროება, როცა წითელას ეპიდემია ედება საბავშვო სახლებს და საავადმყოფოების ბავშვთა განყოფილებებს, რადგან აქ წითელა მძიმე ფორმებში მიმდინარეობს, განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი ჩნდება ყელჭირვებიანთა განყოფილებაში. უკვე დიდი ხანია აღნიშნული იყო ის ფაქტი, რომ წითელა ყელჭირვებასთან შეერთებით სიკვდილიანობის ყველაზე მეტ პროცენტს იძლევა.

რამდენიმე ხნის წინათ დეგვიტცმა აღმოაჩინა ახალი საშუალება წითელას წინააღმდეგ, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ წითელაში დაავადებულ ბავშვის სისხლში შეყავთ წითელასაგან ახლად განკურნებულის სისხლიდან დამზადებული შრატი. მაგრამ ეს საშუალება ცნობილია უფრო, როგორც პროფილაქტიური ზომა, ე. ი. მას უფრო შეუძლია თავიდან აიცილოს ბავშვს წითელათი ავად გახდომა, ვიდრე განკურნოს იგი წითელასაგან. გარდა ამისა, ამ მიზნით სისხლის მიღება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ აბსოლიუტურად ჯანსაღ ბავშვებისაგან. ეს გარემოება კი საგრძნობათ ამცირებს სამკურნალო სისხლის მიღების წყაროებს და ჰკვეცავს მისი გამოყენების ფარგლებს.

ასტრახანელმა პროფ. ფეოდოროვიჩმა წითელას მიკრობის პრობლემის გადაჭრაზე მუშაობის დროს შენიშნა, რომ ეს უცნობი მიკრობი მეტად მგრძნობიარე უნდა იყოს ქინაქინის მინიმალურ რაოდენობისადმი. როდესაც პროფესორმა ფეოდოროვიჩმა ცდები გადაიტანა ადამიანზე, აღმოჩნდა, რომ ქინაქინის გამოყენებას მანამდე, სანამ ადამიანს ტანზე გამოჰყრიდეს, შეუძლია საგრძნობათ შეასუსტოს ავადმყოფობის ყველა სიმპტომები. ქინაქინის მოქმედება შეამოწმეს წითელათი ავად გამხდარ ოც ბავშვზე. ბავშვს აძლევდენ შიგნით 0.03—0,3 გრ. ქინაქინას (ჰასაკთან შეფარდებით). შედეგათ მიიღეს ის, რომ ტანზე გამოყრა ხდებოდა სიცხის აუწევლად. გარდა ამისა, ე. ი. კატარალური მოვლენები — ხველა, სურდო და სხვ., გაცილებით უფრო სუსტ ფორმებში იჩენდენ თავს, ვიდრე ჩვეულებრივ. ქინაქინის გამოყენებას წითელას მკურნალობის დროს არავითარი გართულება არ გამოუწვევია.

გიგანტიზმი და მისი მიზეზები

ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ გოლიათებს დიდი ფიზიკური ძალა ახასიათებს. სინამდვილეში კი მათი უმრავლესობა სუსტია და ნაკლებ ამტანი აგებულობისაა. გოლიათების უმრავლესობის სქესობრივი განვითარებაც ბევრად ჩამორჩება ნორმალურს. გოლიათ მამაკაცებს ხშირად ახასიათებს სასქესო ორგანოს სუსტი განვითარება, წვერ - ულვაშების უქონლობა და წვრილი ხმა. გოლიათ - ქალებს—ძუძუების და საშვილოსნოს განუვითარებლობა და საგრძნობად დაქვეითებული სქესობრივი უნარი. გოლიათების გონებრივი განვითარებაც დაქვეითებულია. გოლიათებს სიცოცხლე ხანმოკლე: კვდებიან 20 — 30 წელზე რამე ავადმყოფობისაგან, უფრო ხშირად — ჭლექისაგან.

დამტკიცებულათ სთვლიან, რომ გიგანტიზმის მიზეზს წარმოადგენს შინაგანი სეკრეციის ზოგიერთ ორგანოების დაავადება. ყველაზე ხშირად მათ დაავადებული აქვთ ტვინის დანამატი და სასქესო ჯირკვლები.

კრემენჩუგის ცენტრალურ პოლიკლინიკაში გიგანტიზმის მიზეზები დეტალურად იქნა შესწავლილი რამოდენიმე ხელსაყრელი შემთხვევის წყალობით. ამ პოლიკლინიკის ექიმი მოთკულიხი სპეციალურ საექიმო ჟურნალში ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ გოლიათ პაციენტების მშობლების უმრავლესობა დიაბეტით (შაქრის ავადმყოფობით) აღმოჩნდა ავათ.

უნივერსალური არღანი

საფრანგეთში დაამზადეს გაუმჯობესებული არღანი, რომელიც წარმოადგენს ნამდვილ უნივერსალურ საკრავ იარაღს. ამ საკრავ იარაღს შეუძლია ყოველგვარ საკრავ ხელსაწყოს და ადამიანის ხმის, ფშტვენის, ფრინველების სიმღერის, მხეცების ღრიალის, მოტორის გუგუნის, გრგვინვის, ქარიშხალის, ტალღების ცემის, ფეხის ხმის, სროლის და ათას სხვა ხმების აღდგენა.


ეს არღანი, რომელიც დადგმულია პარიზის ერთ-ერთ უდიდეს კინო - თეატრში, მაყურებელს აძლევს ცხოვრების სრულ ილიუზიას.

—:—

კანის გამაგრება და მისი მკურნალობა

კანის გამაგრების (სკლეროდემიის) მიზეზი დღემდი გამოურკვეველია. შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოსკოვის სახელმწიფო ვენეროლოგიურ ინსტიტუტში, ნაწილობრივ ჰფენს ნათელს ამ მოვლენას.

14 წლის ქალიშვილს გაცივების შემდეგ დაუსივდა თითები, რამოდენიმე ხნის შემდეგ სიმსივნე მოედო ორივე ხელს და ფეხს. თითების იმავე დროს კანი, განსაკუთრებით თითებზე, გამაგრდა და უძრავი შეიქნა, თითებს ვეღარ ანძრევდა. ჩქარა ეს ავადმყოფური პროცესი გავრცელდა მკლავებზე და მუხლზე. ავადმყოფი მხოლოდ ახლა, ავადმყოფობის დაწყებიდან 10 წლის შემდეგ, შევიდა სამკურნალოდ ინსტიტუტში. ამჟამად კანის გამაგრების პროცესი მოდებულია სახეზეც. გამაგრებული კანი ბრინჯაოს ფერისაა, დაჭიმულია, სრულიად შეუძლებელია მისი ნაოჭებად შეკრება: სახე — ნიღაბისებურია, უძრავი, ერთი ნერვი არ შეინძრევა. ცხვირი წაწვეტიანებულია. სახის გამომეტყველება — გაყინულია.

ავადმყოფის გასინჯვის დროს გამოირკვა შემდეგი: განუვითარებელი აქვს სასქესო ორგანოები (გარეგანი და შინაგანი). განუვითარებელი აქვს მეორედი სასქესო ნიშნები (ძუძუები და სხვ.), განუვითარებელი აქვს ფარისებური ჯირკვალი — ე. ი. გამოირკვა შინაგანი სეკრეციის ორგანოების დაავადების სრული სურათი. ავადმყოფს დაუწყეს მკურნალობა შინაგანი სეკრეციის ორგანოების დაავადებისათვის შესაფერი მეთოდით, ე. ი. ავადმყოფს უშხაპუნებდენ საკვერცხეებისა და ფარისებური ჯირკვალის ექსტაქტებს (ოვარინს და ტირეოიდინს) და მიიღეს დამაკმაყოფილებელი შედეგები: სახე ავადმყოფს გამოუცოცხლდა, ხელებისა და ფეხების ავადმყოფური ფერი თითქმის გაქრა, კანი ცოტათი დარბილდა.

დედისერთა ლენინთან

(ოქტომბრის ბალადა)

გარედ ცივა, ჰქრის ქარი...
მთვარე ვახშმობს მუხებში;
დახშულია ჭიშკარი,
ადევს ურდო უხეში;
დედაბერი მიმქრალა
ბუხრის ახლოს კუთხეში;
თვალში ცრემლი დამშრალა,
მოხუცს ვინ სცეს ნუგეში?

ჩასთვლემს, ისევ იღვიძებს,
ღამეს თეთრად ათენებს;
გულისყური ერთზე აქვს,
მის გულს ერთი ამთელებს.

მუხლი მაინც უჭრიდეს,
ხალხს შესძრავდა ომით ის;
აღარ ძალუძს საბრალოს
რბიან წლები... დრო მიდის.
ლოდინი და იმედი...
ხვალეც ღამე ლოდინის.

მას ბურანში მოესმის:
— დედი! გახსენ ჭიშკარი!
დედი! ნუ თუ არ გესმის?
გარედ ცივა, ჰქრის ქარი!
შენი შვილი დაბრუნდა
დედისერთა ვაჟიკა,
უვნებელი, მაგარი
როგორც სალი კაჟი ქვა.
ჰეი დედი! არ გესმის?
შენი შვილი დაბრუნდა!
ჰეი, ადექ, იჩქარე!
შენს შვილს გარედ რა უნდა?

დედა ენას ვერ აგებს,
ასწრაფად დგება მძინარი;
დედა კარებს გაუღებს,
იქ ვის ჰხედავს, ვინ არი!
ცრემლით წყვდიადს შესცქერის...
ტკბილი იყო სიზმარი:

როცა დედა ბუხრის წინ
შვილს სიზმარში ჰხედავდა,
მაშინ მისი ვაჟიკა
მტერს ბრძოლაში ჰკვეთავდა

ჯარისკაცი რუსეთში
ლენინს გაჰყვა მტკიცედა,
ოქტომბერში იბრძოდა,
წითელ დროშას იცავდა,
და პირველი დაეცა,
ტყვიამ აღარ იცადა.

მისი კვნესა: „ოხ დედი!"
ზარბაზანმა დაჰფარა;
თავი დასდო ხალხისთვის,
ნორჩმა სისხლი დაღვარა;
ნახა საძმო სამარე,
ველარ—დედის ჭაღარა.

და მას შემდეგ მოელის,
გარედ ცივა, ჰქრის ქარი;
ზის და უცდის გულმკვდარი
დედის ერთას მთის ქალი
მუდამ ფხიზლობს, მზად არი
შვილს გაუღოს ჭიშკარი.
თავზედ დასთენებია,
ამოსულა ცისკარი.

აღარ ძალუძს საბრალოს
რბიან წლები, დრო მიდის;
„დედა მას ენაცვალოს!"
ხვალეც ღამე ლოდინის.

სანდრო შანშიაშვილი.

საკურორტო სეზონის შედეგები

საკურორტო სეზონი თავდება. ოქტომბრის შემდეგ ზამთრის სეზონი იწყება. ჩრდილო-კავკასიის კურორტებიც, სადაც აგრეთვი იგზავნებოდა დაზღვეულები ამიერ-კავკასიიდან, დაიხურება 1 ოქტომბერს. 3 ოქტომბერს დაიხურება არაზინდო (აბასთუმანი). ყველაზე გვიან —20 ოქტომბერს დაიხურება ქობულეთის კურორტი.

ამ.-კავკასიის სოცდაზღვევის მთავარმა სამმართველომ ამიერ-კავკასიის ყველა კურორტებსა, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში სულ გაატარა 3.800 კაცი. დასახული გეგმა განხორციელებულ იქნა 100 პროცენტით.

რაც შეეხება საკურორტო სეზონის შედეგებს, ამის შესახებ ამ.-კავკ. სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოს სამედიცინო ნაწილის გამგემ ექ.-გოლდმანმა, რომელმაც ამას წინად შემოიარა და დაათვალიერა კურორტები, შემდეგი განაცხადა:

— მკურნალობის შედეგები კურორტებზე და სანატორიუმებში წელს უფრო უკეთესია, ვიდრე იყო შარშან. ეს უმთავრესად იმით, რომ სანატორიუმების საქმე ამიერ-კავკასიაში ძალიან გამტკიცდა და გაუმჯობესდა. გარდა ამისა, საგრძნობლად განმტკიცდა საკურორტო დისციპლინა წარსულ წელთან შედარებით.

მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ წელსაც ჰქონდა ადგილი არასასურველ შემთხვევებს: კურორტებზე იგზავნებოდენ ისეთი პირები, რომელთაც ნამდვილად არ ესაჭიროებოდათ საკურორტო მკურნალობა; უფრო მიზანშეწონილი იყო ასეთი პირების დასასვენებელ სახლებში გაგზავნა. ასეთი სავსებით ავადმყოფები, ნამდვილად კი საკმაოდ ჯანსაღი პირები, თვითონაც გრძნობდენ შეუფერობას კურორტებზე ყოფნით, ვინაიდან იქ აუცილებლად სანატორიუმის განსაზღვრული რეჟიმი დაცვა.

რაც შეეხება საკურორტო მიღწევებს, მიღწევები საკმაოდ ბევრია. ზოგიერთ სანატორიუმებში შემოღებულია ფიზკულტურის ვარჯიშობა, რაც მკურნალობასთან ერთად მეტად კარგად მოქმედებს ავადმყოფზე. საგრძნობლად გაუმჯობესებულია მკურნალობა, ასე მაგალითად, არაზინდოში ყოველ ავადმყოფზე მოდიოდა 6.000 კოლორია დღეში. ხოლო კობულეთში, ავადმყოფები იღებდენ 5.500 კოლორიას;

გაუმჯობესებულია აგრეთვე სანატორიუმების სამედიცინო მოწყობილობა, თუმცა ამ დარგში ჩვენ კიდევ ბევრი მუშაობა გვჭირდება. ამ მხრივ ყველაზე უფრო ცუდად არის დაყენებული საქმე ქობულეთში, სადაც არ არის ლაბორატორია, რენტგენის კაბინეტი, არ არის ელექტრო-მკურნალობის აპარატები. ეს აიხსნება იმით, რომ აჭარისტანის საკურორტო სამმართველოს არ ჰქონდა საკმაო თანხები. მიუხედავად ამისა, მომავალი წლიდან მიღებული იქნება ზომები მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ყველაზე უკეთ არის მოწყობილი არაზინდო.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ავადმყოფთა კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გაუმჯობესება: სანატორიუმებს ყველგან აქვთ საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკები, იწერენ ბევრ გაზეთებს, აქვთ ჭადრაკი, შაშკები და სხ. არაზინდოში დადგმულია რადიო მიმღები აპარატი.

ავადმყოფების შენახვისათვის სანატორიუმებში, კურორტებზე და დასასვენებელ სახლებში სულ დაიხარჯა 1.500.000 მან.

სამივლინებო ხარჯები

შრომის სახალხო კომისარიატმა გამოიმუშავა მივლინებაში გასამგზავრებლათვის ხარჯების ანაზღაურების წესი; ამ წესის მიხედვით მივლინებაში წასულ მუშაკს ეძლევა დღიური—მისი თვიური ხელფასის მეოცდაათედი, იმ პირობით, რომ დღიური არ უნდა აღემატებოდეს 10 მანეთს და არ უნდა იყოს 2 ნახევარ მანეთზე ნაკლები. მგზავრობის ფული განსაზღვრულია შემდეგნაირად: მივლინებაში წასულ თანამშრომელს ეძლევა მაგარი ვაგონის ბილეთის ფული, რასაც შეიძლება დაემატოს პლაცკარტის, ან სწრაფი მატარებლით მგზავრობისათვის ზედმეტი ფული. გემით მგზავრობის დროს თანამშრომელს ეძლევა მეორე კლასით მგზავრობის ხარჯი, გზატკეცილებზე—ავტომობილით, ეტლით, ან ცხენით სამგზავრო თანხა, იმის მიხედვით, თუ რა სახის მიმოსვლაა დაწესებული ამა თუ იმ რაიონში.

ლუდის ახალი ქარხანა

თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა ადგილობრივ მრეწველობის მიერ წარმოდგენილი ლუდის ახალი ქარხნის აშენების გეგმა. ქარხნისათვის საჭირო მოწყობილობის და მანქანების ნაწილი შეძენილი იქნება საზღვარგარეთ, ნაწილი კი საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებში. ქარხანა პირველ წლებში დაამზადებს 200.000 ვედრო ლუდს.

ამჟამად თბილისში არსებულ ლუდის ქარხნისათვის ნედლი მასალა შემოაქვთ უკრაინიდან და სომხეთიდან, იმ დროს, როცა საქართველოში საუკეთესო პირობებია ნედლი მასალის დასამზადებლად.

საგეგმო კომისიამ გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა სათანადო ორგანიზაციების წინაშე, თბილისის მაზრაში ლუდის ქარხნებისათვის საჭირო მცენარეულობის მეურნეობის დასაწყებად.

ლუდის ქარხნის აგების დაწყება განზრახულია მომავალ წლიდან.

საქართველოს ცაკში

— **დამსახურებულ რევოლიუციონერებს.**— სრულიად საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ თავის სამმართველოდან ამ თვეში (სექტემბერში), დამსახურებულ რევოლიუციონერებს დაურიგა პენსიების სახით ოთხი ათას ცხრაას ოთხმოცდა თხუთმეტი (4.995) მანეთი.

— **შორაპნის აღმასკომის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში.** — საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით, შორაპნის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ: მაისში, ივნისში და ივლისში პენსიების და დახმარებების სახით დაურიგა: შრომის, ომის ინვალიდებს და ნივთიერათ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებს ხუთი ათას ექვსას ოთხმოცდა თერთმეტი (5691 მან. და 32 კაპ.) მანეთი და 32 კაპ.

— **საგლეხო სესხის ობლიგაციების გავრცელების საქმისათვის ხელის შეწყობა.**—სრ. საქართველოს ცენტრალურმა გლეხკომმა ამ დღეებში მაზრებში ცირკულიარული მოწერილობები დაუგზავნა ყველა გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებებს (ძირითად გლეხკომებს) შეიძინონ მესამე საგლეხო სესხის ობლიგაციები და აგიტაცია და პროპაგანდა გასწიონ მოსახლეობის ფართო მასაში ასეთი ობლიგაციების შესაძენათ.

საქ. სახკომსაბჭოში

ბრძოლა საქონლის ჭირთან

საქონლის ჭირთან საბრძოლველად სახკომსაბჭოს მიერ დაარსებულია საუწყებათაშორისო კომისია მიწათმოქმედების სახკომის, სახელმწიფო პოლიტსამმართველოს, შინაგან საქმეთა სახკომის, სამხედრო უწყების და სახელმწიფო ვაჭრობის საქართველოს კანტორის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

საორგანიზაციო ზედნადები თამბაქოზე

თანახმად ვაჭრობის სახ. კომისარიატის დასკვნისა, საორგანიზაციო ზედნადები სას. სამ. კოოპერაციის მიერ დამზადებულ 1926 წლის ჩავლის თამბაქოზე, სახკომსაბჭომ დამტკიცა 1 პროც რაოდენობით.

საგლეხო სესხი

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ როგორ მიმდინარეობს საქართველოში მესამე საგლეხო მოგებიან სესხის რეალიზაცია, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკში განაცხადეს:

სესხის რეალიზაციის კამპანია ჩვენში დაგვიანებით დაიწყო. ეს აიხსნება იმით, რომ ცენტრმა დაგვიანებით გადმოგვზავნა საჭირო ინსტრუქცია და მასალები სესხის რეალიზაციის შესახებ. მასალების დაგვიანებით გამოგზავნასთან ერთად ჩვენ მოგვეცა დირექტივა, რომ მთელი კამპანია დაგვემთავრებინა 1 ოქტომბრისათვის.

ჩვენ ჩვენის მხრივ დაუყოვნებლივ მივიღეთ ყველა საჭირო ზომები, დაუგზავნეთ ინსტრუქციები და მასალები საკრედიტო ამხანაგობებს და მივეცით სათანადო მითითებანი. სადაც კი მიღებულია ეს მასალები. სესხმა გლეხთა ფართო მასებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

შეიძლება ითქვას, რომ პირველ ოქტომბრისათვის შევასრულებთ ობლიგაციების განაწილებას საქართველოს მთელ საკრედიტო ქსელზე. რაც შეეხება მათ გასაღებას გლეხთა შორის, ამისათვის საჭიროა ვადის გაგრძელება, წინააღმდეგ შემთხვევაში მიზანს ვერ მივაღწევთ, რადგან ზოგ ადგილებში პირველ ოქტომბრამდე მარტო მასალების მიღებას მოუნდებიან და თუ კამპანიის ვადა არ გაგრძელდა მათ მოუხდებათ მიღებულ მასალების გაუხსნელადვე უკან დაბრუნება.

კამპანიის ვადის გაგრძელების შესახებ აღძრულია შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე და ვფიქრობთ, რომ ის დაკმაყოფილებული იქნება.

ავიაქიმში

საპროცენტო ანარიცხების ახალი ნორმა

1 ოქტომბრიდან საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ყველა ორგანიზაციებში შემოღებულ იქნება ცალკე ორგანიზაციების წლიურ შემოსავლის საპროცენტო ანარიცხების ახალი ნორმა.

თანახმად ამ ნორმისა თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედები თავის შემოსავლიდან რაიონულ ორგანიზაციების სასარგებლოდ ნაცვლად 25 პროცენტისა გადაიხდიან 15 პროცენტს; სამაზრო და რაიონული ორგანიზაციები რესპუბლიკანურ ორგანიზაციების სასარგებლოდ —25 პროცენტს, ხოლო რესპუბლიკანური ორგანიზაციები თავის მხრივ კი გადაიხდიან 35 პროცენტს.

საკავშირო თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში კავშირში შემავალი რესპუბლიკანური ორგანიზაციები თავის წლიურ შემოსავლიდან გადაგზავნიან მხოლოდ 5 პროცენტს, ნაცვლად არსებული 25 პროცენტისა.

ამიერ-კავკასიის ცაკში

ა.-კ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილება

ამიერ-კავკასიის ცაკთან არსდება საორგანიზაციო განყოფილება. ამიერ-კავკასიის ცაკის მცირე პრეზიდიუმს დაევალა განყოფილების მოწყობა დაამთავროს პირველ ოქტომბრამდე.

ოქტომბრის ისტორიის ბიბლიოთეკა

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა მოაწყოს ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმთან ოქტომბრის რევოლიუციის ისტორიის ბიბლიოთეკა. რესპუბლიკანურ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალა, როდესაც ისინი გაგზავნიან ბეჭდვით მასალას საბჭოთა კავშირის ცაკთან არსებულ ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის დღესასწაულის ჩამტარებელ კომისიაში, თითო ცალი ამ მასალებისა გადაგზავნონ ბიბლიოთეკისათვის ამიერ-კავკასიის ცაკში.

ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლა

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა ა.-კ. ცაკთან არსებულ ლენინის სახელობის ფონდიდან ბავშვთა უპატრონობასთან საბრძოლველად აზერბეიჯანს და საქართველოს გადაეცეს 40.000 მანეთი თვითეულს და სომხეთს—20.000 მანეთი.

აჭარისტანის სახკომსაბჭოში

საბიუჯეტო კომისია

აჭარისტანის სახკომსაბჭოს დადგენილებით დაარსდა რესპუბლიკანური საბიუჯეტო კომისია. კომისიაში შედიან სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ლ. გამყრელიძე, (თავმჯდომარე), ზ. ლორთქიფანიძე, ზ. ჯინჯარაძე და კუნჭულია. კომისიას დაევალა განიხილოს 1927—28 წლის აჭარისტანის ავტ. რესპუბლიკის ადგილობრივი ბიუჯეტი და წარუდგინოს იგი სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად.

შტატების განხილვა

სახკომსაბჭოს დადგენილებით კომისიას—ამხ. ტაკიძის (თავმჯდომარე) კუნჭულიას, ჯინჯარაძის, ზაქარიაძის და ბრეგაძის შემადგენლობით დაევალა განიხილოს 1927—28 წლის ადგ. ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა შტატები და თავისი დასკვნა წარუდგინოს სახკომსაბჭოს.

ალაზნის არხი

ძლიერმა ნიაღვარმა 15 ვერსის მანძილზე გააფუჭა ალაზნის არხი

16—18 აგვისტოს მოსულმა ძლიერმა ნიაღვარმა გამოიწვია მდ. ჩერემისის ხევის ადიდება. ხევის წყალმა გადმოლახა კალაპოტი და ძალადგა ალაზნის ველს. გადმოლახულმა ხევის წყალმა საგრძნობლად დააზიანა ალაზნის არხის გასაყვანად წარმოებული სამუშაოები, განსაკუთრებით ერთს უბანში, რომელიც 96 და 245 პიკეტებს შუა მდებარეობს. ნაპირებგადმოლახულ ჩერემისის ხევის ტალღებმა სრულიად დაანგრიეს წყლის გადასაშვები ჯებირი სოფელ კიტაანთან. არხი გაფუჭებულია 15 ვერსის მანძილზე.

ადიდებულმა წყალმა წალეკა ზემოხსენებულ პიკეტებს შორის დაწყობილი სამშენებლო მასალა: ხე-ტყე, სილა, ღორღი, ცემენტი, რკინეულობა და სხ. ალაგ-ალაგ გადარჩა ცემენტი, რომელიც ძალზე დასველებულია.

არხი ზოგიერთ უბნებში ნიაღვრის წყლით არის ამოვსებული. ხელოვნურ ნაგებობათა საძირკვლები შლამით და სილით არის ამოვსებული.

გამოდარების პირველი დღეებშივე დაიწყო მუშაობა სამუშაოების აღსადგენად. აქ-იქ გაფანტული სამშენებლო მასალა შეგროვილია. სწარმოებს არხის გაწმენდა ნალექიდან და წყლიდან. ამ დღეებში აღსადგენი მუშაობა დამთავრდება.

გრიგალი კახეთში

კახეთიდან მიწადმოქმედების კომისარიატში მიღებული ცნობებით, 15 სექტემბერს, საღამოს 5 ნახევარ ს. კახეთში ცივგომბორის მხრიდან ამოვარდა ძლიერი გრიგალი, რომელსაც მოყვა დიდი წვიმა და სეტყვა. სეტყვის ზოლმა გადაიარა თელავ-ყვარლელაურის და გურჯაანის რაიონზე, სოფ. კოტეხზე და ჩუმლაყზე, სადაც ძლიერ დააზიანა მოუწეველი ვენახები.

ძლიერ წვიმებიდან ადიდებულმა მდინარეებმა და ნიაღვარმა გაანადგურეს სასოფლო გზები, ხიდები და დიდი ზიანი მიაყენა ბაღებსა და სიმინდის ყანებს. ამჟამად სწარმოებს ზარალის გამოკვლევა.

ქრონიკა

ამხ. ალამალი-ოღლის გამგზავრება

ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ალამალი-ოღლი თბილისიდან გაემგზავრა ლენქორანში, სადაც დაესწრება აზერბეიჯანის ცაკის სესიას, რომელიც 25 სექტემბერს იხსნება.

ამხ. შავერდოვის გამგზავრება

ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანი ამხ. შავერდოვი გაემგზავრა მოსკოვში, სადაც დაესწრება მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების მდივანთა თათბირს.

ამიერ-კავკასიის ცაკის მდივნის მოვალეობის შესრულება ამხ. შავერდოვის და ტაგიევის თბილისში არ ყოფნის დროს დაევალა ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის წევრს ამხ. ს. იაკუბოვს.

ამხ. სოლოვიოვის ჩამოსვლა

24 სექტემბერს საღამოთი თბილისში ჩამოვიდა რსფსრ. ჯანმრთ. სახ. კომისრის მოადგილე, სამრ. სანიტ. სამმართველოს უფროსი და რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. სოლოვიოვი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს წითელი ჯვრის სესიის მუშაობაში.

ამხ. მ. სურმანიძის და მ. გოგიბერიძის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდნენ აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარე ამხ. მოედინ სურმანიძე და აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მემედ გოგიბერიძე.

წითელი ჯვრების სესიისათვის

აღლუმი.

დღეს წითელი ჯვრების საკავშირო სესიის გახსნის წინ მოეწყობა საქართველოს წითელი ჯვრის პირველ დახმარების წრეების აღლუმი.

აღლუმს მიიღებს სესია. აღლუმში მონაწილენი გაივლიან ქალაქში.

სესიის დამთავრების შემდეგ

სესიის წევრები გაეცნობიან საქართველოს წითელი ჯვრის დაწესებულებებს.

5 დღეს

წითელი ჯვრების საკავშირო სესია გაგრძელდება ხუთ დღეს.

ადგილებიან მოელიან წითელი ჯვრების და ნახევარ-მთვარეების ორგანიზაციების დელეგაციებს.

მისაღები გამოცდების შედეგები სახ. უნივერსიტეტში

სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების შედეგები გამოქვეყნებული იქნება 29 სექტემბერს.

ტფილისის აღმასკომში

◆ **საქარხნო საფაბრიკო სკოლის** გაფართოების მიზნით აღმასკომმა დაადგინა აღნიშნულ სკოლის შენობიდან გამოასახლოს კერძო მდგმურები.

◆ **საბავშვო ბაღების ქსელის** გასაფართოებლად აღმასკომმა გადასდო 13,000 მან.

◆ **ყრუ მუნჯთა ურთიერთდამხმარე** თბილისის საზოგადოებას თბილისის აღმასკომმა დახმარების სახით მისცა 500 მან.

◆ **ერთიანი სახის დროშები** თბილისის აღმასკომმა დაადგინა ქალაქში შემოღებული იქნას ერთი სახის დროშები საზეიმო დღეებში გამოსაფენად.

◆ **სოცუზრუნველყოფის განყოფილებას** უსინათლობისათვის სახელოსნოების მოსაწყობად გადაეცა 1500 მან.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში

◆ **„საქართველოს ეკონომისტი"** დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა სახალხო მეურნ. უმ. საბჭოს ყოველთვიური ჟურ. „საქართველოს ეკონომისტი № 10.

◆ **წიგნი ტყვარჩელზე.** სახალხო მეურნეობის უმ. საბ. გამოსცა წიგნი ტყვარჩელის მადნებზე. წიგნში მოთავსებულია სპეციალური წერილები ტყვარჩელის მადნების და მისი მომავალი ექსპლოატაციის შესახებ.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში

◆ **საფილოქსერო ექსპედიციამ** დაამთავრა მუშაობა რაჭის მაზრაში და გადავიდა ლეჩხუმის მაზრაში. ექსპედიციამ გამოარკვია, რომ რაჭის მაზრაში ვენახების უმრავლესობა დაავადებულია ფილოქსერით.

◆ **ამერიკული ლერწი.** აფხაზეთში საცდელ ზვარის მოსაწყობად მიწსახკომმა გადასწყვიტა საფრანგეთში შეიძინოს სხვადასხვა ჯიშის ამერიკული ლერწი.

სახელგამის ახალი გამოცემანი

გამოვიდა და იყიდება სახელგამის წიგნის მაღაზიებში:

1) **მასწავლებელთა ჯგუფი**—„ჩვენი მხარე" (მესამე ჯგუფის სახელმძღვანელო) გვ. 453, ფ. 2 მ. და 50 კაპ.

2) **ქ. სულაქველიძე**—სწორხაზოვანი ტრიგონომეტრია (სახელმძღვანელო ცხრაწლედებისა და ტექნიკუმებისათვის) გვ. 211, ფ. 1 მ. და 75 კაპ.

ჟურნალი „მნათობი" № 8—9

გამოვიდა ყოველთვიური სალიტერატურო, სამხატვრო და სამეცნიერო ჟურნალი „მნათობი" № 8—9.

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები: 1. პოეზია: **ა. აბაშელი**—მოგონება; **ნ. ზომლეთელი**—ზღვის პლიაჟი; **ი. მოსაშვილი**—ცხოვრების გზაზე; **ქ. ბობოხიძე**—ზღვის პირას; **ვ. გაბესკირია**—ჩონგური; **ი. ლისაშვილი**—ის ხომ არ არის კიდევ თამაში; **ვარ. ჟურული**—ომი და ზავი (ნაწყვეტი პოემისა); **სიმონ ჩიქოვანი**—კავკასიიდან—ტაგანროგამდე. **პროზა:** ვანი — კავკასიიდან — ტაგანროგამდე. პროზა: **ლეო ქიაჩელი** — სისხლი (გაგრძელება); **ალ. ქუთათელი** — ცხენოსანი; **ნ. ზომლეთელი**— იფქლი; **დ. თურდოსპირელი** — მომაკვდავი კოშკი; **ბ. შარაშენიძე** — ცოცხალი. თარგმნილი ლიტერატურა: **პეტრე შირიაევი**—ციკუტა; კრიტიკა, მხატვრობა, პუბლიცისტიკა: **ნ. შებუევი**—გორკი როგორც ადამიანი, **რ. კალაძე**—ქართველი საზოგადოება და ანტონ ფურცელაძე; **ს. ამაღლობელი**—სახკინმრეწვის საკითხები; **სოფ. თარხნიშვილი**—ალექსანდრე და დიმიტრი ყაზბეგები; **პ. ორაგველიძე**—კოოპერაციის ბუნების შესახებ. და ბიბლიოგრაფიები.

შემთხვევები

◆ **ლენინის ქუჩაზე** ტრამვაიში უცნობ მოქალაქისათვის ფულის ამოცლის გამო შეიპყრეს მაკ კონსტანტინესძე გორგალიძე.

◆ **ქურდი ძმა.** 23 სექტემბერს ფოსტის ქუჩა № 14 საქულა ლალაევის ბინა გაქურდა მისმა ძმამ ხორენ ლალაევმა და მიიმალა.

◆ **საფულეს ხელიდან გამოტაცება.** 23 სექტ. ანა ბადრიალოვს არმიის შახნაზაროვი შეუხტა ეტლში და ხელიდან გამოსტაცა საფულე. ჯიბგირი იქვე შეიპყრეს.

◆ **პირველ სავადმყოფოს** თანამშრომელს სამორიგეო ოთახიდან მოპარეს სხვადასხვა ნივთები.

◆ **შეიპყრეს ნიკოლოზ ტიგრანისძე** მელქუმოვი რომელმაც ტატიკო ალხაზიშვილს ჯიბიდან ამოაცალა ფული

◆ **მდგმურებიდან შეგროვილ** წყლის ფულის მითვისებისათვის პასუხისგებაში იქნა მიცემული სახლის პატრონი გეორგ გეორქიანცი (მუხ. კახეთის ქუჩა № 47).

◆ **მცირეწლოვანი დამნაშავე.** მცირეწლოვანთა კომისიას გადაეცა ოგანეზ სერგოსძე ალექსანდროვი, რომელსაც ბრალდება ქურდობა.

◆ **დაკარგვა.** 16 სექტემბერს უგზოუკვლოდ დაიკარგა ანიჩკა ალექსის ასული ბურჯანაძე (16 წლის) მცხოვრები საბჭოს ქუჩა № 140.

◆ **22 სექტემბერს** სახლიდან გავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა რიფსიმე იაგორის ასული აგეჯანოვი (50 წლის).

ხელოვნება

დირიჟორ სტოლერმანის გამოსათხოვარი კონცერტი

სტოლერმანის კონცერტი უმთავრესად მიძღვნილი იყო ბეთჰოვენის და ვაგნერის შემოქმედებისადმი. ამ კომპოზიტორების ნაწარმოებები სავსებით აქვს შეთვისებული დირიჟორ სტოლერმანს და ყოველთვის საუცხოვოდ ასრულებს. თბილისის კონცერტების ესტრადაზე იშვიათად შეუსრულებიათ ბეთჰოვენის განთქმული მე-5 სიმფონია (ბედი) ისეთი მხატვრული სისრულით, როგორც სტოლერმანის კონცერტზე. შესრულება თავიდან ბოლომდე აკადემიური იყო, თავიდან ბოლომდე დაცული იყო ბეთჰოვენის სტილი, ორკესტრში ჩანდა მეტად ბევრი მხატვრული მუსიკალური მომენტები. მხოლოდ სიმფონიის მეორე ნაწილი შესრულებულ იქნა რამდენადმე აჩქარებული ტემპით. ასევე კარგად იქნა შესრულებული ოპერა „ლოენგრინის" შესავალი და სიმფონიური პოემა „იზოლდას სიკვდილი" (ვაგნერის ოპერიდან „ტრისტან და იზოლდა"). პირველ ნაწარმოებებში სტოლერმანი იძლევა მხატვრულ პოლიფონიას (სხვადასხვა მუსიკალური თემები, რომლებიც ერთ მელოდიაში და ჰარმონიაში ერთდებიან), ხოლო მეორე ნაწარმოებებში ძირითადი მელოდიის მუსიკალობის განვითარება ექსტაზამდე აღწევს.

კონცერტში მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა პიანისტმა ახრიევმა, რომელმაც ორკესტრის აკომპანიმენტით შესრულა ლისტის კონცერტი. ლისტის უძნელესი კონცერტის შესრულება ახალგაზრდა პიანისტის მიერ მოწმობს მის მუსიკალურ ნიჭს და დიდ შრომის მოყვარეობას.

პ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

ხელოვნების მთ. კომიტეტში

ხელოვნების მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. შ. დადუჩავა, თანახმად მისი თხოვნისა, განთავისუფლებულია ხსენებულ თანამდებობიდან. მის ადგილზე დანიშნულია ამხ. ს. ამაღლობელი.

◆ **„25.000.000".** ამ დღეებში გამოვა შ. ალხაზიშვილის და ქ. მდივნის დრამატიული ამბავი „25.000.000". ოთხ აქტათ და 13 ეპიზოდათ.

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ვარლამ ხუროძის თხზულება: „ქართული ლიტერატურის თემატიურად განხილვა მე-19 საუკუნიდან ოქტომბრის რევოლიუციამდე". წიგნი მიღებულია სახალხო განათლების კომისარიატის მეთოდიურ ორგანოს მიერ შრომის სკოლების მეორე საფეხურისათვის დამხმარე სახელმძღვანელოდ. შეიცავს 230 გვ. და ღირს 2 მანეთი.

— **კინო ბავშვებისათვის.** დღეს კინო „არფასტო"-ში დილით გაიმართება საბავშვო კინოსურათის ჩვენება.

— **სიმფონიური კონცერტი.** დღეს, მედსანშრომის კლუბში გაიმართება გამოსათხოვარი კონცერტი.

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კლუბში დღეს გაიმართება გრომოვის და მილიჩის უკანასკნელი გასტროლი.

სასამართლო

„მამობილი"

ეს ამბავი მოხდა სოფელ ახალგორში.

ამ სოფლის მცხოვრებ ახალგაზრდა გლეხს **ლ. მუსაევს** მთელ რაიონში მარჯვე ბიჭის სახელი ჰქონდა გავარდნილი, მას მიწა-წყალი არ გააჩნდა და ამიტომ ხშირად სხვის მამულებში მუშაობდა დღიურად.

არც ერთი გლეხი, ვინც კი თავის მეურნეობისათვის საქირაოდ მუშა ხელს საჭიროებდა, არ ამბობდა უარს მუსაევის დაქირავებაზე. ხშირად შეძლებული გლეხები ერთმანეთს ეცილებოდენ—მუსაევის მოჯამაგირეთ აყვანაში. მეტწილად მუსაევს მუშაობა უხდებოდა საკმაოდ შეძლებული გლეხის **ზაურბეკის** ყანებში.

აქ თითქმის მთელი კვირაობით აგვიანდებოდა მას ზაურბეკისთან. ხანდახან მის სანახავად ზაურბეკის ოჯახში მოდიოდა მისი ახალგაზრდა ცოლი სონია, რომელსაც ჩუმად თვალს გადაავლებდა ხოლმე მასპინძელი ზაურბეკი. ზაურბეკს მოსწონდა გამრჯელი ახალგაზრდა მუსაევი, უფრო მეტად კი მისი ცოლი.

ერთს დღეს მუშაობის დამთავრების შემდეგ როცა ზაურბეკი და მისი მოჯამაგირე ვახშამს შეექცეოდენ, მათ შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

— კაცო,—რათ იჯგი თავს კარი-კარ სიარულით,—ეუბნება მუსაევს ზაურბეკი,—ხომ ხედავ ჩემს ოჯახს, რომელიც შენისთანა მარჯვე ხელს საჭიროებს, გადმოსახლდი ჩემთან შენი ოჯახობით,—ვიმუშავოთ და ვიცხოვროთ ერთად, როგორც მამა-შვილმა.

— ძნელია საკუთარი კერის მიტოვება, ზაურბეკ, მაგრამ თუ ასეთია შენი გადაწყვეტილება და არც შენი ნათესავები იქნებიან ჩემი შვილად აყვანის წინააღმდეგ,—მე ჩემი ოჯახობით მზათ ვარ შევიხიზნო შენს ოჯახს და მთელი ჩემი ძალ-ღონე მოვახმარო გაერთიანებულ ოჯახის მეურნეობას.

— მაშ ასე,—დღეიდან მე ვარ მამა შენი და შენ შვილი ჩემი.

ამ სიტყვების შემდეგ მამობილ-შვილებული გადაეხვევიან ერთმანეთს.

1924 წელს შემოდგომაზე ლ. მუსაევი თავისი ცოლით გადავიდა ზაურბეკისას.

მუსაევმა შეასრულა თავის დაპირება: გაასამკეცა მუშაობა ახლად შეძენილ ოჯახში. არც ზამთარ, არც ზაფხულ არ ისვენებდა. ზაფხულობით მთელ დღეებს ყანებსა და ბაღებში ათამებდა. ზაურბეკი კი პირიქით შვილობილის მის ოჯახში ჩასახლების დღიდან შეუდგა განცხრომით ცხოვრებას. ოჯახის შინაურ საქმეებ ზედაც კი არ იწუხებდა თავს. არც სჭირდებოდა გარჯა: შვილობილის გულმოდგინეობა ყველაფერით უზრუნველჰყოფდა მის ცხოვრებას, მუსაევს, რასაკვირველია, არ მოსწონდა მამობილის ასეთი ნებივრობა, მაგრამ უკმაყოფილებას მაინც არ გამოსთქვამდა.

შეიძლება, დიდხანს გაგრძელებულიყო გაერთიანებული ოჯახის მყუდრო ცხოვრება, რომ ზაურბეკს არ შეებღალა „მამობილის" ზნეობა: იგი შეუჩნდა ახალგაზრდა სონიას, მთელი დღეები კუდში დასდევდა ხვეწნით და მუდარით დანებებოდა მას. დიდხანს გაუძალდა სონია „მამობილს",—არ იქნა, არ მოხერხდა მისი ნებაყოფლობით დამორჩილება. მაშინ ზაურბეკმა მიმართა მუქარას—სიცოცხლეს მოგისპობ, თუ არ დამნებდები.

ერთხელ უარით გამხეცებული ზაურბეკი შევარდა ქალს და ცულით მოკვლას უპირებდა,—ქალს შიშით მუხლები მოეკვეთა... ზაურბეკმა შეასრულა წადილი. ზაურბეკი ამას არ დასჯერდა. მოინდომა სონია გაეგდო თავის კანონიერ ცოლად და შეუჩდა ქალს ერთად მოეკლათ მუსაევი და შემდეგ დაქორწინებულიყვნენ, მაგრამ ვერავითარი ღონიერებით ისედაც სინდისის ქენჯნით შეწუხებული ქალი ამ წინადადებაზე ვერ დაიყოლია.

რაკი ქალის დათანხმება ვერ შესძლო ზაურბეკმა გადასწყვიტა დამოუკიდებლად მოეყვანა თავისი ბოროტი განზრახვა სისრულეში. დაუწყო ძებნა საბაბს და ხელსაყრელ მომენტს.

ერთს საღამოს დაღლილ დაქანცული მუსაევი სამუშაოდან სახლში დაბრუნდა; მიწვა ტახტზე და ცოლს სთხოვა ფეხის დასაბანად წყალი გაეთბო. ამის გაგონებაზე ზაურბეკმა შეღრიალა:—როგორ ბედავ ჩემ აქ ყოფნის დროს სონიას გარჯასო; დროა, შენს მაგ ძალზე ბატონობას ბოლო მოეღოს. ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ზაურბეკი წამოხტა ტახტიდან და წალდით მივარდა მუსაევს თავში დასარტყმელად—მოწინააღმდეგე მარჯვეთ დახვდა. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ბოლოს მუსაევმა გამოგლიჯა „მამობილს" წალდი და თავში მაგრათ დაარტყა. ზაურბეკი გრძნობა დაკარგული დაეცა, თუმცა სიკვდილს მაინც გადარჩა.

მუსაევი მამობილის სასიკვდილოდ ხელყოფისათვის დააპატიმრეს და მისცეს პასუხისგებაში.

სასამართლოს გამსვლელმა სესიამ ახალგორში გაარჩია ეს საქმე.

პროცესის დროს აშკარა გახდა, თუ რა მოსაზრება ამოქმედებდა ზაურბეკს, როცა მუსაევი თავისი ცოლით შვილობილად აჰყავდა. სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში ეს გარემოება და აგრეთვე მუსაევის სოციალური მდგომარეობა, მიუსაჯა ბრალდებულს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა პირობით.

მხურვალე სალამი წითელ თბილისს

დიდმა ხანმა განვლო მას შემდეგ, რაც მე იძულებული ვიყავი თბილისი დამეტოვებია. იმ დროს თვითმპყრობელობის უღელ-ქვეშ გმინავდა მთელი რუსეთისა და ამიერ-კავკასიის მუშათა კლასი და გლეხკაცობა. დღეს კი ძველი რუსეთის იმპერიის ადგილას ფრიალებს შრომის რესპუბლიკის წითელი დროშა.

ჩვიდმეტი წლის შემდეგ დაბრუნებისას ვიჩქარი მხურვალე ძმური სალამი ვუძღვნა წითელი თბილისის და ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ პროლეტარიატს.

მ. ფილია (ავგუსტა).

ამხ. მ. ფილია ერთი ძველი აქტიური მუშაკთაგანია ჩვენი პარტიის, მისი წევრი 1905 წლიდან. თავისი არალეგალური მუშაობის უკანასკნელ ხანებში, 1909 წელს, ის დაპატიმრებული იქნა თბილისში სოც. დემოკრატიული პარტიის თბილისის ორგანიზაციის მეშვიდე რაიონული კომიტეტის საქმის გამო. ეს საქმე ირჩეოდა ამავე წელს სამხედრო საოლქო სასამართლოში, რომელმაც ამხ. ფილიას მიუსაჯა ოთხი წლის კატორღა. რამოდენიმე წუთით წინ განაჩენის გამოცხადებამდე, მან მოახერხა გაქცევა სასამართლოდან და ერთი წლის განმავლობაში განაგრძობდა არალეგალურ მუშაობას თბილისშივე. შემდეგ კი (1910 წ.) ის იძულებული შეიქნა წასულიყო საზღვარგარეთ (შვეიცარიაში). შარშან ამხ. ფილია დაბრუნდა მოსკოვში და მუშაობს კომინტერნის აღმასკომის სამდივნოში. ჩვიდმეტი წლის შემდეგ მას პირველად დღეს მოუხდა თბილისში ჩამოსვლა დროებით.

რედ.

რადიო-გადაცემა

კვირა, 25 სექტემბერი

დღეს საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

პიონერების გამოსვლა, სიმღერა და ლექსები (7—7—20).
კომკავშირელთა გაზეთი (7—20—7—40).
მოხსენება: საერთაშორისო მდგომარეობა (7—40—8).
საქართველოს ელექტროფიკაცია (8—8—20).
პროფესია და ტუბერკულიოზი (8—20—8 40).
ტექნიკური კონსულტაცია (8—40—9).
ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია (9—9—20).
კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

ორშაბათი, 26 სექტემბერი

გაზ. „რაბოჩაია პრავდა" (7—7—20).
მოხსენება: საერთაშორისო მდგომარეობა (7—20—7—40).
სოციალური ავათმყოფობანი—მალარია (7—40—8).
ტყიბულის და ტყვარჩელის ქვა-ნახშირი (8—8—20).
ბადამები სნეულებანი და როგორ უნდა დავიცვათ მათგან თავი (8—20—8—40).
ანტი-სარწმუნოებრივი მოხსენება (8—40—9).
საუბარი რადიო-ტექნიკაზე (9—9—20).
ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია (9—20—9—40).
რადიო-სტუდიის კონცერტი.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

26 სექტემბერს შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშათა 1-ლი სექცია:
თეთრაშვილი ა.

გონებრივ მუშაკთა მე-2-რე სექცია:
გოგოხია რაედენ, ხოზონაშვილი შალვა, თამაშვილი მარიამი, დარახველიძე ლიზა, დათუნაშვილი ივანე.

შავ მუშათა მე-8-ე სექცია:
ნარსია პეტრე, მესელიძე დავით, გახმინაშვილი ესტატე, მოლაშვილი მიხეილ, აგანასოვი არტემ, ჩანჩიძე ლევან, ცარუკაკ ანუტინა, მამაკოვა ა., გასპაროვი გერასიმე, ოგანეზოვი ამიაკ, გიგაშვილი სოლომონ, მუხიგულაშვილი მოსე, ზეინდილ არმილაკ, ისაკოვ ევგენია, მატეოსიანც ტიგრან, ლეინიაშვილი ვასილი.

სპორტი

„დინამო"—„ნაკრები პროფკავშირები"

„არსენალ პირველის" და „შტურმის" შორის კალენდარული შეხვედრა, რომელიც დანიშნული იყო 25 სექტემბრისათვის, შეცვლილია და ამ შეხვედრის მაგიერ შეხვედრა პროფკავშირთა ნაკრებ გუნდისა და „დინამო პირველის" შორის. შეხვედრა დანიშნულია ლენინის სახელობის სტადიონზე. ნაშუადღევის ოთხ ნახ. საათ.

პროფკავშირთა ნაკრებ გუნდში შედიან: სალინინი, მატიენკო, ვორონოვი, გონელი, მდივანი; არეზოვი; ავაზოვი; მაღალაშვილი, სოლტანი; ასლამაზოვი; ბონდარევი.

სათადარიგო: პილნოვი, პანდელოვი, ხევსურიანი, „დინამო პირველის" შემადგენლობა: ბალდოევი, ბლანკმანი, ფოჩხუა, ანიკინი, ფედოროვი, ფრუიძე, ქებაძე, ვაჩნაძე, გალპერინი, ფახულია; ქოიავა.

სათადარიგო: გასპაროვი, გუნია,
მსაჯი ამხ. კუზნეცოვი.

ჯავახეთის ტრიალოზე

ცხრა-წყაროს ქედისაკენ

მისრულდება დიდი ხნის ნატვრა.

გადავსწყვიტე ჯავახეთისაკენ გამგზავრება.

უნდა ვიხილო ვარძიის აკლდამები.

არ გამიძნელდება ბევრ შორეულ ქვეყნების გარდალახვა. ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი კუთხის ნახვა კი წლით - წლობამდის მურაზათ მიტარებია. შემდეგ ზოგი მინახავს დიდის გაჭირვებით. ზოგი კი ისევ სურვილად რჩება და ეგებ შეუსრულებელ სურვილად.

ყველა „სიძნელეთა" გარდასალახავად თითქმის ერთგვარი თავგამოდება საჭირო. სხვათაშორის, სახელდახელოდ ასეთი საქმე ჩვენში როგორღაც ვერა ხერხდება.

მაგრამ ყველა „სიძნელენი" შესამჩნევად გაადვილდება, თუ ამყოლი გეყოლება შესაფერისი.

ქართველებში, რამდენიც მოგესურვებათ, იმდენს იპოვით ამყოლს ქეიფში, პურის ჭამაში. სამოგზაუროდ კი ნუ შეაწუხებთ მის მყუდროებას. სამისოდ ის კუტი და უძრავი არის.

ზოგჯერ ცხოვრების უბრალო, მაგრამ დამახასიათებელ ქცევაში და მოვლენებში აშკარავდება ხალხის ჯანსაღი კულტურობა. აქა სცემს უშრეტი შადრევანივით — უნარი, ეშხი და ჟინი დაულალავი სიცოცხლისადმი.

მოგზაურობა! კუთხიდან კუთხეში. ქვეყნიდან ქვეყანაში გადასვლა! ხიშორეთა შეუჩერებელი დაძლევა და რაც შეიძლება მეტის ხილვა დედამიწაზე!

აი, წაურთმეველი და საგანგებო თვისებანი ძალღონით აღჭურვილი ხალხისა რომელიც სტიქიურის ძლიერებით მიილტვის მომავლის გასაქანებში.

საქართველოს ყოველი ღირსშესანიშნავი კუთხე უფრო ხშირად აქვთ ნახული და უკეთესად შესწავლილი შორით მოსულ რუსებს, გერმანელებს, ფრანგებს, ინგლისელებს, ვიდრე აქ მკვიდრად მცხოვრებ ქართველებს.

ჩვენ თბილისში—რუსთაველის გამზირს იქით ჯერ გაგვივლია მუხლი. აგარაკებზე კი — პარკებში ტრიალით გვესხმება თავბრუ.

ამ საყოველთაოდ გატკეპნილ ადგილებს მხოლოდ თითო-ოროლა თუ გადასცდება ხოლმე.

ჩვენ თითქოს იმიტომ გვინდა გავლა - გამოვლა, რომ სხვას დავენახოთ.

ჩვენში მისუსტებულია დამოუკიდებელი წყურვილი, რომ უშუალოდ განვიცადოთ ქვეყანა, ბუნება და სილამაზით აღსავსე, მდიდარი ხილვანი.

ამიტომ დაკარგულად მიგვაჩნია თავი ხალხის ვარეშე. უმწეო მარტოობასა და უაზრობასა ვგრძნობთ ბუნების წიაღში — ზღვაზე თუ ხმელეთზე.

ასეთ საერთო უხალისობაში და სიზარმაცეში თითქმის გმირობად მომეჩვენება ისეთი ჩვეულებრივი რამ, როგორც მყინვარზე ან იალბუზზე ასვლა ქართველი მოგზაურებისა.

იალბუზზე და მყინვარზე კი არა — მე თითქმის ისიც მაკვირვებს ხოლმე, როცა ქართველ კაცს შევხვდებით თბილისის ბოტანიკურ ბაღში.

ეს აიხსნება მხოლოდ ერთი რამით: წინააღმდეგ ყოველგვარ მოლოდინისა — ქართველ კაცს არ უყვარს ბუნება და ეზარება მის წიაღში თავისუფლად გავლა-გამოვლა.

და ვისაც არ უყვარს ბუნება, ვისაც არ ძალუძს იგრძნოს განუყრელი ნათესაობა მის აღურიცხველ სახეებსა და მოვლენებთან, ის როგორ იქნება სიცოცხლის ამყოლი, ცხოვრებით ავსე ადამიანი!

ქვეყნიერება ასეთი დიდია — აზრით მიუწდომელ შესაძლებლობათ გაცილებული! ადამიანი კი ისეთი პატარაა — თავის სიცოცხლით და უმნიშვნელო მიღწევებით! მაშ რატომ არ გადავსდგათ ერთი-ორი ნაბიჯი ცოტა შორს ჩვენს ყოველდღიურ მობეზრებიდან! რატომ არ განვიცადოთ სულთათქმა სამყაროსი — ჩვენს წუთიერად დაკვესებულ არსებაში!

ასე ვფიქრობ ყოველთვის — როცა ჩემ წინ გადიხსნება ცისა და ქვეყნის საზღვარი. როცა ჩემ მხედველობის და განცდის სივრცეში სრულ ქმნილ სასწაულებათ გადიშლებიან ბუნების ძალნი:

აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მეფურად მოგზაური მზე. რაინდულის თავდაჭერით სულ განაბული მთანი. თავაწყვეტილი მდინარენი. და საერთოდ — თვალში დაუტეველი სიმდიდრენი — ბუნების შემოქმედებით მოწყლვავებული.

მიკვირს: როგორ ეტევა კაცი ერთ ადგილას, როცა ბუნების კარი ყოველმხრივ ღიაა და მოგიწოდებს თავის მშვენებაში.

* * *

მე ლამის ავსცდე ჩვეულებრივ თხრობას, ისე ვერთობი საგალობელში მიწის და ცისა.

წალვერიდანვე შეუდექი თანამგზავრების ძებნას ვარძიისაკენ.

ყველა დაკუტდა. ყველა დაავადმყოფდა. ყველას საქმე გაუჩნდა. ამიტომ მარტოდ გავუდექი გზას.

ვფიქრობდი: ეგებ ბაკურიანში ვაცდინო ვინმე მეთქი. ყველა მტკიცე და ურყევი გამოდგა თავის უძრაობაში.

— ოხ! რა მეზარება მარტოდ სიარული ოთხმოცი ვერსზე, უცნობ ადგილას! თუ მაინც არ დავიშლი, წავალ და ცოტა რამესაც დავწერ ამ მოგზაურობაზე — მაშინ კი იცოცხლეთ—სიამოვნებით წაიკითხავენ და ქათინაურსაც არ ინანებენ.

მაინც ყველას ქათინაურებს მე ის მერჩია, ერთი ამყოლი რომ მეპოვა ვინმე. მაგრამ ყოვლიფე ცდა ამაოა.

როცა დავბრუნდები ვარძიიდან, ალბათ მაშინ მრავალი მისაყვედურებს: „რატომ არ მითხარი, უეჭველად წამოვიდოდი!"

მრავალჯერ შემხვედრია მსგავსი დამუნათება და ეხლა რაღათ აიღებენ ხელს ასეთ ნაგვიანევ მარიფათის გამოჩენაზე!

* * *

ბაკურიანიდან ახალქალაქამდის ორმოცდაათი ვერსია. ეტლები ყოველდღე გადიან.

დილით ადრიან მივადექი მეეტლეთა თავშესაფრს.

— ბალიშზე შვიდი მანეთი. წინა სკამზე ხუთი მანეთი!

ასეთია მტკიცე განცხადება ახალქალაქელ მეეტლე — ონიკასი.

მე ვევაჭრები ერთ-ორ მანეთზე. ონიკა ურყევია. ის ცოტა მიმხვედრიც არის თავის საქმეში: მე თუმცა ვიქცევი სხვათაშორისად, მაგრამ მაინც მატყობს, რომ უეჭველად უნდა წავიდე. მაშ რათ დამითმობს ნაღდ საქმეს!

ეჰ! თვალი დაუდგეს ქართველი მწერლის ხელმოკლეობას! განა ერთ-ორ მანეთზე უნდა ევაჭრო ვარძიაში წასასვლელად. მერე მეეტლეებსა და მათ მსგავსებს, როგორ უყვართ დარდიმანდი ხალხი!

მე თითქმის დავთანხმდი, მაგრამ ჩემ სასარგებლოდ სიტყვა დახარჯა ერთმა მგზავრმა და ონიკაც მოტყდა.

— კარგი, იოსებჯან! შენი ხათრით იყოს ექვსი მანეთი!

ვემზადებით წასასვლელად.

ჩვეულებად მაქვს: როცა ასეთ უცნობ წრეში მიხდება ყოფნა ან მოგზაურობა — წინდაწინ მინდა ავუღო ალღო — თუ რა ხასიათის ხალხთან მაქვს საქმე.

ამ შემთხვევაში ძალიან დამაინტერესა ამ იოსება - მგზავრმა — ჩემ გვერდში რომ უნდა იჯდეს და რომლის ხათრითაც ონიკა მეეტლემ მანეთი დამითმო.

ვზომავ თავიდან ფეხებამდის და სახეშიც შივდა აღმოვიკითხო: რამდენად არის შემფერებელი ადამიანის, ან...

პატარა ტანისაა. მაგრამ ეტყობა ძალიან კოჰკიტა და მარჯვე იქნება. ამას უმტკიცებს თვალი სწორი და შეუპოვარი.

რომ მივედი — ხელში ეჭირა შიშველი ხანჯალი და ფხას უსინჯავდა. ასე ათვალიერებს დედა თავის შვილს — ხომ არაფერი სტკივაო.

თუ შეიძლება იარაღი საგანგებოდ გავდებ თავის პატრონს — მაშინ ეს ხანჯალი მიქელ-ანჯელოს მარჯვენით გამოკვეთილი ქანდაკებაა თავის პატრონის.

რამდენი სიყვარული, ცოდნა, სიფრთხილე და რაღაც ანდამატური ინსტიქტი გამოსჭვიოდა ამ ფხის გასინჯვაში!

ამან საკმაოდ მიიქცია ჩემი ყურადღება და საგანგებოდ ვცდილობ მის გამოცნობას.

— ეს კარგია! მაშ არ ვიჯდები როგორც ტრამვაიში: უაზროთ და უშინაარსოდ. აქ მაქვს მასალა დასაკვირვებლად და საფიქრებლად.

თუმცა იოსებს სახე ბოროტი არა აქვს. მაგრამ ეტყობა ძალიან ფიცხი უნდა იყოს და ეგებ ახირებულიც.

საერთოდ იმისი შეხედულება მაიძულებს ყოველ შემთხვევისათვის ფრთხილად მოვიქცე.

დილის საუზმეს ერთად შევექეცით იქავე თავშესაფარში.

ამ ტურტლიან და მინგრეულ - მონგრეულ საჩაის აქ ლიკანის სასახლედ წარმოვიდგენდი, რომ ბუზებს არ გამეწარებინათ სიცოცხლე იქ დაყოვნებულ თხუთმეტი წუთის განმავლობაში.

— ასე გონია, მთელი ბაღდადის ბუზი აქ შემოხიზნულაო.

ყოველი ლუკმის ჩადებაზე ხელებს წალაუკუდმა ვიქნევთ, თითქოს წყალწალებული დასახელრჩობათ განწირული მსხვერპლნი ვიყვეთ.

მე ვიტან ამ გასაჭირს, რომ ონიკა მეეტლემ და იოსება მგზავრმა რაღაც უცხო „ინტელიგენტად" არ მიმიღონ. არამედ მიგრძნონ თავიანთ ფანდათ და ამხანაგათ. თუ კი ისინი გაუძლებენ ამ ბუზებს, მე რაღა მათზე ნაკლები ვაჟკაცი ვარ!

როგორც იქნა დავაღწიეთ თავი უვნებლად ამ საჩაის.

ონიკა ცხენებს აბამს.

იოსებმა წინდაწინ მოიკალათა ეტლის მარჯვენა მხარეს. ეს არ მესიამოვნა. მარცხენა მხარეს ჩემი თავი უმწეოდ მიმაჩნია.

ფეხის ტკივილი თუ გვერდის ტკივილი მოვიმიზეზე და როგორც იქნა მარჯვენა გვერდზე მე დავჯექი.

ასე კმაყოფილი ვარ:

თუ იოსები ახირებული და შეურიგებელი კაცი გამოდგა, აქედან ხანჯლის ამოღების საშუალებას მაინც არ მივსცემ. ისე კი ვეფხვი არ არის, რომ ერთის ნახტომით გამანადგუროს.

ერთი სიტყვით, ისეთ წინდახედულობას ვიჩენ, თითქოს მოსისხლე მტერთან ვიჯდე გვერდში და არა ისეთ კაცთან, რომლის ხათრითაც მანეთი დამითმეს და რომელთანაც ეს არის ეხლა საუზმეს შევექეცი ერთად.

* * *

უკვე დავიძარით.

სხვა მგზავრებიც მაინტერესებენ.

ჩვენ წინ ზის ნამდვილი ქალაქელი ბიჭი—ბუნება და ყბა-ახსნილი, მაგრამ უცნაურად მიამიტი ამ სოფლის ფონზე.

მეეტლე ონიკას კი მხარს უმშვენებს ერთი სომხის გოგო. მისი ეშხით ონიკას სახეს არ შორდება მადიანი ღიმილი.

ამავე სირანუშას მადლსა და ძალას აუქოლებია ერთი ახმახი, ყბა-მონგრეული, წითელთა ლათა მჭედელი. ის ჩემ წინა ზის და არ იცის, როგორ მეზარება მისი ყბის ცქერა.

რამდენად სასიამოვნოდ მეჩვენება იოსებას ფათერაკიანი მეზობლობა, ვიდრე ამ საზარელი და მახინჯი ყბის ცქერა! ყოველ ჩემ ფიქრს უმსგავსო სოლად ერჭობა გულში და შუაზედ ჰპობს.

— ოო, წუთიერო გზნებავ, თუნდაც მახინჯი ქალისა, რა ულმობელი ხარ! რა ადვილად აფორიაქებ ყოველ საიმედოდან გარიყულ ადამიანსაც კი და ბაკურიანიდან ახალქალაქისკენ გაუყენებ ბედის საძიებლად — მრავალ მოცილეთა შორის!

ამ უბრალო და მახინჯ შემთხვევაში მინდა აღმოვიკითხო რაღაც მარადიული შეუოთვა ადამიანის დაუძინებელ სულისა და სურვილებისა.

* * *

გავსცილდით ბაკურიანს.

ონიკა თავის მეზობლის ეშხით მარჯვეთ მიურეკება ცხენებს.

ამავე მიზეზით იოსებამ დაიწყო რაკრაკი ტკბილ - ტკბილ ბაიათებისა.

ქალაქის ბიჭი იხუნჯობს კბილების კვნეტით.

წითელ ხალათა კი უბადრუკათ შესცქერის, როგორც მშიერი მგელი — მიუდგომელ ხრამში გადაჩეხილ ბატკანს.

ეს ჩვენი ეტლის ფერადოვანი შემადგენლობა მე მომწონს როგორღაც.

ეს არის მასალა ცხოვრებისა, ფიქრისა, დაკვირვებისა, გართობისა...

იგინი არიან თავიანთი გუნებისა და სურვილების მარჯვენით გაშიშვლებული ადამიანები. მათ არ აფარიათ ნიღაბი, არც ეჭირვებათ თვალთმაქცობა — რადგან მათი შემწუხებელი არავინ არის.

აწუხებთ მხოლოდ ჩემი თავდაჭერა სირანუშას არშიყობაში.

ქალაქის ბიჭი მიშა კიდეც გამოტყდა:

— თქვენი მრცხვენია როგორღაცა.

მე ვამშვიდებ:

— არა გენაცვა. ჩემი გულისთვის შენ გუნებას ნუ გაიფუჭებ! იხუმრე, იმხიარულე, იოხუნჯე — სადამდისაც მარიფათი გეყოფა.

ჩვენი ეტლი უფრო ახმაურდა ამ ოქროს ზღვაში გარინდულ მწვანე ტყის მყუდროებაში.

ამ ერთ მაიმუნ გოგოს როგორ ელოლიავებიან ყველანი!

თვითონ იგიც თავისუფლად იფერებს თვითოეულის თავისებურ თავგამოდებას და მზრუნველობას.

მე კი ბედს ვუმადლი, რომ ეს ნესტან - დარეჯანი ჩვენ გვერგო წილად.

იმისი ეშხით ეტლიც მარჯვეთ მიჰქრის. ნაირ-ნაირი ბაიათებიც არა სწყდებიან და იხუნჯობას ხომ არა აქვს ზღვარი.

უბრალო ხალხის შეხვედრაში მე, როგორც იტყვიან ქუდ-ბედი მაქვს დაყოლილი: მეც მუდამ კმაყოფილი ვრჩები მათით და, მემგონი, ისინიც. უფრო ხშირად ვერ ვურიგდები ანგარებითა და თვალთმაქცობით უხვად აღჭურვილ „განათლებულ" ადამიანებს. ბუნების წიაღზე ალზრდილი ხალხი კი ადვილათ მენათესავება და ყოველგვარი განსხვავება უცნაურად ეფარება ამ ნათესაობის საერთო ღობეს.

* * *

ბაკურიანის სურნელოვანი ველები გავლიეთ ჩქარა. ოთხმა დაოთხილმა ცხენმა მარჯვეთ შეიტაცეს ჩვენი ეტლი მთის კალთებზე შეფენილ ტყეში.

იოსები ალტაცებას ეძლევა ხმა - აწყვეტილი. წამოხტა ზეზე და უფრო გრძნეულის ხმით შესძახის: სირანუშას თუ იმის იქით რაღაც უხილავს, ძლიერს:

ალვის ხეს დაგამსგავსევი
ამ ტყეში მდგომარესა.
რათ უნდა სახუფეველი
შენს მკლავზე მწოლიარესა!

თვითონვე მოსწონს თავისი მთის ნაკადივით სუფთა ხმა. თვითონვე ითრობა და ალტაცებით ქუდს ისვრის მაღლა.

ეხლა შევამჩნიე მის ფართე შუბლზე მტკავლით გასაზომი ჭრილობა.

— ოო. ამ კაცს უეჭველად ბევრი რამ შემთხვევია ცხოვრებაში, და ეს ბევრი რამ აუცილებლად ვაჟკაცობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამას ამტკიცებს მისი ლაღი, მოკვეთილი ქცევანი და რაღაც სწორუპოვარი იერი.

ეხლა აღარ მენანება, რომ მარტო წამოვედი. მე ეს ამყოლები მირჩევნია ქალაქიდან გამოყოლილებს.

დიდი გზა წინ გვიძევს. მაშ გაცნობასაც მოვესწრობთ თანდათანობით. რა გვეჩქარება.

ჯერ შევხედოთ ამ არე-მარეს და შევიგრძნოთ — თუ როგორია წალკოტი — ამ ქვეყნად გაშენებული.

* * *

მე ვიწყებ კითხვას დიდებული რომანისას.

ყოველი მოგზაურობა მე წარმომიდგენია რაღაც მოთხრობათ, პოემათ, რომანათ, არაკათ...

ყველაზე მომხიბლავი, ყველაზე ლამაზი საკითხავი ეს არის ჩემთვის.

ეს არის უბადლო და უკვდავი ავტორის შიერ შემონაქმედი—

ბუნებისა და „განგების" მიერ.

პირველივე ფურცლები ამ რომანისა ანდამატისებურ მიმზიდავია.

სათიბათ აღელვებული ველები მთის ყვავილებით შეკირწყლულან ფერად - ფერადათ.

ეს არის შესავალი ამ საუცხოვო რომანისა, რომლის წაკითხვაც დღეს მერგო წილათ.

პირველივე თვალის გადავლებაზე თქვენ წინ წამოიჭრებიან ამ რომანის გმირები:

გვირგვინა. ცხრა წყაროსი და ციხის-ჯვრის მთები.

ისინი თითქოს იზრდებიან არა მიწიდან, ქვესკნელიდან, არამედ მათ ირგვლივ შემოფენილ ტყის ბურანიდან.

ამავე ბურანში თვალთმაქცური სიმარჯვით ვისრიალებს ნაცარა გზატკეცილი.

ყოველ მოსახვევში იწყობა ახალი აბზაცები — ახალი სანახაობანი.

მთავარ გმირების მძლავრ მაყრიონში ჩარეულა პირველყოფილი სიმტკიცით გამხნევებული ტყეები.

მათ ულრანებში დაულალავად დაშრიალობს მუდმივი სიმწვანის მეუფე — დალი დალალიანი.

ამ ტყეებში კიდევ ხარობენ ორი-სამი ვაჟკაცის შემოსახვევი წიფლისა და ნაძვის ხეები და მიხარია, რომ ტყე ჯერ კიდევ ასე მძლავრია და შენახული.

მთების გალავანსა და ტყის ჯართა გულში მწვანე ზღვის სიღრმიდან კუნძულებად ამოტივტივებულან იქაური სოფლები: ციხის ჯვარი, სადგური და სახელმწიფო ფერმა. ეს არის დასურათხატება ამ დაუმთავრებლად საკითხავ რომანისა.

გზის მახლობლად უხვად მსხმოიარე ჟოლო, მოცვი და მარწყვი — ეს ხომ მოსწრებული, მხატვრული თქმანია ამ უკვდავ ნაწარმოებში.

ყოველ მოსახვევზე, ესე იგი ყოველ ფურცელზე იცვლებიან გმირები. ჯერი მიდის. ჯერი მოდის. ჯერი გარდიქმნება, სულ სხვანაირად. იცვლება მათი სახე და განწყობილება ერთმანეთთან. ყველაფერი ეს კი წარმოადგენს ამ რომანის გმირთა შეუჩერებელ მოქმედებას — ლურჯი ცის ქვეშ ოქროს ფერად მოელვარე სივრცის ფონზე.

ეს ცივ-ცივი წყაროები — მოულოდნელად რომ გადმოსჩახჩახებენ უნებლიედ გულ-გაპობილ ნიადაგიდან და შვებას აძლევენ მგზავრის გუნებას?

ესეც ავტორის საგანგებოდ მოკვეთილი თქმაა, რაც ზეპირად ახსოვდება კაცს მთელ ამ მომხიბლავ საკითხავზე.

თვალი უსწრებს დროსა და მანძილის შესაძლებლობას: ვხედავ ჩვენ გზას. ის გახსნილი სარტყელივით დაუდევრად გადაგდებულა ამ ჩამწვანებულ მთაგრეხილის წელზე.

იმ გარდასავალს იქით დაიწყება მეორე კარი ამ რომანის, რის სარბიელადაც გადიქცევა თავისებური არე-მარე ჯავახეთისა.

გატაცებით ვკითხულობ მარადიულ შემოქმედებიდან ჩემ თვალში ჩავარდნილ ამ რომანს და გული მწყდება... რამდენი ამის ბადალი და ამაზედ უკეთესი წასაკითხი მრჩება კიდევ ჩემ შესაძლებლობის და ჩემ სიცოცხლის იქით...

* * *

ტყეების სამფლობელო უკვე ძირს დარჩა. მხოლოდ თითო - ოროლა განდეგილი ხე კიდევ მოსჩანს ჩვენ სწორად. მშვენიერნი არიან იგინი ტყის მაღლა ასასვლელად, თუ ჩამორჩენილი არიან—უკანასკნელ შთაბეჭდილების ძირს ჩამომტანნი?

იმათ ზევით კი იწყება სათიბები, საბალახოები და საძოვრე გადაპარსული ქედები.

რახან გათავდა ტყის ზონა — ვარაუდით რვაათას ფუტზე მეტი უნდა იყოს სიმაღლე.

ონიკა მეეტლე ზანტად მიიზმორება აღმართში.

აღარც იოსები არაკრაკებს ბაიათებს.

ქალაქის ბიჭ მიშოსაც კლიტე დაუდვია პირზე.

ყბა - მონგრეული — კიდევ უფრო ბაიყუშად გადაქცეულა.

რა მოხდა ასეთი გულდასაწყვეტი?

— გვერდს აღარ უმშვენებს სირანუშა — სათავე მათი სიმხიარულის.

ვინ მოსტაცა ამ გზასა და გზას შუა? ვის გააუბედურა ამდენი ხალხი?

ფათერაკს თვალი არ უჩანსო და სწორედ ასეც მოხდა.

გზაზე დავეწიეთ ვიღაც მეურმე ჯავახს. იოსები სხვათაშორის ეკითხება:

—სადაური ხარ?

— ჯანჯღაველი.

იოსები მისწვდა სირანუშას.

— სირანუშა! აგერ თქვენი სოფლელი! ვერ იცნობ?

ჯავახმა ყურები სცქვიტა. შეხედა სირანუშას. იცნო. მივიდა მასთან. მაგრამ ჩასჭიდა ეტლს ხელი და აღელვებით ელაპარაკება რაღაცას სომხურად.

გამოირკვა შემდეგი:

სირანუშას ამ სამი წლის წინედ მიუტოვებია სახლი, კარი და უგზო - უკვლოდ გადაკარგულა სადღაც. ცოცხალი აღარავის ჰგონია თურმე. ერთი ძმა ჰყოლია — ისიც მოკვდომია. სახლკარი დარჩენილა სრულიად უპატრონოდ.

სირანუშა სტირის ყველა ამის გაგონებაზე. სად იყო? რა აკეთა ამ სამი წლის განმავლობაში? არავინ იცის. მხოლოდ ეხლა მოუვლია მშობლიურ ჟიგარს და ისევ უბრუნდება თავის დანგრეულ კერას.

ის ჯავახი გამოდგა მისი მახლობელი მეზობელი თუ ნათესავი. დაუფარავი მღელვარებითა და სიხარულით ემუდარება:

— მოდი, უპატრონე შენ სახლს, შენ ქონებას! სხვამ რათ შეჭამოს.

მაგრამ კაცი დაიღალა. ეტლს ველარ მოსდევს. სირანუშას ეუბნება ჩამოვიდეს და ურემზე დაჯდეს. იქ მოუთხრობს ყველაფერ აუკარგს მის ოჯახისას.

ეს არ ესიამოვნა ონიკა მეეტლეს. რამდენი (საცდურებელი) გეგმები ეშლება ეხლა.

ეტლს ჩქარა მიერეკება. ჯავახი არ უშვებს. ლამის ბრძოლა გაჩაღდეს.

ბოლოს ონიკა სამ მანეთსა სთხოვს ეტლის ქირას. სირანუშას და მის მეზობელს კი ორივეს ერთად შვიდი აბაზი ძლივს აღმოაჩნდათ.

გაჩნდა ერთი აყალ - მაყალი დავა და უშველებელი. მდგომარეობა არც ისეთი ტრაგიული იყო — როგორც ყვიროდენ. ამიტომ სანამ ისინი მორიგდებოდენ — მე შევერიე ფერდობებზე ჟოლოს ჩირგვებში.

— რა დიდებული და სათაყვანოა ქვეყნის ეს კუთხე! მაგრამ რა უმნიშვნელო რამეზე დაობენ ეს ადამიანები!

როგორც იქნა გათავდა დავიდარაბა: ონიკამ აიღო შვიდი აბაზი და გულდაწყვეტილი გამოემშვიდობა სირანუშას.

მაგრამ მარტო ის დარჩა გულდაწყვეტილი?

ჩვენ ეტლი ისეთ სამგლოვიარო სურათს წარმოადგენს — თითქოს ვიღაც დაგვეხაფრლავებინოს და ეხლა უკან ვბრუნდებოდეთ.

— რა ცოტა რამე ახარებს და ამწუხარებს ადამიანს ამ ქვეყანაზე!

— ნუ თუ ჩვენში შთანერგილი სული სამყაროს გამოძახილისა ასე სუსტია და საწყალ უმნიშვნელო მოვლენათაგან!

— ონიკ, გაუჯავრდი! ნუ გიწყრება ღმერთი!

იოსებიც გამოცოცხლდა:

— ონიკ, გაუჯავრდი, თორემ ყველას ჯავრს შენზე ვიყრი!

აყლარუნდენ ეჟვნები და გზაც გამოცოცხლდა.

აქ ეხლა სხვა სურათები იშლება თვალწინ:

აგერ მწვანე ფერდობზე შეფენილა, რა? მარჯვნისგან ნაკვეთი სულჩადგმული ქანდაკებანი?

—სულ საგანგებოდ შერჩეული წითელ - წითელა ხარები და ძროხები.

მეორე მხარეს, ღელის პირად, სიცხისაგან გარინდული ცხვრის ფარა უძრავად ქცეულა.

ეს მომაგონებს ლეგენდარულ თეთრ ქვების გროვას ლატფარის მთაზე — სვანეთის გადასახედზე.

მარჯვნივ და მარცხნივ თივის თიბვაა გაჩაღებული.

რა სურნელება მოჰბერს უქაროთ ამ ბალახისგან.

ვინც ამას არ ისუნთქავს, თუ თვით სიცოცხლე არა, სიცოცხლის გემო მაინც დააკლდება.

მაღლა და მაღლა აზიდული უფრო ფართედ მიმოავლებ თვალს და მეათასედ რწმუნდები:

რა ელვარე და უხვია მზე!
რა მაღალია ცა!
რა ფერადოვანია ქვეყნიერება!

რაღა გასაკვირია ამის შემდეგ, თუ ერთი და იმავე მოვლენაზე სხვადასხვანაირად ვიმსჯელებთ მე და ოთხკედელში თავის ნებით გამომწყვდეული ადამიანი!

* * *

უცებ მაღლა მთიდან მოჰგორავს რაღაც მრგვალი. იმას თან მოსდევს მეორე და მესამეც.

ვუცქერით. ვარკვევთ: გატყავებული ცხვრებია.

გზის პირადაც ჰყრია ხუთი-ექვსი ასეთივე ლეში. ზევით ავხედეთ. იქაც კიდევ ატყავებენ მეცხვარეები.

რა ამბავია? რაღაც უბედურება მომხდარა იმათ თავს.

აგერ გავუსწორდით ერთ მეცხვარეს.

— რა მოხდა ძმობილო? მგელმა ხომ არ დაგაზარალათ?

მეცხვარემ ცხვარი მილალა, მოლალა. მიიფიქრა, მოიფიქრა და როგორც იქნა ჩემ მეორე შეკითხვაზე. ამოიღო ხმა:

— ჰო!

დედამიწის ზურგზე თუ შეიძლება ამაზე მოკლე პასუხის ხმა მაღლა თქმა — მე თავს დავსდებ სანაძლეოდ.

რომ იცოდეს ამ მწყემსმა თუ როგორ მიყვარან მეცხვარეები და ბევრ მათთან საუკეთესო ნაცნობობაც მაქვს, ალბათ ცოტა ბარაქიან პასუხს გიმეტებდა. ეხლა კი მისთვის უცხო ვარ და უცნობი, რა დავა შემიძლიან გამოუცხადო!

ცხრა წყაროს მთის ძირში სატყეოს სადარაჯო სახლია. როცა იქ მივედით, მუშებისაგან გავიგეთ ყველაფერი:

იმ სახლის გადასწვრივ, შუაგულ ბალახოვან მთის მკერდზე ერთი კლდე არის ანაზდეულ ამოჭრილი. სიმაღლე ექნება ოცდაათ მეტრამდე. მაღლა ნაწილით უერთდება მთის სიმაღლეს და პატარა ვაკესავით ჩნდება ამ შეხართავთან. ღამე თუმ მეცხვარეებს ამ ვაკეზე დაუბანაკებიათ ფარა. მოულოდნელად მგელი დახსცემოდა შუაღამისას. დამფრთხალიყო ფარა და ოც სულზე მეტი გადაჩეხილიყო ამ კლდეზე.

კიდევ კარგი ასე მცირე ზარალით გადარჩენ. შეიძლება მთელი ფარაც გადაჩეხილიყო.

ეხლა იმ დახოცილ ცხვრებს ატყავებდენ და ლეშს უყრიდენ საწყლებად იქავე მქროლად დამშეულ ქორებს.

* * *

კიდევ ერთი შემოსახვევი და მივადგებით ჯავახეთის გადასახედნსაც.

— მაგრამ რა უსაზღვროა ქვეყნიური სილამაზე!

იქ, სადღაც შორს, მთებისა და გაცილებით, ცის კიდურიდან მედიდურათ იზმორებიან კავკასიონის მთაგრეხილები. იმათ უდრეკ ხერხემალზე კი მძლავრად წამომჯდარან თეთრი და თეთრი მდევები.

ვიცი, რომ შორს არის: ორას კილომეტრზე მეტია. მაგრამ რა ახლოდ მეჩვენებიან.

ლამის შესცდე და ხმამაღლა გადასძახო სალამი ამ სვანეთის ნაცნობ - მეგობრებს:

აგერ ქედ - მაღალი უშბა ხან „ცისკენ ხელებ აწვდილ ვაჟკაცს" რომ მაგონებს, ხან კი გოთიერ სტილის ტაძარს — ორგუმბათოვანს.

იმის უკან მოსჩანს უკვე ადამიანის ფეხით მრავალჯერ დაჩაგრული იალბუზი.

მარჯვნივ რომ მისდევენ ერთი - ერთმანეთთან მოდავე თუ ძმად ნაფიცი ბუმბერაზები?

აქ არიან გასტროლა, ივეტნულდი, დიხთაუკაშტანთა...

ქვეყანა სად დაიკარგა, სად ჩაიძირა ამ მთიდან მთებზე გადასახედში?

შენც იზრდები.

სწორდები წელში.

გრძნობ რაღაც სიდიადეს მთელს არსებაში პატარა სულით, პატარა გუნებით არ შეიხედვის სწორე ქვეყანას აცილებული ეს მედიდური სანახაობა!

ცხადია ვხდგევარ ცხრა წყაროს ქედზე, მაგრამ თავი მგონია ულამაზეს სანახაობის უძალლეს მწვერვალზე...

აქ სწყდება პირველი კარი დიდებულის რომანისა, რომელიც შექმნილა უბადლო და უკვდავი ავტორის მიერ—ბუნებისა მიერ.

ლევ. მეტრეველი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დებულება

სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტების და ქალაქის საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევიათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების შესახებ.

კარი მე-2

გადასახდელის დადება ადმინისტრატიული წესით *)

28. უკეთუ საქმე სავალდებულო დადგენილების დარღვევის შესახებ სასამართლომ თავის განსახილველად მიიღო, დამნაშავეს გადასახდელი ადმინისტრატიული წესით ველარ დაედება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო საქმეს ადმინისტრატიული წესით განხილვისათვის წარმართავს.

30. დადგენილება ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების შესახებ შეიძლება გამოტანილ იქნეს არა უგვიანეს სამი თვისა სავალდებულო დადგენილების დარღვევის დღიდან; ამ ვადის შემდეგ საქმე მოისპობა.

30. დადგენილება გადასახდელის დადების შესახებ უნდა იყოს წერილობითი.

დადგენილებაში აღნიშნული უნდა იქნეს:

ა) დადგენილების გამოტანის დრო - წელიწადი, თვე და რიცხვი;

ბ) თანამდებობის პირი, რომელმაც დადგენილება გამოიტანა;

გ) სავალდებულო დადგენილების დამრღვევის სახელი, მამის სახელი, გვარი, წლოვანება და სოციალური მდგომარეობა;

დ) დარღვეული სავალდებულო დადგენილება;

ე) მისი დარღვევის დრო და ადგილი;

ვ) ის მოქმედება, რითაც დადგენილება დაირღვა;

ზ) დადებული ადმინისტრატიული გადასახადი;

დადგენილებას ხელს მოაწერს ის პირი, ვინც იგი გამოიტანა.

შენიშვნა: ის ქმედობა, რაც დამრღვევს ბრალდება, სავსებით უნდა შეეფერებოდეს იმ ქმედობას, რაც გათვალისწინებულია დარღვეულ სავალდებულო დადგენილებაში.

31. ასლი დადგენილებისა გადასახდელის დადების შესახებ უნდა ჩაბარდეს იმ პირს, რომელსაც გადასახდელი დაედო, თანაც უნდა გამოეცხადოს განსაჩივრების წესი და ვადა.

32. იმ პირს, ვისაც გადასახდელი დაედო, შეუძლიან შვიდი დღის ვადაზე დღიდან მისთვის ადმინისტრატიული გადასახადის დადების თაობაზე გამოტანილი დადგენილების ასლის ჩაბარებისა, სთხოვს ორგანოს, რომელმაც გადასახდელი გადაუწყვიტა, მის შესახებ გამოტანილი დადგენილების გადასინჯვა, ან და განასაჩივროს ეს დადგენილება ამა დებულების 33—34 მუხლებით გათვალისწინებული წესისამებრ.

33. საჩივარი ადმინისტრატიული გადასახდელის შესახებ გამოტანილ დადგენილებაზე შეტანილ უნდა იქნეს: ა) უკეთუ სავალდებულო დადგენილება, რომლის დარღვევისათვისაც მომჩივარს გადაწყვეტილი აქვს ადმინისტრატიული გადასახდელი, გამოცემულია სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის მიერ, — სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში;

ბ) უკეთუ აღნიშნული სავალდებულო დადგენილება გამოცემულია თბილისისა, ქუთაისისა და გორის ქალაქის საბჭოების და მათი პრეზიდიუმების მიერ — შესაფერი ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმში: ხოლო

გ) უკეთუ აღნიშნული სავალდებულო დადგენილება გამოცემულია ფოთის ქალაქის საბჭოს ან ფოთის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, — ფოთის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში.

34. საჩივარი შეიტანება იმ ორგანოს მეშვეობით, რომელმაც გადასახდელი გადასწყვიტა, ხოლო იგი წარადგენს ამ საჩივარს მთლად საქმითურთ, სამი დღის განმავლობაში, კუთვნილისამებრ.

35. საჩივრისა ან დადგენილების გადასინჯვის შესახებ თხოვნის შეტანა შეაჩერებს გადასახდელის გადაწყვეტის დადგენილების აღსრულებას.

36. საჩივარი ამა დებულების 24 მუხ. წესით დადებული ჯარიმის უკანონობაზე, შვიდი დღის განმავლობაში დაჯარიმების დღიდან, შეიტანება პირდაპირ თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის საადმინისტრაციო განყოფილების უფროსთან.

37. უკანონოდ დადებული გადასახდელი გაუქმებულ ან შეცვლილ უნდა იქნეს, ხოლო, ამას გარდა, უკეთუ გადასახდელი წინასწარი შეცნობით უკანონოდ იყო დადებული, მისი დამდები თანამდებობის პირი პასუხისგებაში მიიცემა სისხლის სამართლის კოდექსის 109 მუხლის ძალით.

38. დადგენილებას ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახებ აღასრულებს მილიცია.

39. დადგენილება ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახებ აღსრულებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი წლისა კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან. უკეთუ აღნიშნულ ვადაზე დადგენილება აღსრულებულ არ იქნა, იგი ძალას ჰკარგავს.

შენიშვნა 1: დადგენილება გადასახდელის დადების შესახებ კანონიერ ძალაში შესულად ჩაითვლება იმ ვადის გასვლისთანავე, რაც დაწესებულია განსაჩივრებისათვის, უკეთუ თხოვნა დადგენილების გადასინჯვის შესახებ ან საჩივარი შეტანილი არ ყოფილა; ხოლო უკეთუ თხოვნა ან საჩივარი შეტანილია, მისი უშედეგოდ დატოვებისთანავე.

შენიშვნა 2: ამა დადგენილების 33 მუხლით გათვალისწინებული ორგანოების დადგენილება აღნიშნულ საკითხის შესახებ საბოლოოა, არ განისაჩივრება და ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან.

40. უკეთუ სავალდებულო დადგენილების დამრღვევს ადმინისტრატიულ გადასახდელად ჯარიმა გადაეწყვიტა, მან სამისო თანხა უნდა შეიტანოს, სათანადო ქვითარის მიღებით, არა უგვიანეს ორი კვირისა დღიდან მისთვის გადასახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების გამოცხადებისა, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების სალაროში ან თემის აღმასრულებელ კომიტეტში, იმისდა მიხედვით, თუ სად მოხდა დარღვევა ან სად სცხოვრობს დამრღვევი.

უკეთუ ამა მუხლის 1-ლ ნაწ. აღნიშნულ ვადაზე ჯარიმა არ იქნა შეტანილი, იგი გადახდევინებულ იქნება იძულებითი წესით და გადასახდელი მიიქცევა სავალდებულო დადგენილების დამრღვევის ქონებაზე საერთო წესისამებრ.

ისეთ შემთხვევაში, რაც 24 მუხლშია აღნიშნული, ფულის მიღების ქვითარს გასცემს ის თანამდებობის პირი, რომელიც ჯარიმას გადააახდევინებს.

40. ის პირი, რომელსაც გადასახდელად იძულებითი მუშაობა გადაეწყვიტა, ამ მუშაობის მოსახდელად გაიგზავნება იძულებითი სამუშაოს ბიუროს ან იძულებითი საუშაოს განყოფილების განკარგულებაში; ხოლო იქ, სადაც ასეთი დაწესებულება არ არსებობს — სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში.

42. იმ პირზე, რომელიც იძულებითი მუშაობის მოსახდელად გაიგზავნა იძულებითი სამუშაოს ბიუროს ან განყოფილების განკარგულებაში, გავრცელდება "შრომა — გასწორების კოდექსის მე-4 თავის (დაუპატიმრებლად იძულებითი მუშაობის ბიურო) ყველა მუხლი, გარდა 54, 55 და 56 მუხლისა.

43. იძულებითი მუშაობა, როგორც საერთო წესი, მოხდილ უნდა იქნეს იმ პირის საცხოვრებელ ადგილას, რომელსაც მუშაობა გადაეწყვიტა; განსაკუთრებულ შემთხვევაში დამნაშავეს იძულებითი მუშაობის შესრულება სხვაგანაც შეუძლიან, ხოლო ეს სხვა ადგილი მის საცხოვრებელ ადგილიდან 10 ვერსზე მეტი მანძილით არ უნდა იყოს დაშორებული.

შენიშვნა: მიწის მუშა გლეხს არ შეიძლება დაენიშნოს იძულებითი მუშაობის მოხდა იმ დროს, როდესაც მინდვრად მუშაობაა.

44. დატუსაღება მოხდება განსაკუთრებულ სადგომში გამასწორებელ სახლთან. შვიდ დღე და ღამემდე დატუსაღებულს შეუძლია მოიხადოს იგი სატუსაღოში მილიციის სამმართველოსთან.

შვიდ დღე-და-ღამეზე მეტი ვადით დატუსაღებული მოვალეა აირჩიოს ერთ-ერთი იმ სამუშაოთაგანი, რაც დაწესებულია ან შეიძლება შემოღებულ იქნეს მისი პყრობილობის ადგილას.

1927 წ. ივლისის 4.

---

*) დასასრული იხ. „კომუნისტი" № 216.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი აუწყებს, რომ ორშაბათს 26 სექტემბერს საღამოს ექვს საათზე თბილისის აღმასკომისა და ქალაქ თბილისში არსებულ სამხედრო ნაწილების პოლიტორგანოების მონაწილეობით. წითელ არმიის და ფლოტის ბაღში **ეწყობა 1903 წელში გაწვეულ წითელ არმიელების გრძელვადიან შვებულებაში საზეიმო გაშვება.**

დღის წესრიგშია: 1. კავ. წითელ დროშოვან არმიის პოლიტიკურ სამმართველოს უფროსის ამხ. **ვასილიევის** მოხსენება—საერთაშორისო მდგომარეობა და გრძელვადიან შვებულებაში გაშვებულ წითელ არმიელის ამოცანები. 2. ნაკაზი გაშვებულ წითელ არმიელებს.

კრებაზე მოწვეულნი არიან: პარტიულები, კომკავშირელები, პროფკავშირთა წევრები და მოწაფეები.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ ორშაბათს, 26 სექტემბერს, დილის ათ საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. **თარხანოვთან:**

პავლე მიხეილისძე სტაცენკო, რაჟდენ გიორგისძე თოდუა, ალექსანდრე საველისძე კრავშინსკი, ნიკოლოზ ალექსისძე როგოვი, განა თედორეს ასული გავრიულიკ - რევიზორისა, ბორის იაგორისძე ქავთელაძე, სამსონ ზურაბისძე ჯანაშია, ვარლამ კონსტანტინესძე დარსაძე, ბესარიონ გრიგოლისძე ყაჭეიშვილი, ვასილ პავლესძე კალანდაძე, სარქის გალუსტისძე გრიგორიანი, იპოლიტე ანტიმოსისძე გობრონიძე, ისმაილ ჯაფარ-ოღლი—რაზაევი, უშანგი სიფესძე ლორთქიფანიძე, ალფესი კონსტანტინესძე ცომაია, იუსუფ გასან-ოღლი-მამედოვი, ნიკოლოზ ივანესძე პოზნარევი, ლუარსაბ მაქსიმესძე საყვარელიძე, მარი სერგოს ასული ხუციშვილი.

ს. კ. პ. (ბ) ც: კ ქალთა განყ. 26 სექტემბერს დილის 12 საათზე იწვევს თათბირს, რომელზედაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხ. შავერდოვა, მაშკევიჩი, (საორგ. განყ. (ც. კ:) იმედაძე (ც. კ. აგიტპროპ.) ჯავახიძე (ს. ა. ლ. კ. კ ც. კ.) მარკმანი (პრ. კავ. საბჭო), ზელიაევსკი ქალთა განყ. გამგეები: 1. რაიკომის—გიგიშიძე 2—მიხაილოვა, 3. შალამიანი, 4. ანდრიაძე.

წინადადება ეძლევათ **გიორგი ფრანგიშვილს**, ათანასე **კოკაიას**, თეოფანე **გორგასლიძეს** და ვარლამ **ნადარეიშვილს** გამოცხადდენ ს. კ. პ. ც. ს: კომისიაში (რუსთაველი, 24, მესამე სართული) პრეზიდიუმის სხდომაზე დასასწრებლად 27 სექტემბერს, დილის ათ საათ.

კვირას, 25 სექტემბერს, სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში განათლების სახალხო კომისარის დ. ვ. კანდელაკის თავმჯდომარეობით შესდგება

სამგლოვიარო სალამო

აკადემიურ თეატრების დამსახურებულ მსახიობის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის მცირე თეატრის საპატიო დირექტორის

ალექსანდრე ივანეს-ძე სუმბათაშვილის (იუჟინის)

ხსოვნის აღსანიშნავად. მოხსენებას გააკეთებენ: რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი შალვა დადიანი და ვ. კოტეტიშვილი. სალიტერატურო-ვოკალურ განყოფილებაში შესრულებულ იქნება ნაწყვეტები სუმბათაშვილის ნაწარმოებიდან. მონაწილეობას მიიღებენ: ქართულ აკადემიურ დრამიდან თამარა ჭავჭავაძე, უშანგი ჩხეიძე, ოპერის მსახიობი დ. ტ. სპრიშევსკაია, ნ. ქუმსიაშვილი, გ. ქარცივაძე, ა. ხოფერია, მ. ექსანიშვილი, და ა. ჭუმბურიძე. პიანისტი სვანიძე და სიმებიანი კვარტეტი საქართველოს ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე. შესვლა უფასოა. ბილეთების მიღება წინასწარ შეიძლება სახელმწიფო კონსერვატორიაში. 3942

საქ. კ. პ. (ბ) ცეკა აუწყებს თავის ამხანაგებს, რომ ხუთშაბათს ა | წ. 22 სექტემბერს გარდაიცვალა (კომპარტიის წევრი)

შურა პონომარიოვის ასული კილაძე

ცხედრის გამოსვენება მთავარ საავადმყოფოდან (ყოფ. მიხეილის) ვერის სასაფლაოზე მოხდება კვირას 25 სექტემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. ნ. 1701 ნ. 2—2

საქ. ახალ. ლენინ. კომ. კავშირის ცეკას თანამშრომლები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 22 სექტემბერს გარდაიცვალა მიშა გობეჩიას მამა

ალექსი გრიგოლის-ძე გობეჩია

დაკრძალვა ქალაქ ზუგდიდში. 3933

ს.ა.ლ.კ.კ. თბილისის და რაიონის კომიტეტების მოუშავეები აუწყებენ ამხანაგებს ამხ. მიშა გობეჩიას მამის

ალექსი გიორგის-ძე გობეჩიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქალაქ ზუგდიდში. 3932

ნიკოლოზ გრიგორის-ძე ჯავახიშვილი შვილებით: ალექსანდრე, ვერა, ელენა და თამარი, რძალი ზინაიდა, სიძეები პლატონ საყვარელიძე, ბესარიონ ყავრიშვილი და შვილიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 26 ენკენისთვეს სოფ ძევერაში გადახდილი იქნება პანაშვიდი მათი დაუვიწყარ

ევა მაქსიმეს ასული ჯავახიშვილისა

ერთი წლის მოსაგონარად. 3931

ღრმად დამწუხრებული დედა ეფროსინა, ძმა მიშა გოთოშიები, და თეოლინა და სიძე დიომიდე ქანდარიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ 25 სექტემბერს, კვირას, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, ერთი წლის აღსანიშნავად უდროოდ დაკარგულ და მუდამ დაუვიწყარ

ბაბუცა პეტრე გოთოშიას ასული ტერტერაშვილის

მოსაგონარად, სოფ. საჭილაოში 1-ლი ილორის წმ. გიორგის სასაფლაოზე დღის 12 საათზე. 3938

საქარ. განათლების მუშ. კავშირის გარე-უბნის აღმასკომი და მასწავლებლობა აცნობებს ამხანაგებს და ნათესავებს, რომ ქ. თბილისში 23 სექტემბერს გარდაიცვალა ქალაქის პირველ საავადმყოფოში ძვირფასი ამხანაგი მასწავლებელი

ვალიკო მურზას-ძე ქობულია

გამოსვენება საავადმყოფოდან სადგურზე ორშაბათს, 26 სექტემბერს, საღამოს 4 საათზე. წასვენება ზუგდიდის მაზრაში. 3940

თელეთის თემის აღმასრულებელი კომიტეტი, თემის მასწავლებლობა და ადგ. ყველა ორგანიზაცია—დაწესებულებათა თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ ძვირფასი ამხანაგის, ახალგაზრდა ენერგიით სავსე და თავდადებული მუშაკის, სოფ. კუმისის 4 წლ. შრ. სკოლის მასწავლებლის

ვალიკო მურზას-ძე ქობულიას

უდროოთ დაკარგვას. გამოსვენება ქალაქის 1-ლ საავადმყოფოდან სადგურზე, ა. წ. 26 სექტემბერს, დღის 3 საათზე. წასვენება ზუგდიდის მაზრაში. დ.

ღრმად დამწუხრებული მშობლები გიორგი, ნინა და ძმები ვალოდია, საშა და შალვა სალამატინები მეუღლე შალვა, შვილები ნინა, ელენე და ქეთევან, მამამთილი გიორგი მეუღლით ოლღათი გიგინეიშვილები და სიძე არჩილ ოქროპირიძე აუწყებენ ყველა ნათესავებს და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარი და უსაყვარლესი

თამარა გიორგის ასულის (სალამატინ) გიგინეიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება კვირას, 25 სექტემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე თუმანოვის შესახვევი № 20. დაკრძალვა მოხდება წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 3928

პატარა ნინა და ქეთო ციციშვილები, ძარიამ დავითის ასული, თამარ ილიას ასული და ალექსანდრე ილას-ძე ჯავახიშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ დღეს, სექტემბრის 25-ს, დღის 1 საათზე, ახალ ვერის სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი ტრაღიკულად გარდაცვალებულ პირველთა საყვარელი დედიკოსი და დანარჩენების ძვირფასს და დაუვიწყარ რძლის

სოფიო იოსების ასული ციციშვილის

მოსაგონარად. 3935

პატარა ნინა და ქეთო გიორგის ასულნი, ივანე, ნიკოლოზ, დიმიტრი, პავლე და ალექსანდრე დავითის-ძენი ციციშვილები, სოფიო დავითის ასული კალანდარიშვილის და თამარა დავითის ასული ვაჩნაძის სახლობები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ დღეს პირველ საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი თავიანთი ძვირფასი დედიკოს და რძლის გარდაცვალების

სოფიო იოსების ასულის ციციშვილის

მოსაგონარად. დ.

„კომუნისტი"

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის
და
თბილისის კომიტეტის
და
სრულიად საქართ. მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და
მეზღვაურთა ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო

დიდი პოლიტიკური გაზეთი

მიიღება ხელის მოწერა წლის ბოლომდე

გაზეთი ღირება:

მუშა-მოსამსახურეთა, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის

1 თვით	1 მან.
2 „	2 „
3 „	2—90

დაწესებულებათა, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით	1—30
2 „	2—60
3 „	3—80

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში

1 თვით	1 მან. 50 კ.
1 წლით	18 მან.

საზღვარ-გარეთ:

1 თვით	1 ნახ. დოლ.	6 თვით	8 ნახ. დოლ.
3 „	4 ნახ. „	1 წლით	16 ნახ. „

0—1 0—1

ეთერი (სახელმწ. ოპერის ბაღში)

სოლეი

დარბაზი (ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლლო (არტის ბაღში).

კორინა გრიფიტი და კონვეი ტირლი (სურათ „დიადი მარადიული"-ს გმირები) მხატვრულ შედევრში

„წარსული და მომავალი"

მონოპოლიურად მხოლოდ ჩვენს ეკრანზე საუკეთესო სურათი

„სამი ეპოქა"

მთავარ როლში—ბესტერ კეიტონი

მხატვრული შედევრი აღმოსავლეთის ცხოვრებიდან

„სიკვდილის მინარეთი"

სეზონის ახალი სურათი

КАТЬКА--БУМАЖНЫЙ РАНЕТ

მთავარ როლში—ვერენიკა ბუპსინსკაია

0—17 ნ. 1388

ანონსი: საქართველოს სახკინმრეწვის უახლოესი გამოშვება „ა მ ო კ ი"

„კომუნისტი"

გაზეთზე ხელის მოწერა
— და —
განცხადებების მიღება
სწარმოებს
მთავარ კანტორაში
რუსთაველის პრ. № 34
ტელეფონი 8-81.

საქართველოს სახკინმრეწვის უახლოესი სურათი

ამოკი

ს. ცვეიგის რომანის მიხედვით
დადგმა რეჟისორ
კ. მარჯანიშვილის
მთავარ როლებში
ნატა ვაჩნაძე
ა. იმედაშვილი

ნ. 1704

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

1927|28 სასწავლო წლის

მისაღებ გამოცდების შედეგები გამოცხადებული იქნება 29 სექტემბერს.

ნ. 1703. მიმღები კომისია.

თანახმად ხელშეკრულებისა ცეკავშირმა მიიღო

„დონლესსტექლოსტრომი"-საგან წარმომადგენლობა შუშის პროდუქციის გასასაღებლად მთელ საქართველოში.

ამიერიდან ამ სინდიკატის ქარხნების ნაწარმოები აქსაის და არმავირისა გაიყიდება მარტო **ცეკავშირის საშუალებით** ახალ, დაკლებული პრეისკურანტით. მაგ' ბოთლები სხვადასხვა ზომის (ღვინის, არაყის, ლუდის, კონიაკის, ნარზანის და სხვა). ქილები სამურაბე და ფეხსაცმელის კრემის, საათფთიაქო ჭურჭლეული ყველა სახისა და ზომისა.

საქონელი იყიდება კოოპერატიულ ორგანიზაციებზე, სახელმწიფო დაწესებულებებზე და კერძო პირებზე'

დაკვეთა მიიღება ყოველ დღე ცეკავშირის სავაჭრო განყოფილებაში.

შტაბის ქუჩა № 6, ტელ. № 8—15. ნ. 1699

მიიღება ხელის მოწერა ოქტომბრისათვის

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტზე"

ჟურნალ „ახალგაზრდა ბოლშევიკზე"

და „საბჭოთა ფიზკულტურაზე"

გამოწერის პირობები

„ახალგაზრდა კომუნისტი" . . . თვეში ღირს 30 კაპ.

ხოლო ჟურ. „საბჭოთა ფიზკულტურის" დამატებით . . . „ „ 35 „

ცალკე ჟურნალი. . . . . . . „ „ 10 „

„ახალგაზრდა ბოლშევიკი" . . . „ „ 40 „

ფული და შეკვეთა უნდა გადმოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, კურსანტების ქ. № 1, **„ახალგაზრდა კომუნისტის"** კანტორას.

ხელის მოწერა მიიღება აგრეთვე ყველა ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში და კონტრაგენტებთან რკინის გზის სადგურებზე.

1—1 მთავარი კანტორა

კბილის ექიმი

ა. გ. სოლოღაშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება რუსთველის პროს. № 12.

13—1 3846

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.

საქართვ. ტეხნიკური საზოგადოების გამოცემანი

პ. ლანდია „ფინანსიური გამოანგარიშების სახელმძღვანელო", ინჟ. ვ. კაკაბაძის რედაქციით. ნებადართულია როგორც სკოლებში სახმარი სახელმძღვანელო. ფ. 2 მან.

ინჟ. ვ. კაკაბაძე. „ქიმიური ომი და მშვიდობიანი მრეწველობა" ფ. 50 კაპ.

„ „ხის მასალის ქიმიური გადამუშავება„ ფ. 30 კ.

„ „ქიმიური მრეწველობის მნიშვნელობა და მისი პერსპექტივები საქართველოში" ნაწ. 1 ფ. 1 მან.

„ „საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა და მისი საჭიროებანი და პერსპექტივები" ფ. 1 მან.

„ „შინამრეწველობა საქართველოში", ფ. 1 მან.

„ „ქიმია ადამიანის სამსახურში", ფ. 30 კაპ.

„ „ქიმიური მრეწველობის მნიშვნელობა და მისი პერსპექტივები საქართველოში", ნაწ. 2, ფ. 1 მან.

იყიდება: მთავარ საწყობში, კამოს ქ., № 70 და წიგნის მაღაზიებში

3—1 ნ. 1676

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირების

პირველი

საანგარიშო მეცნიერებათა კურსები

განაახლებს მეცადინეობას 1927—28 სამოსწ. წლისათვის გაფართოებული პროგრამით

კურსებზე ისწავლება:

1) ორმაგი ბუხჰალტერიის ზოგადი კურსი, 2) სავაჭრო და საწარმოო ბუხჰალტერია, 3) ფინანსიური გამოანგარიშება, 4) სამეურნეო სტატისტიკა, 5) სავაჭრო სამართალი, 6) პოლიტ-ეკონომია, 7) პროფ. მოძრაობის ისტორია და 8) საბჭოთა ამშენებლობა.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ბუხჰალტერიის პრაქტიკულად შესწავლას, უკანასკნელ დროის სისტემების და ფორმების მიხედვით.

განცხადებათა მიღება სწარმოებს ყოველ დღე საღამოს 5—9 საათამდე.

101 შრომის სკოლის შენობაში.

3921 2—1. დიდი ვანქის ქუჩა № 14.

საბჭ. და სავ. მუშ. პროფკავშირის მე-2-ე

საანგარიშო მეცნ-თა (საბუჰხალტრო) კურსებზე

მსმენელთა მიღება დაიწყო. მსმენელები მიიღებიან **ზოგად** და სპეციალ. განყოფ-ზე. ცნობების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათამდე, პლეხანოვის გამზ. **№ 166 მე-5 პროფ.** სკოლის შენობაში. 10—2 ხ. 1637

კოოპერატიული კურსები

საქართველოს ერთწლიან კოოპერატიულ კურსებზე მეცადინეობა დაიწყება 15 ოქტომბერს

განცხადება მიიღება 10 ოქტომბრამდე. მსმენელებად მიიღებიან მხოლოდ კოოპერატიული ორგანიზაციებიდან გამოგზავნილი პირნი, რომელთაც უნდა ჰქონდეთ საშუალო სწავლა ან მის ფარგლებში ცოდნა. ჩარიცხვის წინ იქნება გამოცდები.

დაწესებულია გადასახადი პანსიონერთათვის 350 მან. პანსიონის გარეშეთათვის—120 მანეთი.

განცხადების შემოტანის დროს პანსიონერთაგან უნდა იქნას შემოტანილი 50 მ. გარეშეთაგან—20 მანეთი. ჩარიცხვისას პანსიონერებმა უნდა შემოიტანონ 100 მან. გარეშეებმა—30 მანეთი. დანარჩენი შემოტანის ვადა შემდეგ იქნება განაწილებული.

ვინც არ იქნება მიღებული, ფული უკან დაუბრუნდება.

განცხადებები და ფული უნდა იქნას შემოტანილი შემდეგი მისამართით: თბილისი ცეკავშირი, კოოპერატიული კურსების გამგეს.

3913. 2—1 **კურსების საბჭო.**

საქართველოს მუზეუმის შენობის დამთავრებელი კომიტეტი

აცხადებს

საჯარო ვაჭრობას

მუზეუმის სხვა და სხვაგვარ საალმშენებლო მუშაობაზე, რომლის ხარჯების საერთო თანხა 150 ათას მ. უდრის.

ვაჭრობა შესდგება 10 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, მუზეუმის შენობაში.

პირობებისა და ცნობების მიღება შეიძლება იქვე, ყოველდღე დილის 9 საათიდან შუადღის 12 საათამდე.

ვაჭრობაში მონაწილეობისათვის საჭიროა ბეს შეტანა 3.000 მან. რაოდენობით. ბე შეტანილ უნდა იქნას კომუნალურ ბანკში. ნ. 1696 2—1

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი

ქ. ძამოევი

ამით აცხადებს. რომ ის 26 სექტემბერს 1927 წ. დღის 12 ს. სახლში დესემონოვის მოედანზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის არტემ სტეფანიანის მოძრავ ქონებას: ცხენებს და სხვ. შეფასებულს 350 მანეთად, შინამრეწველკრედიტის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის 1 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 6 სექტ. 1927 წ. თარიღით, № 4165 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1702

ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი

საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი

(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) სპეციალისტი. ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს-მდე, საღამოს 5—7 ს-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 3645—18—1

ექიმი ჯალალოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფობის მიღება

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—1

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა თბილისში.

ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.

კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ.) № 7. ტელ. 14—56. 13-1

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.

ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—

ექიმი მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და დაიწყო ავადმყ მიღება

შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონით და სინათლით მკურნალობა

ავადმყ. მიღება ახალი მისამართით ლენინის ქუჩა (ოლღას ქ.) № 11 საღ. 7—8 საათ.

ტელ. 4—82 25—1

მედიცინის დოქტორი

ნ. ს. ორემბოვსკი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

1—1 3927

სათვალეების მორგება

უფასოდ



ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

დავკარგე გემო-კვების კავშირის საწევრო წიგნაკი № 1731 ლიუბა ჩიხლაძის სახელზე. ჩ. გ. 3929

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი გაცემული ქვ. ჭალის მმაჩიდან დავით ვასილისძე ალიბეგოვის სახელზე. ჩ. გ. 3936

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის პირადი წიგნაკი ფ. № 4—№ 21, მოცემული ქვ. მაჩხაანის რაიამხედრო მაგიდის მიერ მიხეილ იოსებისძე შანშიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3941

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი გაცემული ლეძამის თემაღმასკომის მიერ პარმენ ლიპარისძე დგებუაძის სახელზე. ჩ. გ. 3939

დავკარგე ხარის მოწმობა № 2290 გაცემული ჭოლა-აბედათის თემაღმასკომის მიერ გრიგოლ პეტრესძე მიქავას სახელზე, ჩ. გ. 3939

დავკარგე განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 23700 ნინა შარაბიძის სახელზე, ჩ. გ. 3934

დავკარგე კომპარტიის საკანდიდატო ბილეთი № 16584, ბორჯომის პარტიულ კომიტეტიდან მოცემული და პროფ-კავშირის წიგნაკი № 14 | 12691, გაცემული მშ. კავშ. ბორჯომის განყოფილებიდან ნიკოლოზ ზაქარიასძე რაზმაძის სახელზე, ჩ. გ. 3936

დავკარგე თბილისის ქალაქის ბანკის აქციის დროებითი მოწმობა № 586 | 682, მიღებული გორის განყოფილებისაგან ლევან ხვთისწყალობისძე საყვარელიძის სახელზე, ჩ. გ. 3937

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 64